619
1954/2
ГОСПУБЛ... Г, КБ

# დროშა

№ 12 დეკემბერი 1954



ეროვნული ბიბლიოთეკა



## გორის ბამბეულის კომბინატში

ფოტოზე: წუნმდებელი ა. [illegible] ამოწმებს მზა პროდუქციას.

ქვემოთ: სამრეცხაო მანქანის ოპერატორი ა. კრინიცინა ამოწმებს გამათეთრებელ მანქანაში გატარებულ ქსოვილს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



გარეკანის პირველ გვერდზე: ერევანი. სომხეთის სსრ მთავრობის სასახლე.

ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა

მეოთხე გვერდზე: ქართველი ალპინისტები პამირზე.

ფერადი ფოტო ბ. კრეპსისა.

# დროშა

№ 12 (41) დეკემბერი 1954 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი


ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. ბ. სტალინი

5708

# ქალაქ გორში

ვ. გოლცევი



საიდანაც უნდა მიუახლოვდეთ ქალაქ გორს — მოიხიბლებით ქართული ბუნების მშვენიერებით. სამხრეთით გადაჭიმულია თრიალეთის ქედის ტყიანი ფერდობები, რომელნიც ახლოდან მწვანედ მოჩანს, ხოლო შორიდან — სოსნისფრად. მდორედ, მაგრამ ძალუმად მომდინარე მტკვარს თავს დაჰყურებს ბურეთის წვეტიანი ციცაბო და გორიჯვრის ძველისძველი ნანგრევები. აღმოსავლეთით — უძველესი მცხეთისა და თბილისისაკენ, ხოლო დასავლეთით — ხაშურისა და სურამის უღელტეხილის მიმართულებით — საქართველოს შუაგულში ლაღადაა გადაშლილი ქართლის ველი, თავისი საუცხოოდ მოვლილი მინდვრებითა და ბაღ-ვენახებით. ჩრდილოეთიდან გორს გარს ერტყმის თვალწარმტაცი ხილის ბაღები, უფრო შორს კი გადაჭიმულია ტირიფონისა და მდინარე ლიახვის ხეობის უხვნაყოფიერი ველები. შორს, სივრცეში ინაკვთება კავკასიონის ქედის დიდებული მწვერვალები, რომელთაც მარადი თოვლი ჰფარავთ და სამხრეთის მზის სხივებით არიან გაბრწყინებული.

გრილი და კამკამა ლიახვი გვერდით უვლის მაღალ ფრიალო კლდეს და სწრაფად ეშურება მტკვრისაკენ, ხოლო თვით ამ კლდოვან ბორცვზე, რომელსაც მიწისძვრა და მრავალი მტრის შემოსევა გადაუტანია, აღმართულია წინაპართა გმირობით სახელგანთქმული გორის ციხე. ციხის გარშემო, დაბლა მდებარეობს ლამაზი, უაღრესად თავისებური ქალაქი, რომელსაც შესანიშნავი ლექსით უმღერა დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა:

„გორო — ქართლის შუაგულო,  
მეთაურო ქართლისაო,  
ადრე ღირსად წამებულო,  
დღესაც მთქმელო მართლისაო“.

ციხის ახლოსაა აშენებული აგურის პატარა ღარიბული სახლი. ძველად ის წყნარ და ვიწრო ქუჩაზე თავისავით უბრალო სახლების გვერდით იდგა. ამ პატარა სახლს აცხუნებდა მზე, თავს დაჰყურებდა ნათელი ცა. მაგრამ საჭირო იყო შენობის დაცვა ჟამთა სვლისა და უამინდობისაგან.

1936 წელს ის საფუძვლიანად შეაკეთეს და გადახურეს საუცხოო პავილიონით, ხოლო გვერდით პატარა ბაღი გააშენეს.

მივუახლოვდეთ სახლს, ავიდეთ პატარა აივნის სამსაფეხურიან კიბეზე... ორსაგდულიან კართან გაკრულია მარმარილოს დაფა წარწერით: „აქ 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა და 1883 წლამდე თავისი ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა“.

გადავაბიჯოთ პარმაღს, დაკვირვებით დავათვალიეროთ ოთახი, რომელშიაც ცხოვრობდა ხარაზ ბესარიონ ივანეს-ძე ჯუღაშვილის ოჯახი. კარის პირდაპირ დგას თეთრსუფრაგადაფარებული ოთხკუთხა მაგიდა. მაგიდის ახლო ტაბურეტები დგას. მაგიდაზეა წყლის სურა, მინის ტოლჩა, თითბრის ლამპა. როგორც კი დაბინდდება, აქ ანთებენ შუქს.

კედლის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია უჯრებიანი განჯინა, რომელსაც ღია ფერის მუშამბი აფარია. აქვეა სპილენძის სამოვარი, მრგვალი სარკე. ეს ნივთები ჯუღაშვილების ოჯახის საკუთრება იყო. დანარჩენები შეაგროვეს იოსებ ბესარიონის-ძის დედის ეკატერინე გიორგის ასულის მითითებით. წყნარი, დარბაისელი ქართველი ქალი, რომელსაც შავი კაბა ემოსა, თავზე ეროვნული ჩიხტიკოპი ჰქონდა დახურული და თხელი ლეჩაქი ეხვია, აქ დაფუსფუსებდა და თვითონ კარნახობდა — სად რა დაედგათ.

ოთახის მარჯვენა კუთხეში ჰოლანდიური ღუმელია, რომელიც მეზობელ ოთახსაც ათბობდა, სადაც სახლის პატრონის ოჯახი ცხოვრობდა. მარცხენა მხარეს ჩვენ ვხედავთ მუთაქებიან ხის ფართო ტახტს.

აქ უბრალო ადამიანები ცხოვრობდნენ. მამა დაკორძებული ხელებით კერავდა და აკერებდა ფეხსაცმელს. დედა ხელსაქმით იყო გართული, მეზობლებს თეთრეულს ურეცხავდა, ფრთხილად არწევდა თავის ბიჭუნას აკვანს და მღეროდა იავნანას.

დრო გადიოდა და ოჯახის მემკვიდრეც იზრდებოდა, რომელიც თავისი ნიჭით ანცვიფრებდა მეზობლებს — უბრალო ადამიანებს. აი პატარა სოსო უკვე სასწავლებელში შედის, წარჩინებით სწავლობს. იგი ხშირად ადიოდა ზევით, ბურეთის ან რომელიმე სხვა მთაზე და სიყვარულით ფურცლავდა ლევ ტოლსტოის, ჩეხოვის, ბელინსკის, პისარევის, ეგნატე ნინოშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის წიგნებს.

ის, როგორც ხალხის ღვიძლი შვილი, სულ უფრო ხშირად და მწვავედ ფიქრობს ხალხის მძიმე ხვედრზე, ამზადებს თავის თავს მჩაგვრელთა წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში მონაწილეობისათვის. სუფთა და ძლიერი ხმით თავის ამხანაგებთან ერთად მღერის ლაღ ხალხურ სიმღერებს, აღსავსეს რისხვითა და კლასობრივი სიძულვილით.

„მღერით მოდიან, წინ უძღვით,  
მღერალი, სახე მბრწყინავი.  
მღერა იყო თუ ბრძოლის ხმა,  
ქარი იყო თუ ნიავი?“ (გ. ლეონიძე)

* * *

წარმოვიდგინოთ როგორ გამოიყურებოდნენ გორის ქუჩები გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში იდგა ცალმხარეს დაქანებულსახურავიანი სახლები, რიკულებიანი აივნებითა და შუშაბანდებით. უფრო ფართო ქუჩებში დაჰქროდნენ მორთული ეტლები, რომლებსაც სასტუმროსთან და მოდების მაღაზიებთან აჩერებდნენ. ბაზარში ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები ათას რამეს ყიდდნენ: თევზს, ბოსტნეულს, ხილს, ჭურჭლეულს, რითაც ახლაცაა განთქმული გორი. მდუმარე მორჩილებით იდგნენ გამოშვებული ცხენები და კამეჩები. შეკრებილნი ხორხოცებდნენ, ხმაურობდნენ, დაობდნენ. უქმე დღეებში იმართებოდა კრივი. შემდეგ კი, როცა ქუჩებში ფარნები აინთებოდა, გამარჯვებულები დამარცხებულებთან ერთად მიაწყდებოდნენ დუქნებს, სვამდნენ და მხიარულობდნენ. დილით კვლავ იწყებოდა უღიმღამო ყოველდღიური ცხოვრება. გორის ირგვლივ მდებარე მიწები თითქმის მთლიანად ეკუთვნოდათ დიდგვაროვან, ამილახვრის მსგავს თავადებს, რომლებიც დაუნდობლად ჩაგრავდნენ უმიწაწყლო, უუფლებო გლეხობას. თვით ქალაქში ამპარტავან ფეოდალებს მდიდრულად მოწყობილი სახლ-კარი ჰქონდათ წამოჭიმული.

გორში ცხოვრობდნენ სხვა ჯურის ადამიანებიც. ისინი ოცნებობდნენ ხალხის განთავისუფლებაზე და ჰუმანურად ეკიდებოდნენ მას. მაგალითად, ცოტა სასარგებლო საქმე როდი გააკეთა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა, საუცხოო პედაგოგმა და უშინსკის მიმდევარმა დ. დ. სემიონოვმა. მოწინავე ადამიანთა აზრი ბობოქრობდა. აქ მოდიოდა ახალი საქართველოს კერპი აკაკი წერეთელი, რომელსაც მხურვალედ ეგებებოდნენ.

მწიფდებოდა სახალხო რისხვა. ძლიერდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. ი. ბ. სტალინის დაბადების წელს — 1879 წელს გორში შეიქმნა „თავისუფლად მოაზროვნეთა ფარული წრე“. მასში მონაწილეობდა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი), რომელიც მაშინ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა. წრის წევრები ცარიზმის საწინააღმდეგო რევოლუციურ პროპაგანდას აწარმოებდნენ, 1882 წელს მათ არალეგალური კრება მოაწყეს ძველ გამოქვაბულ ქალაქ უფლისციხეში, რომელიც გორის მახლობლად მდებარეობს. ამ კრებაზე გამოვიდა ვაჟა-ფშაველა, და თავისი სიტყვა ასე დაასრულა „ან თავისუფლება, ან სიკვდილი!“

1882 წელს ოთხმოცდაორმა გორელმა, როგორც კი გარიბალდის გარდაცვალების ცნობა გაიგო, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ამ დიდი ადამიანის ქვრივს: „ჩვენ, ყველა დროის დიდი მოქალაქის ჯუზეპე გარიბალდის თაყვანისმცემლები, თქვენი სახით მთელ იტალიელ ხალხს ვუცხადებთ, რომ ამ კეთილშობილური გენიისა და ადამიანის ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სიკვდილმა ისევე დაგვამწუხრა, როგორც მან დაამწუხრა მთელი იტალიელი ხალხი“.

გორის ახლომახლო მცხოვრები გამბედავი ადამიანები, რომლებიც შევიწროვებისა და სიღატაკისაგან გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, თავს ესხმოდნენ დიდგვაროვან მებატონეთა ბუდეებს. მეფის ხელისუფალნი ყაჩაღებად აცხადებდნენ ამ გამბედავ ადამიანებს, შეუბრალებლად უსწორდებოდნენ მათ. ხალხის დასაშინებლად ისინი საჯაროდ დასჯას მიმართავდნენ. საამისოდ კვირა დღეს ირჩევდნენ ხოლმე. ასე მოხდა 1892 წლის 13 თებერვალსაც, როცა ქალაქის მოედანზე სახრჩობელის წინაშე თავი მოიყარეს ქალაქის მცხოვრებლებმა. მატარებლიდან ეს-ეს არის ჩამომხტარი მაღალი ტანის, გამხდარი რუსი ჭაბუკიც აქ მოსულა და დაკვირვებით ადევნებს თვალყურს ყოველივე იმას, რაც ხდება. აქ იდგნენ შუბლშეჭმუხვნილი მოსწავლეებიც, რომლებიც ხელმძღვანელებს დასჯის საცქერად ძალით მოერეკათ.

ჩამოხრჩობამისჯილი ორივე „ყაჩაღი“ ვაჟკაცურად შეხვდა დასჯას. ერთ-ერთმა მათგანმა — ლატაკმა ტატე ჯიოშვილმა, რომელსაც შავი წვერი გაბანჯგვლოდა, საკუთარი ხელით გაისწორა ყელზე შემოხვეული მარყუჟი, თავისით გადახტა ტაბურეტიდან და ჰაერში ჩამოეკიდა. მეორეს, ქერა სანდრო ხუბულურს, რომელსაც დაგლეჯილი ტყავი ეცვა, გაეშიშვლებინა დაძარღვული კისერი და ღონიერი მკერდი და სიკვდილის წინ იღიმებოდა.

მაღალი რუსი ჭაბუკი იმ დროისათვის ყველასთვის უცნობი ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვი იყო. მოწაფეთა შორის, რომელნიც იძულებული გახადეს დასჯის საშინელი სურათისათვის ეყურებინათ, თორმეტი წლის იოსებ ჯუღაშვილიც ერია. მათ ერთმანეთის შესახებ არაფერი არ იცოდნენ და, ეგებ, ერთმანეთის გვერდითაც კი იდგნენ.

დრო გადიოდა, მწიფდებოდა დიდი ისტორიული მოვლენები. წინ იყო არალეგალური კრებები, დემონსტრაციები, გაფიცვები, გმირული მონაწილეობა კომუნისტური პარტიის რევოლუციურ ბრძოლაში. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ბრძოლას ამიერკავკასიაში მეთაურობას უწევდა ახალგაზრდა სტალინი. მას გვერდში უდგნენ გორის სასულიერო სკოლის ყოფილი მოსწავლე ლადო კეცხოველი და ალექსანდრე წულუკიძე. შემდეგ კი, 1905 წლის დეკემბერში, სტალინი შორეული ფინეთის ქალაქ ტამერფორსს გაემგზავრა, სადაც თავის სიცოცხლეში პირველად ნახა ლენინი და სამარადისოდ მისი ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი გახდა.



გორი. პიონერები ი. ბ. სტალინის სახლთან.

სტალინმა კავკასიაში ყოფნის დროსვე, ლენინის პირადად გაცნობამდე იცოდა, რომ ლენინი — რევოლუციის გენიაა, რომ ლენინი ბოლშევიკური პარტიის დიდი დამაარსებელი და ბრძენი ბელადია. ხოლო როცა ლენინი გარდაიცვალა, სტალინმა განაგრძო ლენინის საქმე, პარტიის საქმე, მთელი საბჭოთა ხალხის საქმე.

* * *

ჩვენ კვლავ გორში ვართ. 1937 წლის დეკემბრის მოღუშული, მკაცრი დღეა, ხანდახან გაიელვებს ცივი მზის სხივები. სტალინის სახლ-მუზეუმთან აუარებელი ხალხია. აქ თავი მოუყრიათ ყველა მოძმე ერის მწერლებს — შოთა რუსთაველის საიუბილეო პლენუმის მონაწილეებს. მცირე ჯგუფებად შედიან ისინი სახლში და ათვალიერებენ ყოველ ნივთს, ჩურჩულით უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, ადგილს უთმობენ შემომსვლელებს. აი, ბაღში სკამზე ჩაფიქრებული ზის ლეონიდ ლეონოვი და თავის უბის წიგნაკში გამოსვლის წინ რაღაც შენიშვნებს იწერს. აი, სწრაფი ნაბიჯით მიდის სახლთან გამხდარ-გამხდარი, მაგრამ წელგამართული ანტონ სიმონის-ძე მაკარენკო, რომელსაც კუბანკა ახურავს და უბრალო სამხედრო შინელი აცვია. აი, რაღაცას ენერგიულად, მაგრამ ხმადაბლა უყვება შეკრებილთ და თან სახლისკენ უთითებს ალექსი სურკოვი. ის აშკარად ღელავს და ბეწვის-საყელოიან ტყავის პალტოს იხსნის. მძაფრი ქარი ამოვარდა. მიკოლა ბაჟანი ქურქში რგავს თავს, გვერდით გადგება. მისი ბაგეები შეუმჩნევლად ირხევიან, თითქოს პოეტის არსებაში ლექსის სტროფები იბადებიანო. ჩვენი საერთო საყვარელი, შესანიშნავი ივან დომინიკის-ძე კუპალა ფეტრის შლიაპას იფხატავს, პალტოს საყელოს იწევს, უცქერის სახლს და ამბობს:

— რა დიდებული უბრალოებაა!

თითქმის ერთ საუკუნეს მიღწეული უხუცესი ჯამბული საღამო ხანს ჩამოვიდა. მას თბილი ხალათი ეცვა და მაღალი ტყავის ქუდი ეხურა. იგი გამოიყურება სერიოზულად და დაფიქრებულად. ის დააბიჯებს მძიმე-მძიმედ და რაც უფრო უახლოვდება სახლს, მით უფრო იცვლება მისი სახის გამომეტყველება. მასზე იხატება დიდი დაძაბულობა. ყაზახეთის სახელგანთქმული აკინი ათვალიერებს ჯუღაშვილთა ოჯახის ნივთებს, ისმენს მთარგმნელის ახსნა-განმარტებებს. ის დიდხანს დგას მუზეუმის ოთახში ეკატერინე გიორგის ასულის პორტრეტის წინაშე; ჯამბული შემდეგ ამეტყველდა და ჩვენ გვითარგმნიან მის სიტყვებს:

— მე არ შემიძლია გავძლე მისი სიყვარულით. მე მაგონდება ხალხური სიბრძნის სიტყვები: გენიას ხალხი შობს, შვილს — დედა. დიდებული დედაა!..

* * *

ჩვენ გორში კვლავ მოვხვდით ოქტომბრის დიადი დღესასწაულის წინ.

ცაზე ღრუბლის ნასახიც არაა. ქრის თბილი ქარი.

გავიაროთ ხალხთან ერთად გორის ქუჩებში, დაკვირვებით მიმოვიხედოთ ირგვლივ, შევაფასოთ მომხდარი ცვლილებები. ქალაქის რეკონსტრუქცია ახალი გენერალური გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. საქართველოს საუკეთესო ხუროთმოძღვრები მთელი შემოქმედებითი ძალით მუშაობენ და ეროვნულ არქიტექტურულ სტილს უხამებენ საბჭოთა ქალაქთმშენებლობის უახლეს მოთხოვნებს. მოსკოვის საქალაქო საბჭომ შეფობა აიღო გორზე და ქალაქს დიდ დახმარებას უწევს კეთილმოწყობაში. გაჩნდა ახალი მოასფალტებული ქუჩები და მოედნები, სწრაფად იზრდებიან ნორჩი ხეები და ბუჩქები ახალგაშენებულ სკვერებში. ქალაქის ფარგლებში ასიათასობით მცენარე დაირგო. ქალაქი იზრდება, მშვენიერდება. მისი საზღვრები სულ უფრო და უფრო სცილდება ციხეს. წლიდან წლამდე ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მჭიდროდ დამკვიდრებული კვარტალები. ფართოვდება, თავისუფლდება პატარა სახლებისაგან ძველი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ჩიხები, სადაც ურმები ძლივს გაივლიდა ხოლმე, სწორდება და ფართოვდება. სტალინის პროსპექტი, რომელიც სადგურის გასწვრივ მტკვრის მეორე მხარეს იწყება და ორმოცმეტრიან მაგისტრალს წარმოადგენს, დიდებული სანახავია. ახლა მოედანზე ადმინისტრაციული შენობაა აღმართული, მისი მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. სტალინის სახლთან იგება მუზეუმის მონუმენტური შენობა. აი ბაღების სიმწვანეში ჩაფლული შენობა დრამატული თეატრისა, რომელიც ქართული თეატრის განმაახლებლისა და გამოჩენილი დრამატურგის გიორგი ერისთავის სახელს ატარებს. თეატრს მშვენიერი დასი ჰყავს. აი, დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ბევრი ახალგაზრდა სწავლობს პედაგოგიურ სასწავლებელში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მუსიკალურ სკოლაში. იზრდება გორის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები. ასობით გორელი სწავლობს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში...

ის, ვინც თუნდაც ერთ დღეს ყოფილა ქალაქ გორის მიდამოებში ზაფხულის ბოლოს, აღტაცებული დარჩებოდა ხილის ბაღებით. განსაკუთრებით შესანიშნავია მოყვითალო ფერის ატამი. გათვალისწინებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები და გორში 30-იან წლებში აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი დიდი საკონსერვო ქარხანა. ახლა გორულ ხილს ამუშავებს ეს ქარხანა და უხვად აწვდის მოსკოვისა და კიევის, პოლარული ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის მშრომელებს.

გავიხსენოთ, რომ რევოლუციამდე გორში არ იყო არც ერთი, თუნდაც სულ მცირე, ქარხანა ან ფაბრიკა. ახლა პარტიის ნებით, ხალხის ნებით, საკონსერვო ქარხნის გარდა, აშენდა ხე-ტყის სახერხი, შპალსაჟღენთი, ასფალტ-ბეტონის ქარხანა, შენდება ბამბეულის კომბინატი. ამ კომბინატის პირველი რიგი უკვე ამუშავდა.

თუ ლიახვის ახალ ხიდს გაივლით და ხაშურისაკენ მიმავალ გზას დაადგებით, ბევრ ახალს შენიშნავთ. მდინარის მარჯვენა ნაპირზე მტკვარის შესართავის მახლობლად რამდენიმე წლის წინ ქალაქის ტიპის არც ერთი შენობა არ იყო. ახლა იქ ფართოდაა გაჩაღებული ბამბეულის დიდი კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც საქართველოს საფეიქრო მრეწველობის უმძლავრესი საწარმო იქნება... გზის ორივე მხარეს მოჩანს მშვენიერი საცხოვრებელი ბინები...

ჩვენ ვუახლოვდებით სტადიონს, რომელიც ხუთი ათასი კაცისათვისაა გათვალისწინებული...

ლიახვის გვერდით გაშენებული ბაღი გაფართოვდა და წესრიგში იქნა მოყვანილი, მას თუჯის ღობე აქვს შემოვლებული. აქაც ბევრია ნორჩი ნარგავი; ხოლო იქ, სადაც ლიახვი ერთვის მტკვარს, ლამპიონებით დამშვენებული სანაპირო გასდევს. ბურეთის მთასა და მდინარეს შორის მიგრიალებენ ელექტრომავლები, შავი ზღვისა და კასპიის ზღვისაკენ მიაქანებენ სარკინიგზო შემადგენლობებს. ახალი სარკინიგზო შტო, რომელიც ჩრდილოეთით უხვევს, ქ. გორს აერთებს სტალინირთან. იცვლება თვით გორის ციხეც; საუკეთესო მეცნიერების მეთვალყურეობით წარმოებს მისი რეკონსტრუქცია. ხალხისა და კომუნისტური პარტიის ნებით ქალაქი გორი, სხვა საბჭოთა ქალაქებთან ერთად იზრდება, ფართოვდება, ლამაზდება.

გული სიამაყით ივსება. რა შესანიშნავი ხვედრი ერგოთ უბრალო ადამიანებს — ეწოდებოდეთ საბჭოთა ხალხი, რომელიც ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმს.

თარგმანი ვ. ბაიაძისა

# კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი


ეროვნული ბიბლიოთეკა

20 წლის წინათ, 1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში იმპერიალისტური დაზვერვის აგენტისა და ზინოვიევის კონტრრევოლუციური ჯგუფის გარეწარი წევრის ხელით ვერაგულად მოკლული იქნა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მებრძოლი სერგეი მირონის-ძე კ ი რ ო ვ ი.

ს. მ. კიროვი დაიბადა 1886 წლის 27 მარტს ყოფილ ვიატკის გუბერნიის ქ. ურჟუმში.

კიროვი ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. თვრამეტი წლის ახალგაზრდა კიროვი, 1904 წელს, შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და იმ დროიდან თავდადებით იბრძვის პარტიის საქმის გამარჯვებისათვის.

პარტია ყოველთვის პასუხსაგებ საქმეებს ანდობდა ამხანაგ კიროვს და იგი ერთგულად და თავდადებით ართმევდა თავს მის წინაშე დასმულ უაღრესად რთულსა და სერიოზულ ამოცანებს.

კიროვი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის სამივე რევოლუციაში.

ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს კიროვი გვევლინება უშიშარ რევოლუციონერად, რომელსაც ვერ სტეხდა მეფის მთავრობის დევნა, ციხე და გადასახლება.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში ამხანაგი კიროვი იყო წითელი არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მშენებელი. კიროვის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ასტრახანის გმირული დაცვა სამოქალაქო ომში.

1920 წლის მაისში ს. მ. კიროვი ინიშნება საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში, სადაც ძალაუფლება ხელთ ქონდათ მენშევიკებს. 1921 წლის თებერვალში მონაწილეობას ღებულობს საქართველოდან ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების აგენტების — მენშევიკების განდევნაში. პარტიის X ყრილობა ს. მ. კიროვს ირჩევს ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

1921 წლის ზაფხულში ს. მ. კიროვს, ირჩევენ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, იგი სათავეში უდგება რესპუბლიკის მშრომელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, ნავთის მრეწველობის აღდგენაში. ს. მ. კიროვი იყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მან დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში, 1923-24 წლებში იგი გ. კ. ორჯონიკიძესთან ერთად ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლას ტროცკისტების წინააღმდეგ.

ლენინიზმისადმი ერთგულებამ, კომუნისტური პარტიის მტრებისადმი დაუნდობლობამ, რწმენამ მასების ძალაში და კომუნიზმის გამარჯვებაში, განსაკუთრებულმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და უნარმა ს. მ. კიროვი წამოწიეს კომუნისტური პარტიის იმ სახელოვან და გამოჩენილ ხელმძღვანელთა რიგებში, რომელთაც უზრუნველყვეს ლენინიზმის დიადი დროშის დაცვა ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა კაპიტულანტებისაგან, დარაზმეს საბჭოთა ხალხი ლენინის ანდერძის შესასრულებლად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

1926 წლიდან ს. მ. კიროვი პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ჩრდილო-დასავლეთ ბიუროს მდივანია. იგი სათავეში ჩაუდგა ლენინგრადის კომუნისტების ბრძოლას ლენინგრადის ოლქის მრეწველობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

ს. მ. კიროვი იყო კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი აღიარებული და საყვარელი ხელმძღვანელი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. 1929 წლის 29 მაისს ი. ბ. სტალინმა ს. მ. კიროვს აჩუქა წიგნი „ლენინისა და ლენინიზმის შესახებ“ ამაღელვებელი წარწერით: „ჩემს მეგობარს და საყვარელ ძმას ავტორისაგან“.

ს. მ. კიროვი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო, ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი ლენინურ-სტალინური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების განხორციელებისათვის, რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლას, იგი ყოველთვის უკავშირებდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობას.

ს. მ. კიროვი დაუნდობელი და სასტიკი იყო პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მკაცრად ამხილებდა ოპორტუნისტების კონტრრევოლუციურ არსს. მგზნებარე ტრიბუნი ს. მ. კიროვი დაბეჯითებით თანამიმდევრულად აწარმოებდა ბრძოლას ყველა იმათ მიმართ, ვინც გამოდიოდა პარტიის წინააღმდეგ, მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

პარტიის XII ყრილობიდან ს. მ. კიროვი იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1926 წელს არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო 1930 წლიდან — პოლიტბიუროს წევრად, 1934 წლიდან იგი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა.

მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს აყვავებასა და განმტკიცებას მიუძღვნა ს. კიროვმა თავისი სახელოვანი ცხოვრება. კომუნიზმისათვის ამ თავდადებული მებრძოლის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მშრომელთა გულებში.

გ. ხომერიკი

# მომავალი მშენებლები



← ეს იარაღები და დეტალები სახელოსნოს აღსაზრდელთა ხელითაა შექმნილი.

**ედ. ყიფიანი**

ყველანი წავიდნენ. პატარა ბიჭუნა მარტო დარჩა სახლში. აი, სწორედ ახლა შეიძლება გაგება იმისა, თუ რატომ და როგორ ტიკტიკებს მაგიდაზე დადებული მრგვალი საათი. არავინ გაუწყრება, ვერავინ გაუგებს; დაშლის და ისევ ააწყობს საათს. იგი უკვე თორმეტი წლისაა, ამოდენა ბიჭმა ხომ ყველაფერი უნდა იცოდეს! მაგიდას უახლოვდება, ერთხელ კიდევ იხედება კარისკენ, საათს ორივე ხელით იღებს და იქვე, იატაკზე ჯდება. იწყება საინტერესო, თავდამავიწყებელი „მუშაობა“. აი, მოხსნა ქანჩი, მერე მეორე, მესამე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც საათს აწერია „ისრები“, „ზარი“, „სვლა“. საათს ხუფი თავისთავად მოძვრა, გამოჩნდა მექანიზმი. ოჰო, რა ლამაზი ყოფილა... რამდენი ბორბალია! მაკრატლის ან დანის დახმარებით იგი განაგრძობს მექანიზმის დაშლას. და... უეცრად ტიკტიკი წყდება, საათი გაჩერდა. შეშინებული და შემკრთალი ბიჭუნა სასწრაფოდ თავს უყრის საათის ნაწილებს, „თავთავის“ ადგილზე ამაგრებს, ხუფს ახურავს, ქანჩებს უჭერს. საათი ისევ აწყობილია, მაგრამ... აღარ მუშაობს... მოდიან მშობლები, ბიჭუნას უჯავრდებიან, საათი მესაათესთან მიაქვთ, მაგრამ ასეთ პასუხს იღებენ მისგან: „მაგის შეკეთება არ ღირს, ჯობს ახალი შეიძინოთ“. და პატარა ბიჭუნას სასიხარულოდ საათი სამუდამოდ გადადის მის მფლობელობაში.

ყოველ ჩვენთაგანს მოუსმენია და უნახავს მსგავსი ამბავი, ყველამ იცის, თუ რა „მტრულად“ ეპყრობიან პატარა ბიჭუნები ყველაფერს, რაც თავისით ტიკტიკებს, რაც თავისით დაგორავს, კერავს ან უკრავს. საათი იქნება ეს, ელექტროუთო, საკერავი მანქანა თუ პატეფონი. მათი გამოუცდელი თითები ყველაფერს უნდა შეეხონ, მათმა ცნობისმოყვარე თვალებმა ყველგან უნდა შეიჭვრიტონ.

სწორედ ასეთმა ცნობისმოყვარემ, ტექნიკით გატაცებულმა ბიჭუნებმა შეავსეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში შექმნილი სახელოსნო სასწავლებლები. აქ იპოვნეს დაუშრეტელი წყარო ცოდნის წყურვილის დასაკმაყოფილებლად. ამ სასწავლებლებში ისინი უკვე ნამდვილად სწავლობენ „თავისით მოტიკტიკე, თავისით მოსიარულე“ მექანიზმების შექმნას, საზეინკლო ჩარხების აწყობას, მანქანათა რთული დეტალების მოხარატებას, გემისა თუ ორთქლმავლის მოდელების დამზადებას, რათა სპეციალისტის მოწმობა მიიღონ და მუშაობა განაგრძონ ჩვენი სამშობლოს ათასობით ქარხნებში, მტს-ებში, რკინიგზის დეპოებში, გემთმშენებელ დოკებში. სახელოსნო სასწავლებლებში მათთვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი ამ მიზნის მისაღწევად.

* * *

თბილისის № 5 სახელოსნო სასწავლებელი 14 წელია, რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში სახელოსნომ 1775 სპეციალისტი გამოუშვა. მათ შორის მე-4 და მე-5 თანრიგის ზეინკლები, ხარატები, მრანდავები და მგლინავები. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამჟამად მუშაობს № 5 სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან შემდგარი ბრიგადა, რომელიც სამუშაოების დამთავრების შემდეგ გაემგზავრება სუმგაიტში საგლინავი ჩარხის ასაწყობად. ჩვენი ქვეყნის მშენებლობათა სხვადასხვა ობიექტებზე იმყოფებიან სახელოსნოს ყოფილი მოსწავლეები, მრავალი მათგანი კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე სამუშაოდ გაემგზავრა ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებში. შიო გედევანიშვილი და რევაზ ბოლოთაევი ყაზახისტანში მუშაობენ ყამირი მიწების ასათვისებლად. ზოგი უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას. ბევრი თბილისის მანქანათმშენებელი და დაზგათმშენებელი ქარხნების საამქროებში იწყებს მუშაობას. ოთარ გაგნიძემ სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, ახლა კი თვითონ ასწავლის ხარატობას № 5 სახელოსნო სასწავლებლის აღსაზრდელებს.

ეს სასწავლებელი სპეციალურია. აქ უდედმამო ბავშვები სწავლობენ, მაგრამ თუ შეიხედავთ საერთო საცხოვრებლის ნათელ და სუფთა ოთახებში, თუ შეხვალთ სასადილოში, სამკითხველოში, საამქროებში, თუ დააკვირდებით ბავშვების ჩაცმულობასა და აღმზრდელი პედაგოგების დამოკიდებულებას მათდამი, დარწმუნდებით, რომ ისინი არ გრძნობენ თავს ობლად. მათ ჰყავთ ერთი საერთო მშობელი — დიდი საბჭოთა ქვეყანა.

უამრავი მეტალი იხარჯება და „ფუჭდება“ იმისათვის, რომ ახალმოსულმა ბავშვმა აითვისოს დაზგაზე დეტალის გამოჩარხვა. სწავლების პირველ თვეს მოსწავლემ იმ რაოდენობის ვარგისი პროდუქცია უნდა გამოუშვას, რასაც კვალიფიციური მუშა ერთ საათსა და 40 წუთში დაამზადებდა. დანარჩენი პროცენტი მასალისა მსხვერპლად ეწირება ამ მცირეოდენი ვარგისი პროდუქციის მიღებას. სწავლების მეორე თვეს უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებენ აღსაზრდელებს და ასე გრძელდება, ვიდრე მათი გამომუშავება თანრიგოსანი მუშის პროდუქტიულობას არ გაუტოლდება. პრაქტიკული სწავლების გარდა, სახელოსნოში არასრული საშუალო სკოლის თეორიულ საგნებსაც უკითხავენ მოსწავლეებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალურ ტექნოლოგიას, ტექნიკურ ხაზვას, ზუსტმზომი ხელსაწყოების ათვისებას. ასე რომ ქარხანაში მისვლისას სახელოსნოს კურსდამთავრებულნი გამოცდილ მუშებს ეცილებიან თავიანთი ცოდნით.

სახელოსნოს საამქროები მოსწავლეების მიერ დამზადებულ და აწყობილ დაზგებითაა მომარაგებული. დღეს მათზე კიდევ ახალი და ახალი დაზგების დეტალები მზადდება ჩვენი ქვეყნის

პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით სახელოსნო სასწავლებელმა შეფობა აიღო 36-ე სკოლაზე. სურათზე: 36-ე სკოლის მოსწავლეები ეცნობიან სახარატო დაზგას.



№ 5 სახელოსნო სასწავლებლის სამკითხველოში.



ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის. № 5 სახელოსნო სასწავლებელმა 6,5 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა სახელმწიფოს. ეს საზოგადოებრივი დოვლათი მოსწავლეების ხელითაა შექმნილი.

სახელოსნოს რადიოკვანძი ხშირად გადასცემს ცნობებს მოსწავლეთა წარმატების შესახებ, იმის შესახებ, რომ მოცეკვავეთა წრემ სიგელი მიიღო შრომითი რეზერვების მოსწავლეთა ოლიმპიადაზე, რომ 1955 წელს სახელოსნოს აღსაზრდელებმა უნდა აითვისონ ჩქაროსნული, მოდერნიზებული ჩარხი, რომ ამ საღამოს № 5 სახელოსნო სასწავლებლის კლუბში ნაჩვენები იქნება კინოფილმი: „მამაცი ადამიანები“ და სხვ.

საყოველთაო პოლიტექნიკური სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით სახელოსნომ შეფობა აიღო თბილისის 36-ე საშუალო სკოლაზე. ამ სკოლის მე-8 და მე-9 კლასის 80-დე მოსწავლეს ზეინკლობასა და ხარატობას ასწავლიან სახელოსნოს ფრიადოსანი აღსაზრდელები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში.

№ 5 სახელოსნო სასწავლებლის ლიტერატურულ კაბინეტში ჰკიდია პლაკატი, რომელზეც მაქსიმ გორკის სიტყვები წაუწერიათ ბავშვებს: „ყოველივე საუკეთესო, რაც ჩემში არის, წიგნმა მომცა“. ეს სიტყვები მექანიკურად არ არის გადმოწერილი, თუ საერთო საცხოვრებელში შეიხედავთ, შეამჩნევთ წიგნებს, მაგიდაზე, კადარაში, საწოლზე, ბალიშქვეშ. ტექნიკურსა და მხატვრულს, პოპულარულსა და სპეციალურს. მომავალი ოსტატები ქართულისა და რუსულის გარდა გერმანულსა და ინგლისურ ენებსაც ეუფლებიან. სწავლობენ ფიზიკას, გეოგრაფიას, ზოოლოგიას. ამას წინათ შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე № 5 სახელოსნო სასწავლებლის ნორჩმა მიჩურინელებმა თავიანთი გამოყვანილი ყვავილებიც წარმოადგინეს. „მელითონეები და ყვავილები?“ — უკვირდათ მნახველებს.

№ 5 სახელოსნო სასწავლებლის აღსაზრდელთა მიღწევები არა მარტო მნახველებს, შორეულ მეგობრებსაც ჰგვრის სიხარულსა და ალტაცებას. ორი თვის წინათ სახელოსნოში მოვიდა ვარშაველი მოსწავლის კომოსა ურშულას წერილი: „არ ვიცი ვინ მიიღებს ამ წერილს — წერს იგი — მინდა მიწერ-მოწერა ვიქონიო თქვენი სკოლის ერთ-ერთ მოსწავლესთან... ჩვენს ტექნიკუმში დაარსებულია „პოლონეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის წრე“, რომლის წევრადაც მე ვითვლები. ჩვენ ვაწყობთ კრებებს, ვისმენთ მოხსენებებსა და ლექციებს, ვკითხულობთ საბჭოთა წიგნებს, ვესწრებით საბჭოთა კინოფილმებს, და ვგებულობთ თუ რა დიდ წარმატებებს აღწევთ თქვენ მშვიდობიან შრომაში... ნახვამდის, ჩემო მეგობარო. გთხოვ აუცილებლად მომწერო“.

ვარშაველმა გოგონამ ალბათ არ იცოდა, რომ მის წერილს ვაჟებთან ერთად გოგონებიც წაიკითხავდნენ — № 5 სახელოსნო სასწავლებელში ამას წინათ გოგონებიც მიიღეს აღსაზრდელად. ისინი ვაჟებზე არა ნაკლებ ენერგიასა და მონდომებას იჩენენ დაზგებთან მუშაობისას, არანაკლები სიადვილით იმორჩილებენ ლითონს.

* * *

სახელოსნო სასწავლებლები ყოველწლიურად ათასობით სპეციალისტს აძლევს სამშობლოს. ქალაქ სტალინოს სასწავლებელში სამთო მრეწველობის სპეციალისტები იზრდებიან, კიევში — რკინიგზის ტრანსპორტის მომავალი ოსტატები, რიაზანში — გემების მექანიკოსები. სახელოსნო სასწავლებლების ყოფილი აღსაზრდელებიდან ამჟამად 19 სტალინური პრემიის ლაურეატია. და ვინ იცის, მათ შორის, ვინც დღეს პირველად ნახა დაზგა, პირველად მოჰკიდა ხელი დეტალს, რამდენი გახდება სახელოვანი. იქნებ სწორედ მათ შორისაა ის ინჟინერი, რომელიც მომავალში ტელეფონ-ტელევიზორს გამოიგონებს, რომელიც საპლანეტთაშორისო გემით მთვარისკენ გაფრინდება 19.... ძნელია იმის თქმა, თუ რომელ წელს. ალბათ, რომელიმე მათგანი, უკვე დავაჟკაცებული და შრომითი საქმეებით სახელმოხვეჭილი შემთხვევით წააწყდება საკუჭნაოში მიგდებულ, ბავშვობაში დამტვრეულ საათს. გაეღიმება. თავისივე ხელით შეაკეთებს, ააწყობს და აამუშავებს კომუნიზმის პირველი წუთების გადასათვლელად.

სახელოსნო სასწავლებლის გოგონები ხშირად იღებენ „შეკვეთებს“ ბიჭებისაგან. აი ნაირა ბიჭიკაშვილი საყელოს აკერებს რევაზ სვანიძის ხალათზე.



ზუსტმზომი ხელსაწყოების შემსწავლელი წრის მეცადინეობა.



# ტყვარჩელში

ფოტო შ. ჩხეტიანისა

**ამირან ნინუა**

შოფერს ნელა მიჰყავს მანქანა. ლაჟვარდ ცაზე ზღაპრული შავი ფრინველებივით დანავარდობენ საჰაერო გზის ვაგონეტები, რომლებიც ხან დაბლა ეშვებიან, ხან მაღლა-მაღლა მიიწევენ, კორტოხებს სერავენ და შურდულივით იჭრებიან გვირაბებში.

— მგონი სადღაც აქვე უნდა იყოს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები, — ამბობს მეშახტეთა ფორმაში გამოწყობილი, ხანში შესული მგზავრი.

— თქვენ საიდან მოდიხართ? — ეკითხება მას ერთ-ერთი თანამგზავრი.

— მაკეევკიდან, — აცხადებს ძველი მეშახტე ვასილ საპოვი, — ჩემი კოლეგებიც მოდიან კუზბასიდან, კრივოი როგიდან. მოდიან დონბასიდანაც ალექსი სტახანოვის, მირონ დიუკანოვისა და ნიკიტა იზოტოვის პირადი მეგობრები, გაიცანით... საგზურები გვაქვს ტყვარჩელის ბალნეოლოგიურ სანატორიუმში. როგორც ამბობენ, ტყვარჩელი არა მარტო ქვანახშირის საბადოებით არის განთქმული, არამედ ბალნეოლოგიური რადიაქტიური წყლებითაც, წიწვიანი მცენარეებითაც...

— დიახ, აგრეა!

ჩაღდება საუბარი ქართველ და უკრაინელ მეშახტეთა შორის მეგობრობაზე, ბედნიერ ცხოვრებაზე.

ვიღაცამ ძველი დროც მოიგონა.

ძველმა მეშახტემ სიმწრით გაიხსენა 1913 წელს მომხდარი ერთი უბედური შემთხვევა. გვიამბო, თუ როგორ დაიღუპა 300 მეშახტე დონბასის ერთ-ერთი შახტის აფეთქების დროს. — ასეთი შემთხვევა ხშირი იყო... არავინ გვთვლიდა ადამიანად. სად იყო კინო, თეატრი, კულტურა! დღესაც ასეა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

— ამას წინათ, — ამბობს კოჟემიაჩენკო, — საბჭოთა ჟურნალისტის ზავადსკის მოგონებებს ვკითხულობდი: „ხუთი წელი ოკეანის გაღმა“, სადაც ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ერთ კომპანიაში თითქმის მეოთხედი საუკუნე იმუშავა მეშახტემ. ხელშეკრულების თანახმად 25 წლის შემდეგ მისთვის პენსია უნდა დაენიშნათ, მაგრამ იგი დათხოვნილ იქნა სამუშაოდან სწორედ მაშინ, როცა პენსიის დანიშვნის დრომ მოაღწია.

— კვეზანი! — აცხადებს შოფერი და მანქანა წუთით ჩერდება. ჩვენ ჩამოვდივართ. ღიმილითა და ცხვირსახოცის ქნევით გვეთხოვებიან საავარაკოდ მიმავალი მეშახტეები.

*

* *

ვისაც მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ უნახავს კვეზანი, მეშახტეთა ეს ადმინისტრაციული ცენტრი, იგი ვეღარ იცნობს მას. მიჯრით ჩამწკრივებულან სამ, ოთხ და ხუთსართულიანი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობები, გულს ახარებს მოასფალტებული ფართო ქუჩები და მოედნები, წიწვნარებსა და ვარდ-ყვავილებში ჩაფლული ბაღები და გაზონები. აქვეა მოთავსებული პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი, აღმასკომი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქცია, სკოლები, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ლამაზი საცხოვრებელი კვარტალები, სავაჭროები და სხვა დაწესებულებანი.

სულ ორი ათეული წლის ისტორია აქვს მეშახტეთა ქალაქ კვეზანს. — გენერალური გეგმით ქალაქს 36 კვარტალი ექნება. აქედან დღემდე მხოლოდ 7 კვარტალია აშენებული. ქალაქში აშენდება 155 სამ, ოთხ და ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ოთხმოცდაათ ათასამდე კვ. მეტრის მოცულობით. აშენდება კულტურის სასახლე 750 მაყურებლისათვის, სტადიონი 3.000 მაყურებლისათვის. სულ ქალაქის მშენებლობისათვის დაიხარჯება სამას მილიონ მანეთზე მეტი.

ქალაქის შემოგარენზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, გორაკის კალთებზე, ბაღებში ჩაფლული ლამაზი კოტეჯების მთელი ქალაქი მოჩანს. იქ მეშახტეები ცხოვრობენ. სულ ორი წელია, რაც ეს ქალაქი გაჩნდა. ლაღად ცხოვრობენ კოტეჯთა მკვიდრნი. თითქმის ყველას აქვს თავისი პატარა ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ჰყავს ძროხა, ღორი, ფრინველი. იქვე აქვთ აბანო, სავაჭრო მაღაზიები, საპარიკმახეროები.

თუ რა მზრუნველობას იჩენს პარტია და მთავრობა ჩვენი ქვეყნის მეშახტეებზე, ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ციფრი. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიკომმა მიმდინარე წელს ექვსი თვის განმავლობაში მარტო სოცდაზღვევის თანხებიდან მეშახტეებს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მისცა. შარშან და წელს ათასზე მეტმა მეშახტემ მიიღო საგზური და შვებულება ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაატარა. ამავე პერიოდში მეშახტეთა 2000-ზე მეტმა ბავშვმა დაისვენა პიონერთა ბანაკებში და სხვა საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში, ნახევარი წლის განმავლობაში ერთდროული დახმარების სახით გაცემულმა თანხამ ასი ათას მანეთს გადააჭარბა. ნამსახურობისათვის ტყვარჩელელი მეშახტეები ათობით მილიონ მანეთს იღებენ ყოველწლიურად. მაგალითად, ელექტროზეინკალმა მ. აროტოვსკიმ მიიღო 2974 მანეთი, მეგზურმა პ. ტინინმა — 3.095, მექანიკოსმა ე. სიდელნიკოვმა — 8250, გამყვანმა ა. უშირიხინმა — 3405, სამთო ოსტატმა ი. გორბუნოვმა 3669 მანეთი. ასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი ღებულობს პენსიას 500-დან 1500 მანეთამდე.

ქვანახშირის მრეწველობაში ახალი სამთო მექანიზმების და მანქანების დანერგვის შედეგად მკვეთრად გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გაადვილდა მეშახტეთა შრომა. გაიზარდა მათი ყოველდღიური გამომუშავება. პარტიისა და მთავრობის მშობლიურ მზრუნველობას მეშახტეები გმირული შრომით პასუხობენ. ბევრმა მათგანმა დროს გაუსწრო და ახლა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის № 4 შახტის ღია კარიერი ახიბლარაზე. ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მოწინავე მეშახტეები პეტრე პონომარენკო და იოსებ ზაქარეიშვილი.

1960 წლის ანგარიშში იძლევა ქვანახშირს. წარჩინებული მეშახტეების ი. თოხაძის, ი. ტკაჩენკოს, ნ. ხაჩიფერიძის, შ. ვოვბას, ვ. ასრაკაძის, ი. ბაკუროვის, ვ. ჟიტნიკოვის, ა. კობერიძის, შ. კორთხონჯიას, ს. ლაზურენკოს და სხვათა ყოველთვიური გამომუშავება 5-6 ათას მანეთს აღწევს.

ჩქაროსნული ბურღვის ოსტატმა გ. ლამბარიანმა სახელი გაითქვა მთელს ტყვარჩელში, როგორც გვირაბგამყვანთა სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთმა ინიციატორმა. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გაყვანის სისწრაფე თვეში გეგმით გათვალისწინებული 60 მეტრის ნაცვლად, 150 მეტრამდე აიყვანა და ნახევარი წლის განმავლობაში მარტო პრემიის სახით 220.500 მანეთი მიიღო.

ლამბარიანის ბრიგადას თავის მხრივ გაუსწრო ბახტაძის მბურღავთა ბრიგადამ, რომელმაც მარტო პრემიის სახით 246.141 მანეთი მიიღო. თვითონ ლამბარიანისა და ბახტაძის ყოველთვიური გამომუშავება 5-6 ათას მანეთს აღემატება.

მრავალი ტყვარჩელელი მეშახტე წარმოებისაგან მოუწყვეტლად ღებულობს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას. ასობით ახალგაზრდა სწავლობს სამთო სკოლაში, ეწაფება წიგნს, ცოდნას, განათლებას. ჟურნალ-გაზეთები მეშახტეთა ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცა. კულტურის სასახლე, კინოთეატრები, მრავალი ბიბლიოთეკა და წითელი კუთხე, მეშახტეთა კულტურული ცხოვრების სამსახურში არიან ჩაყენებული.

ვნახეთ ახალგაზრდა მეშახტეთა სანიმუშო საერთო საცხოვრებელი. ხალხთა ოჯახი — ასე უწოდებენ ამ სახლს მეშახტეები. აქ ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები.

ნაირ-ნაირი ყვავილებისა და ხეხილის ბაღშია ჩაფლული გიორგი ლამბარიანის კოპწია კოტეჯი. განიერ აივანზე თავაზიანად შემოგვეგება ოჯახის დიასახლისი. მან შეგვიყვანა ფართო, ნათელ დარბაზში, რომლის კედლები დამშვენებულია ლენინისა და სტალინის პორტრეტებით.

იქვე, საწერ მაგიდაზე, რადიომიმღებთან ორი თეთრბანტიანი გოგონა ზის. ჩვენს დანახვაზე გოგონები წამოდგნენ და თავაზიანად მოგვესალმნენ.

— მეზობლის ბავშვები არიან, დღეს დაბრუნდნენ პიონერულ ბანაკიდან, ჩემი ბავშვის კარგად ყოფნა მახარეს, — გვეუბნება დიასახლისი.

*

* *

მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს მეშახტეთა ქალაქი აკარმარა. ზემძლავრი „დონბასები“ და „გორნიაკები“ ებრძვიან მიწის წიაღში საუკუნოობით უქმად ჩამარხულ „შავი ოქროს“ ლოდებს.

როცა ბინდი ჩამოწვება, ქალაქი ერთბაშად გაჩირაღდნდება. ილიჩის ათასობით ნათურა აციმციმდება მეშახტეთა ბინებში. ასობით ახალგაზრდა ირთვება საზეიმოდ, მიეშურება კლუბში, თეატრში, ბიბლიოთეკაში, რომ დაესწროს ახალ დადგმას, ნახოს კინოსურათი, მოისმინოს ლექცია, გაისეირნოს ბაღებში.



სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ტყვარჩელის ბალნეოლოგიური სანატორიუმი.

# სახელოვანი იუბილარი

**შ. შაველაშვილი** ფოტო რ. აკოფოვისა

აგარის მტს-ის დირექტორი ანდრო ბარბაქაძე, უბნის აგრონომი პლატონ ხაბეიშვილი და ქარელის რაიკომის მდივანი აგარის მტს-ის ზონაში ივანე ბუზალაძე ამოწმებენ მალცევის მეთოდით ხვნის ხარისხს. →



**ეს იყო** 1929 წელს... პირველი ტრაქტორის გუგუნის ხმა ფციურის ხეობას მოედვა და უცნაურმა გუგუნმა ქართლის ველებს გადაუარა. პირტიტველი ჭაბუკი ზაქარია ჩუტკერაშვილი ხალისიანად მართავდა საჭეს. ნიავი ალერსით უწეწავდა ქოჩორს. ზაქარია გრძნობდა, რომ სოფლის დიდი და პატარა მას უცქერდა და გულში დაფარულ სიამაყეს გრძნობდა. „რკინის ხარის“ სანახავად სოფელი გამოფენილიყო. ბავშვები კვალდაკვალ მისდევდნენ მანქანას. გოგოები თვალს არ აშორებდნენ ტრაქტორისტს.

— ეს წრომელი შაქრო არ არის?!

— არწივივით კი დასცხრომია ტრაქტორს!

— ბიჭობაც ეგ არის, თორემ გუთნის მეხრედ პაპაჩემიც მუშაობდა.

„მაყურებელთა“ რიცხვი თანდათან იზრდებოდა ფცისა და შაქშაქეთის ხოდაბუნებზე. ყველას უნდოდა პირველი ტრაქტორი თავისი საკუთარი თვალით ენახა.

მას აქეთ ოცდახუთმა წელმა გაიარა... წრომელ ზაქარიას საფეთქლებთან ჭაღარა გაუჩნდა, გული კი კვლავ ჭაბუკივით ხალისიანი აქვს.

აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დაარსებიდან დღემდე ზაქარია ჩუტკერაშვილი მექანიზატორად მუშაობს. 25 წლის მანძილზე იგი მრავალ პროფესიას დაეუფლა. იცის არა მარტო ტრაქტორისტობა, არამედ ზეინკლობაც. ემარჯვება სახარატო საქმეც. მკის დროს ფასდაუდებელი კომბაინერია. ახლა კი მექანიკოს-კონტროლიორია. ზაქარიამ უნდა შეამოწმოს სატრაქტორო პარკიდან გასული კომბაინი, ტრაქტორი, სათესი მანქანა... ალექსანდრე ბერუაშვილი და შალვა მაისურაძეც ზაქარიასთან ერთად ავიდნენ ტრაქტორზე. ეს პირველი მექანიზატორები ახლაც აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობენ. ალექსანდრე მექანიკოსია, ხოლო შალვა სატრაქტორო ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ასე იზრდებიან ჩვენში უბრალო ადამიანები.

ჩვენ შევხვდით ზაქარიას, როცა ის კომბაინის რემონტის ხარისხს ამოწმებდა.

— ხელცარიელი მოვედი აქ. ხელობა არა მქონდა. — გვიამბობდა იგი, — ექვსთვიანი კურსების დამთავრების შემდეგ ტრაქტორისტი გავხდი. ახლა კი, აი, თქვენც ხედავთ მექანიკოს-კონტროლიორი ვარ.

— რა მოგცათ მექანიზატორის პროფესიამ?

— აბა, აი იქითკენ გაიხედეთ. ორსართულიან სახლს ხომ ხედავთ, ის ჩემი სახლია. — განაგრძო მან, — ხუთი ოთახი მაქვს. აქ მოვეკიდე ოჯახს. აქ, აგარაში თუ ვინმეა, არც მე ვარ მათზე ნაკლებად. წინათ ღარიბად ვცხოვრობდით. წრომში ერთი ტახტი გვქონდა. ყველას იმ ტახტზე გვეძინა. ახლა კი ნიკელის საწოლები, კარგი ავეჯი, და მორთულობა ამშვენებს ჩემს ოჯახს. ორი შვილი მყავს. ნელი მერვე კლასში სწავლობს, დალი კი მეორე კლასელია.

თავის თავზე ლაპარაკი ეუხერხულებოდა ზაქარიას. კომბაინს მიუბრუნდა და მუშაობა განაგრძო.

სახელოსნოში შევიარეთ.

ახალი ტექნიკით აღჭურვილი მექანიზატორები ტრაქტორებს არემონტებდენ.

— ძია ივანეს გაგაცნობთ, — გვეუბნება მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი ანდრო ბარბაქაძე.

— ვინაა ძია ივანე?

— მობრძანდით, თქვენ თვითონ მიხვდებით ვინცაა.

**აგარის მტს-ის პარტბიუროს მდივანი გრიგოლ დარსაძე და კომბაინერ-მექანიკოსი ალექსანდრე ცოტნიაშვილი ამოწმებენ პარკში შემოსულ კომბაინებს.**



მექანიკურ სამჭედლოში შევყევით დირექტორს. გავარვარებულ ქურასთან მდგომი მოხუცი მჭედელი ტრაქტორის დეტალს ჭედავდა.

— აი, ესაა ძია ივანე, — განაგრძო ანდრომ, — მექანიზატორთა ძველი კადრი. 25 წელიწადია აგარის მტს-ში მუშაობს. მოხუცდა, მაგრამ ძველებურად მკლავმარჯვე და სწრაფია.

ძია ივანე იგონებს:

— ჩვენი მტს-ი პირველად გომში იყო. გომელებმა თივის საპრესი ფარდული დაუთმეს, ვიდრე აქ, აგარაში ეს სახელოსნოები აშენდებოდა. სამჭედლო ფიცრულში გვქონდა. ქურას რომ გავახურებდი, მეშინოდა ცეცხლი არ წაჰკიდებოდა ყავარს. ეგეც არ იყოს სამჭედლო სამჭედლოს არ გავდა. მკლავები დამაცვდა საბერველზე მუშაობით.

ხანშესული მჭედელი ივანე რაზმაძე ლაპარკის დროსაც არ წყვეტდა მუშაობას. რკინის მაშით ატრიალებდა გავარვარებულ დეტალს და მოხდენილად, გამოცდილი ოსტატის ხელით ჭედდა ტრაქტორის ნაწილს.

— ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება გვაქვს... შვილები ხშირად მისაყვედურებენ: დაისვენე მამავ, განა ხუთი შვილი ერთ კაცს ვერ შეგინახავთო! მაგრამ უსაქმოდ რა გამაძლებინებს.

ბედნიერი მამაა მჭედელი ივანე რაზმაძე. მისი ერთი ვაჟი ინჟინერია, ორი — მექანიზატორი, ქალიშვილი აგარის შაქრის ქარხნის მოწინავე მუშაკია. პატარა და-ძმანი: დარიკო და შოთა კი ჯერ ისევ სწავლობენ.

— მზადაა!... — თქვა მჭედელმა და გამოჭედილი დეტალი მაშით მიწაზე დააგდო. მურიანი ხელები ჩვრით გაიწმინდა, ჯიბიდან საათი ამოიღო და დახედა: — თხუთმეტ წუთს მოვუნდით...

— ნაცვლად ორმოცი წუთისა, არა?... — შეესიტყვა დირექტორი ივანეს და საათი გამოართვა.

— ეს საათი ძია ივანემ ჯილდოდ მიიღო. მრავალი ასეთი საჩუქარი აქვს მიღებული სამაგალითო მუშაობისათვის, — დასძინა ანდრომ.

* * *

აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ნოემბერში 25 წელი შეუსრულდა. ეს საიუბილეო თარიღი აგარელმა მექანიზატორებმა საამაყო გამარჯვებით აღნიშნეს. წლიური დავალება ვადაზე 35 დღით ადრე გაანაღდეს. ამავე დროს 10.000 კილოგრამი საწვავი დაზოგეს.

აგარის ტრიალ მინდორზე ახალი საცხოვრებელი უბანი გაჩნდა. იქ, სადაც ამ ოცდახუთი წლის წინათ ველური შამბნარი იყო, ლამაზი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები აღიმართა. ტყეს მოგაგონებთ ამ უბნის მწვანე ნარგავების ხეივნები. მზრუნველი ხელით დარგულმა და მოვლილმა ალვებმა, ვერხვებმა და მარადმწვანე ტანწერწეტმა ფიჭვებმა დაამშვენეს მექანიზატორთა უბანი.

— იქით კი, — ამბობს დირექტორი, — მდინარე ფციურას მარჯვენა ნაპირზე მექანიზატორთა ხეხილის ბაღებია. ვაშლისა და მსხლის, ალუბლისა და ქლიავის ნამყენებია გაშენებული. თვითეული მექანიზატორის ოჯახი უზრუნველყოფილია გემრიელი ხილით.

აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორებს აქვთ საკუთარი ელექტროსადგური, აბანო, სასტუმრო, კლუბი, ბიბლიოთეკა, მაღაზია, სასადილო... ოცდახუთმა მექანიზატორმა აიგო ახალი ბინა.

მექანიკოსმა ალექსანდრე ბერუაშვილმა ძველი სახლი ძმებს დაუტოვა, თვითონ კი ახალი ორსართულიანი სახლი აიშენა. ახალ ბინებში გადავიდნენ: მექანიზატორები — ძმები ედიშერ და ილია ხუციშვილები, არსენ ტოტოშვილი, ავთანდილ გეგელაშვილი, გიორგი ნოზაძე, ზაქარია ჩუტკერაშვილი და სხვები.

სოფელ შაქშაქეთში ცისფრად შეღებილი ორსართულიანი ლამაზი სახლია წამოჭიმული. ეს სახლი აგარის მტს-ის მექანიზატორების — ძმების ოთარ და გიორგი კავთელაშვილებისაა. ამ ახალგაზრდა მექანიზატორებმა ახალი ბინა ახლებურად მოაწყეს. ახალი ავეჯით დაამშვენეს ფართო, მზიანი ოთახები.

ოთარმა წლიური საწარმოო გეგმა 129 პროცენტით შეასრულა. ხოლო გიორგიმ 130-ით. გიორგი კომბაინერია, ოთარი კი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

კომბაინერი გიორგი კავთელაშვილი მიმდინარე წლის ზაფხულში თავისი კომბაინით ყაზახეთში — წავიდა სამუშაოდ. იქ ძმური დახმარება გაუწია ყაზახ კოლმეურნეებს და გამარჯვებული დაბრუნდა აგარაში.

* * *

სახელოვანი იუბილარი — აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი ღირსეულად დააფასა ჩვენმა მთავრობამ. მისი მოწინავე ადამიანები დაჯილდოებული არიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საუკუნის მეოთხედის შემდეგ აგარელმა მექანიზატორებმა ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

**აგარის მტს-ის უხუცესი მჭედელი ივანე რაზმაძე.**



# პამირის მწვერვალებზე

(მთამსვლელის ჩანაწერები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გიგინეიშვილი



ამ მაღალ მთებში მხოლოდ კუტასის (იაკი) საშუალებით შეიძლება ტვირთის გადაზიდვა.

პამირი. რამდენი გვსმენია, მაგრამ დღეს პირველად ვხედავთ ამ ლეგენდარული მწვერვალებისა და ქარიშხლების სამფლობელოს, მსოფლიოს უდიდესი ქედების — ჰიმალაის, ყარაყორუმის, კუენ-ლუნისა და ჰინდუკუშის სათავეს...

თალდიკის უღელტეხილიდან გადაიშალა „მწვანე სამყაროს დასასრული“ — ალაის ველი — უკანასკნელი მწვანე ველი პამირის გზაზე და ველის იქით იმიერ-ალაის ქედი—პამირის მაღალმთიანეთის კარიბჭე. ქედის გადაღმა კი დევს პამირის უდაბნო ზეგანი და ხრიოკი მთები.

ეს „ახალი მიწაა“. საუკუნეებმა გაიარეს ამერიკის აღმოჩენიდან, პამირი კი უცნობი იყო კაცობრიობისათვის. არავინ იცოდა, თუ რა იყო აქ — უსიცოცხლო ქვიშა თუ ატეხილი ტევრები. ეს იყო ერთ-ერთი უკანასკნელი თეთრი ლაქა შერჩენილი დედამიწის რუკაზე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე. პირველი ევროპელი, რომელმაც დაინახა იმიერალაის ქედი, იყო რუსი მეცნიერი ა. პ. ფედჩენკო. მან 1871 წელს მიაღწია ალაის ველს, მაგრამ ა. პ. ფედჩენკოს იმიერალაის ქედს იქით არ გადაუხედია. ქედს იქით პირველები იყვნენ ნ. ა. სევერცოვის ექსპედიციის წევრები 1874 წელს...

კიზილ არტის უღელტეხილმა, რომელიც იმიერალაის ქედსა ჰკვეთს, გაგვიყვანა პამირის პლატოზე. მხოლოდ ახლა ვიგრძენით, რომ სრულიად ახალ სამყაროში ვიმყოფებოდით. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც კავკასიონზე — გარშემო თოვლიანი მთები, მთის კენწეროებზე ნისლები, თოვლის ნაჟური ნაკადულები, მაგრამ სინამდვილეში აქ არაფერი არა ჰგავს კავკასიონს, თითქოს თოვლის ფერიც სულ სხვაა.

იმ ღამეს მურღაბში ჩავედით. ღამის სათევად ვეწყობით სოფლის მისასვლელთან, ღია ცისქვეშ. სამხრეთის ცაზე გვაკვირვებს ვარსკვლავების სიმრავლე და მათი ბრწყინვალება. უმთვარო ღამეა, მაგრამ აქ მთვარე არც არის საჭირო — მიდამოს ვარსკვლავებიც გაანათებენ.

დილით ისევე გზაში ვართ.

უსიცოცხლო ველებმა, სადაც მარტო უდაბნოს იშვიათი ბალახი ხარობს, მდინარე პამირის ხეობაში გაგვიყვანეს.

ეს არის ჩვენი სამშობლო მიწის უკანასკნელი ნაკვეთი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი მდინარე პამირზე გადის. გზა მდინარის ნაპირს მიჰყვება, მდინარის მეორე ნაპირი კი ავღანისტანია. ავღანისტანის ტერიტორია ვიწრო ზოლად არის გაწოლილი ინდოეთ-პაკისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის. ალაგ-ალაგ ამ ზოლის სიგანე მხოლოდ 15—20 კილომეტრს აღწევს. ასე, რომ თავისუფლად შეგიძლიათ დაინახოთ არა მარტო ავღანისტანი, არამედ ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიაც.

ავღანისტანის ტერიტორიის ამ ზოლს „ავღანეთის კორიდორს“ უწოდებენ.

კორიდორს ინდოეთ-პაკისტანისა და ავღანისტანის საზღვარზე ჯაჭვად მისდევს ჰინდუკუშის ქედის მწვერვალების წყება. ბევრი ამ მწვერვალთაგანი 7.000 მეტრს უახლოვდება. რომელ ჩვენთაგანს არ უნატრია, თუ ასვლა არ მოუხერხდებოდა, შეეხედა მაინც ასეთი მაღალი მწვერვალისათვის. ჩვენს წარმოდგენაში ეს უნდა ყოფილიყო ცაში ატყორცნილი რაღაც ბუმბერაზი რამ, მაგრამ პირველ შეხედვითვე დაირღვა ის, რაც ჩვენს წარმოდგენაში წლობით არსებობდა. ვუყურებდით ჰინდუკუშის უსახელო მწვერვალებს, ვკითხულობდით რუკაზე მათ სიმაღლეს 6500, 6700, 6800... და არა გვჯეროდა. რამდენად უფრო ბუმბერაზად გამოიყურება არა თუ ჩვენი იალბუზი, არამედ მყინვარწვერიც კი, თუმცა ჰინდუკუშის მწვერვალებთან შედარებით ისინი თითქმის მთელი ორი კილომეტრით უფრო დაბალნი არიან.

ჰინდუკუშის მიღმა შავი ღრუბელი ირეოდა და ამაოდ ცდილობდა ქედის დაძლევას და ჩრდილოეთისკენ წამოსვლას. როგორც ჩანს სადღაც, ინდოეთსა და პაკისტანში — ალბათ მდინარე ინდის ხეობაში, ავდარი იყო.

ჯერ კიდევ თბილისში დავადგინეთ ჩვენი ექსპედიციის მოქმედების ძირითადი ობიექტები. ეს იყო შაჰდარის ქედის ორი მწვერვალი, რომლებიც ატარებენ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სახელს. პირველი მათგანი შაჰდარის ქედის უმაღლესი წერტილია, სიმაღლით 6726 მეტრი, ხოლო მეორე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძნელმისადგომი მწვერვალი.

წინასწარმა დაზვერვამ დაგვარწმუნა, რომ კარლ მარქსის მწვერვალის მისადგომებთან ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო ნიშგარის ხეობით გასვლა, რომელიც სოფელ ვრანგისა და ნიშგარის შორის მდებარეობს. ამიტომ ძირითადი ბაზა გადაგვაქვს ვრანგში და იქიდან 8 და 9 აგვისტოს პატარა ქარავნებით ჩვენი ჯგუფები გადიან ნიშგარის ხეობისაკენ. 10 აგვისტოს მესამე ჯგუფთან ერთად მეც ვტოვებ ვრანგს.

ბანაკიდან რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ დამთავრდა ვრანგის ოაზისი და ფეხი გახურებულ ქვიშაზე შევდგით. საჭურველითა და პროდუქტებით დატვირთული ვირები დიდის გაჭირვებით მიიწევენ წინ. პირველი საათების განმავლობაში შედარებით იოლად მივდივართ, მაგრამ მალე ვიგრძენით, რომ შუა აზიაში ვართ და არა საქართველოში, მზე უმოწყალოდ გვაცხუნებს, ქვევიდან კი გახურებული ქვა და ქვიშა ისე გვახურებს, თითქოს ფეხებ ქვეშ კოცონი გვენთოს, წყალი კი არსადაა. სოფელ ნიშგარის მცხოვრები ასადბეკი, რომელიც ჩვენს სახედრებს მოერეკება, გვამშვიდებს — საღამოთი წყალთან მივალთო, მაგრამ ჯერ მხოლოდ დღის 11 საათია! იქნებ ღრუბელმა გვიშველოს, თუ არ მოწვიმს, მზეს მოეფაროს მაინც, მაგრამ მოკრიალებულ ცაზე ღრუბელი არსადაა. ოქტომბრამდე არც გამოჩნდება, მეუბნება ასადბეკი. თან ქარმა წამოუბერა, ამ ქარს აქ „ავღანელს“ უწოდებენ, თუმცა არ ვიცი კი რატომ, ვინაიდან ადამიანი ვერ გაიგებს რა მხრიდან ქრის, საითკენაც არ უნდა მობრუნდე სახეში გცემს, გახურებულ ქვიშას ჰაერში ატრიალებს და ნესტოებსა და თვალებს გივსებს.

საღამოს ქედის კლდოვან თხემიდან, მდინარე ნიშგარის ნაპირას, ოაზისი გამოჩნდა, კლდეებზე მკვეთრად გამოირჩევა ბალახით დაფარული მწვანე მდელო. მწვანეზე კი ჩვენი თეთრი კარვები, რომლებიც წინა დღეს დაედგათ ჩვენებს. ხეობის სათავესთან აღმართულიყო კარლ მარქსის სახელობის მწვერვალის თეთრი კონუსი.

11 აგვისტოს ნიშგარის ბანაკში 3700 მეტრის სიმაღლეზე, ალ. ივანიშვილთან ერთად ამოვიდა ჩვენი მთამსვლელების უკანასკნელი ჯგუფი. გვაკლდა მხოლოდ 3 კაცი — მაქსიმე გვარლიანი, გრიგოლ გულბანი და კირილე კუზმინი. ისინი წავიდნენ კარლ მარქსის მწვერვალის მიმართულებით, რომ შეესწავლათ მასზე ასვლის შესაძლებელი გზები.

გვარლიანმა, გულბანმა და კუზმინმა სამი დღე იარეს მარქსის მწვერვალის გარშემო. ავიდნენ ქედზე, რომელიც მარქსის მწვერვალიდან მოემართებოდა და მოექცნენ უცნობი მწვერვალის კლდოვანი ობელისკის ძირას. ამ მწვერვალს, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა მწვერვალს შაჰდარის ქედზე, არ ჰქონდა სახელი. მასზე ჯერ არც არავინ იყო ასული, სიმაღლით კი 6300 მეტრს აღწევდა. სამეული მწვერვალისკენ წავიდა, გზა საკმაოდ რთული აღმოჩნდა — ციცაბო კლდეები, ზვავსაშიში ფერდობები. სამმა მთამსვლელმა ექსპედიციას ჩამოუტანა პირველი გამარჯვება, ამბავი პირველი მწვერვალის დაპყრობისა, რომელსაც ამიერიდან საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის, გიორგი ნიკოლაძის სახელი ჰქვია.

12 აგვისტოს მთელი შემადგენლობით მივდივართ ზევით. მხოლოდ სამ ამხანაგს — გვარლიანს, გულბანსა და გ. ყალიბეგიშვილს ვაგზავნით ქიშტიჯორაბის ხეობაში, ენგელსის სახელობის მწვერვალისაკენ. მათ დაწვრილებით უნდა შეისწავლონ მწვერვალის მისადგომები, შესაძლებელი ასვლის გზი.

პირველ ბანაკს ვაწყობთ 4800 მეტრის სიმაღლეზე. აქ წინა დღეებში ჩვენმა ამხანაგებმა უკვე ამოიტანეს საკმაო რაოდენობით პროდუქტები და რამდენიმე კარავი, რომ დანარჩენებისათვის ტვირთი შეემსუბუქებინათ. მეორე ბანაკი უკვე 5400 მეტრის სიმაღლეზეა, მარქსის მწვერვალის კონუსის ძირას. აქედან თვითონ მწვერვალი არა ჩანს, ჩანს მხოლოდ მისი დიდი დაქანების, ადგილ-ადგილ კლდეებით მოჩუქურთმებული თოვლ-ყინულოვანი ფერდები და ნაზვავი ღარები. დილით ნელი ნაბიჯით შევყევით აღმართს. ადგილ-ადგილ კლდეები გვხვდება, რომლებიც ხელის ყოველ მიკარებაზე იშლება და ქვები ქვევით უფსკრულისაკენ მიხრიალებენ.

თვითეულ თოკზე სამ-სამი მთამსვლელია გადაბმული. ერთმანეთს საიმედოდ ვიცავთ, ხან წერაყინზე, ხან კი მხარზე გადაგდებული თოკით. შუადღისას გავცდით 5634 მეტრს — იალბუზის სიმაღლეს, და დღის ბოლოს 5900 მეტრს მივაღწიეთ სადაც დავბანაკდით კიდეც. მწვერვალამდე კიდევ ორი დღის სავალი გვრჩება, ხვალ ავალთ 6200 — 6300 მეტრამდე, და ზეგ კი უკვე მწვერვალს მივაღწევთ.

ღამე ყველამ კარგად გაატარა, მთის ავადმყოფობა არავის არ გაჰკარებია. დილით საკმაოდ გვიან ავშალეთ ბანაკი. კარვის აკეცვას დიდხანს ვუნდებით. სწრაფი მოძრაობა ჭირს. დაახლოებით 6100 მეტრის სიმაღლემდე კლდეებით მივცოცავთ. წინ მივიწევთ მეტად ნელა, მაგრამ მტკიცედ.

კლდეებმა საკმაოდ მოგვქანცეს და სიხარულით გავედით თოვლიან ქედზე. ახლა უკვე შეიძლებოდა სიარული შედარებით ნაკლები ენერგიის ხარჯვით, ნაკლები მოძრაობების შესრულებით. მოძრაობაზე კი ყველანი ძუნწები გავხდით. ვცდილობთ არ გადავადგათ ზედმეტი ნაბიჯი, არ გავაქნიოთ ზედმეტად ხელი.

6300 მეტრის სიმაღლეზე კლდოვანი ბაქანი ვიპოვეთ. მაგრამ ბაქანი მხოლოდ პირობითი გაგებით, ვინაიდან ეს დაქანებული კლდოვანი ფერდობი ბაქანს ოდნავადაც კი არა ჰგავდა.

მალე ყველანი კარვებში ვიყავით. საღამო დგებოდა. ცა აფერადდა. აბრჭყვიალდნენ თეთრი მწვერვალები. გატაცებით შევყურებთ დაისს 6300 მეტრის სიმაღლიდან. მართლაც საოცარია ეს ჩვენთვის სრულიად უცნობი სანახაობა. ქვევით დაღამდა, ჩვენ კი ისევე მზეს შევყურებდით და მზეც ისეთი დიდი და წითელი

იყო ჩასვლისას! შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს მზეს ვხედავდით ღამით.

თანდათან მწვერვალებმა სიკაშკაშე დაჰკარგეს. იქით კი, სადღაც შორს, ინდოეთსა და ავღანისტანში ერთიმეორის მიყოლებით ჰქრებოდნენ მოელვარე მწვერვალები, მხოლოდ ჩოგო-რი, ევერესტის შემდეგ სიმაღლით მსოფლიოს მეორე მწვერვალი, ჩამავალი მზის სხივებით აფერადებული, ერთ ხანს კიდევ ბზინავდა წითლად, ყარაყორუმის ქედზე.

დასავლეთისკენ მწვერვალებზე ღრუბლები შეჯგუფდნენ.

ხეობები ნისლებით შეიბოლა.

დაღლილები, თბილად ვეხვევით ჩვენს საძილე ტომრებში. ჟანგბადი ცოტაა, და გვეძინება უცნაური ძილით, რომელიც გულწასულობას უფრო ჰგავს, ვინემ ნამდვილ ძილს. დროდადრო მძინარე ილვიძებს სულის შეხუთვის გამო და ჰაერის ღრმად ჩასუნთქვის შემდეგ ისევ მშვიდდება.

ნელი ქარი არხევს კარვის ფერდებს.

შუაღამე გადასული იყო, როდესაც ძლიერმა შხუილმა გამოგვაღვიძა. კარავი ირხეოდა და პალოებიდან აგლეჯას ცდილობდა. გარეთ ნამქერი ტრიალებდა. ავდარი დაიწყო. დილით ქარი გაძლიერდა, ტემპერატურა მკვეთრად დაეცა. ერთმა-ორმა სცადა გარეთ გასვლა, მაგრამ სწრაფად უკან მობრუნდნენ, ქარი და ნამქერი უთუოდ გაგუდავდა კაცს, სიცივე კი ან ხელებს ან ფეხებს მოაყინავდა. გავხდით კარვის ტყვეები. თუ კიდევ ერთი დღე მაინც გაგრძელდა ასეთი ქარბუქი, წინ წასვლაზე ოცნებაც კი ზედმეტი იქნება. უმოქმედოდ წოლა კარავში ასეთ სიმაღლეზე მოთენთავს ორგანიზმს. არც პროდუქტები გვეყოფა. მაშ საჭიროა უკან დახევა. მძიმეა ამაზე ფიქრი, მაგრამ ვიცოდით, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, ხოლო თუ ავდარი გაგრძელდა, უკან ჩასვლის ცდასაც კი შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს. ბარომეტრი განუწყვეტლივ ეცემა, ავდარიც მატულობს. საღამოსთვის გრიგალმა ისეთ ძალას მიაღწია, რომ შეგვეშინდა კიდეც — კარვიანად უფსკრულში არ გადავეტყორცნეთ. ბოლოს გრიგალმა კარვის კუთხის ერთი ფერდი აგლიჯა და იმავ წუთში მთელი კარავი გადაიხია, ასევე მოხდა მეზობელ კარავში. იძულებულნი ვიყავით ამხანაგებთან, გადარჩენილ კარვებში გადავსულიყავით.

დილით ქარის ძალამ იკლო, დაუყოვნებლივ დავიწყეთ დაშვება.

ძირითად საიერიშო ბანაკში 3700 მეტრის სიმაღლეზე ვისვენებთ და ორიოდე დღის შემდეგ კვლავ იწყება ახალი იერიში. ზევით მიდის ყველა ის, ვინც მშვიდობით გადურჩა ავდარს: ა. ნემსიწვერიძე, კ. კუზმინი, ს. ცაიშვილი, ჯ. მეძმარიაშვილი, დ. გუგავა, ზ. და ლ. ახვლედიანები. ისინი ასასვლელად ირჩევენ ახალ, წინანდელზე ბევრად უფრო რთულ გზას, სამი დღის შემდეგ შვიდივე მთამსვლელი მწვერვალზე იდგა. ექსპედიციის ამოცანის პირველი ნაწილი შესრულდა.

ვბრუნდებით ისორში.

30 და 31 აგვისტოს ჯგუფმა დასტოვა ს. ისორი და გადინაცვლა ქიშტი-ჯორაბის ხეობაში ენგელსის მწვერვალის ძირას, სადაც დაბანაკდა 3900 მეტრის სიმაღლეზე.

ისორში დავრჩით ლევან სუჯაშვილი, ტიტე ყანდარელი და მე. ჩვენ ბოლო ქარავანს წავიყვანთ და თან წავიღებთ დარჩენილ პროდუქტებსა და ნივთებს.

წასვლის წინა საღამოს კვლავ „ავღანელმა“ დაუბერა და ძლიერად შეარხია ჩვენი კარვები, საათის ისარმა უკვე თორმეტს მიატანა, თბილისში კი მხოლოდ 10 საათია... ტიტე და ლევანი ჩვენი ექსპედიციის რადიოსადგურის მიმღებს უსხედან და გულმოდგინედ ატრიალებენ სახელურებს. მოისმის ქაბულის, კარაჩისა და დელის რადიოსადგურებიდან გადმოცემული აღმოსავლური მელოდიები. უცებ მათ შორის ქართული ჰანგები გამოერია. რეპროდუქტორში გარკვევით გაისმა „მხოლოდ შენ ერთს“... თბილისი გადმოსცემდა ვანო სარაჯიშვილის კონცერტს. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი იყო ეს ხმაც და ეს ჰანგებიც საქართველოდან შორს, ჰინდუკუშისა და შაჰდარის ქედის მწვერვალების ძირას.

31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს გვარლიანი, გულბანი და კუზმინი აწარმოებდნენ ენგელსის სახელობის მწვერვალის დამატებით დაზვერვას. განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლილი იქნა ასვლის განზრახული გზა — კლდოვანი კედლის ღარი. ღარი მეტად სახიფათო აღმოჩნდა. ქვა და ყინული განუწყვეტლივ ცვიოდა. ღარის ფსკერი ყინულით იყო დაფარული, ყინულზე კი თოვლის თხელი ფენა იდო, ღარი შვეულ კლდოვან კედელს ებჯინებოდა, კედელს ყინულის სქელი ფენა ეხურა.

დიდი ჯგუფის გავლა ღარში მეტად საშიშ საქმეს წარმოადგენდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ასვლაზე წასულიყო მხოლოდ 4 კაცი, საუკეთესონი საუკეთესოთა შორის: გვარლიანი, კუზმინი, ნემსიწვერიძე და გულბანი.

1 სექტემბერს ღამით მზადება დამთავრდა. ჯგუფმა ძირითადი შემადგენლობით გადაინაცვლა ენგელსის მწვერვალის კედლის ფუძისაკენ და 2 სექტემბერს დაიწყო იერიში. ოთხეული თავდაპირველად მოძრაობდა ყინულით ამოლესილ კლდოვან ღარში. დაქანება საშუალოდ 70 გრადუსს აღწევდა. წინსვლას ართულებდა თოვლის ფენა, რომელიც ყინულზე იყო გადაფარებული, — უწრიაპო ფეხის მოკიდება ძნელი იყო, ხოლო წრიაპის კბილები ხშირად ვერ აღწევდა ყინულამდე. ქვები და ყინულის ნატეხები ქუხილით ეშვებოდნენ ქვევითკენ და რამდენჯერმე, ცოტა დააკლდა, თან არ გაიყოლა მთამსვლელებიც. პირველი ღამის სათევად დაისადგურეს ყინულში, კუნძულად აზიდულ პატარა შვეულ კლდოვან ბაქანზე. მეორე დღე დასჭირდა ღარის დარჩენილი ნაწილის გავლას, კლდოვანი უბნების დაძლევას. ეს იყო ასვლის ყველაზედ უფრო საპასუხისმგებლო უბანი. კლდეს ხელსაკიდები თითქმის არ ჰქონდა. წინ მიმავალნი — გვარლიანი და გულბანი ზედიზედ აჭედებდნენ რკინის პალოებს კლდის ბზარებში. სიმაღლე უკვე 6000 მეტრს ასცილდა, ჟანგბადი მკვეთრად შემცირდა, საჭირო გახდა ხშირი დასვენება, მაგრამ დასასვენებელი ადგილი არსად იყო, ზურგჩანთებიც საშინლად დამძიმდნენ. ყოველი მეტრის გავლა ახლა კოლოსალური ენერგიის ხარჯვას მოითხოვდა. უკანასკნელ მეტრებთან ერთად თითქოს ძალაც დაილია, შვეული კედელი უკან დარჩა. როგორც იქნა შესაძლებელი გახდა მცირე შესვენება, ესოდენ სანატრელი და აუცილებელი. ახლა თხემისკენ ადვილად ასასვლელი ღარიღა იყო გასავლელი. ასვლის მესამე დღეს ოთხივე მთამსვლელი — ენგელსის სახელობის მწვერვალზე იდგა.

ენგელსის მწვერვალის დაზვერვის პერიოდში გვარლიანი, გულბანი და ყალიბეგიშვილი ქიშტი-ჯორაბის ხეობიდან ავიდნენ უსახელო მწვერვალზე, რომელიც საოცრად ჰგავდა თეთნულდს. ამ მწვერვალის სიმაღლე 6078 მეტრს აღწევდა. 1929 წელს თეთნულდზე დაღუპულ სიმონ ჯაფარიძისა და პიმენ დვალის ხსოვნის აღსანიშნავად მწვერვალს ეწოდა თეთნულდზე დაღუპულთა ხსოვნის სახელი. ექსპედიციის მონაწილეები ს. და დ. გუგავა, ლ. და ზ. ახვლედიანები ავიდნენ ენგელსის სახელობის მწვერვალის მახლობლად მდებარე 6177 მეტრის სიმაღლის საკმაოდ ძნელ მისადგომ მწვერვალზე და მას უწოდეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

6 სექტემბერს ექსპედიციამ დაამთავრა მუშაობა. ვბრუნდებით ისორში, იქიდან კი 9 სექტემბერს ავტომანქანებით, პამირის ავტო ტრაქტით, გეზს ვიღებთ ქალაქ ოშისკენ.









ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ): ექსპედიციის რადიოსადგურთან; უკანასკნელი მზადება საიერიშოდ; მარქსის მწვერვალისკენ; 6300 მეტრის სიმაღლეზე.

ფოტო ბ. კრუპსის
და ოთ. დეკანოსიძისა



# სამყაროს უსასრულობა

ფოტოზე: ანდრომედას ნისლეული, გადაღებული მძლავრი ტელესკოპის მეშვეობით.

შ. გვინჩიძე

**ადამიანს** უძველეს დროიდანვე არ ასვენებდა საკითხი: როგორ წარმოიშვა სამყარო და როგორია მისი აღნაგობა?

გასაკვირველი არაა, თუ შორეულ წარსულში, უვიც, ნახევრად ველურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა სამყაროს აღნაგობაზე, ბუნების მოვლენებზე, და სწამდა, რომ ყველაფერი ის, რასაც თავისი თვალით ხედავდა, ღმერთის გაჩენილი იყო. ცხადია, ადამიანი სამყაროს თვლიდა ისეთად, როგორსაც ხედავდა: სამყაროს ცენტრში უძრავად დგას უზარმაზარი დედამიწა, მის გარშემო ბრუნავენ პატარა მზე და მთვარე, ტრიალებს ცის თაღი მასზე მიჭედილი ელვარე წერტილებით — ვარსკვლავებით. მზე, მთვარე და ვარსკვლავები შექმნილია ღმერთის მიერ ადამიანის სასარგებლოდ: მზემ რომ დღისით გაათბოს და გაუნათოს, მთვარემ ღამით გაუნათოს, ვარსკვლავებმა კი დროის გამოცნობაში გაარკვიონ...

ასეთი შეხედულება ბუნების მოვლენებზე დამყარებულია არამეცნიერულ, არასწორ, რელიგიურ წარმოდგენებზე სამყაროს შესახებ. ამ არასწორ შეხედულებებს ჯერ კიდევ უძველეს დროში ებრძოდნენ ზოგიერთი ბერძენი ფილოსოფოსები. XVI საუკუნეში გენიალურმა პოლონელმა ასტრონომმა კოპერნიკმა პირველმა დაამტკიცა, რომ დედამიწის გარშემო კი არ ბრუნავენ მზე და ვარსკვლავები, პირიქით, დედამიწა ერთ-ერთი ჩვეულებრივი პლანეტათაგანია, რომელიც სხვა პლანეტებთან ერთად „მორჩილად“ ბრუნავს მზის გარშემო. ამავე დროს დედამიწა თავისი ღერძის გარშემოც ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთით და სრულ წრეს მოხაზავს დღე-ღამის განმავლობაში. ამის შედეგია დღისა და ღამის ცვლა, მზის ამოსვლა და ჩასვლა. მზის გარშემო კი დედამიწა ერთ სრულ მოქცევას ერთ წელიწადს (365 დღე-ღამეს) ანდომებს. ამის შედეგია წელიწადის ოთხი დროს ცვლა.

კოპერნიკის სისტემას, რომლის მიხედვით მზე სამყაროს ცენტრში იმყოფება, „ჰელიოცენტრული“ („ჰელიოსი“ ბერძნულად „მზე“) ეწოდება. ამ თეორიას, რომელმაც ნიადაგი გამოაცალა მასზე ადრე არსებულ პტოლემეს „გეოცენტრულ“ („გე“ ბერძნულად „დედამიწა“) სისტემას და საბოლოოდ გააქარწყლა ყოველგვარი ლეგენდა სამყაროს აღნაგობის შესახებ, ეკლესიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა, ხოლო კოპერნიკის მიმდევრებს დევნა დაუწყო.

მაგრამ განა შეიძლებოდა მეცნიერების ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება? XVII საუკუნის დასაწყისში სახელგანთქმულმა იტალიელმა ფიზიკოსმა და ასტრონომმა გალილეო გალილეიმ ააგო პირველი ტელესკოპი. ტელესკოპმა ადამიანს საშუალება მისცა ფარდა აეხადა ბუნების მრავალი საიდუმლოებისთვის. თვალნათლივ გამოჩნდა იდუმალებით მოცული მთვარე, რომელიც გარეგნულად ადამიანის სახეს „წააგავს“ და უხსოვარ დროიდანვე ათასგვარი ფანტასტიკური ლეგენდის წყაროს შეადგენდა. ტელესკოპში ადამიანმა დაინახა მთვარის ზედაპირი, მაღალი, თავისებური მრგვალი ფორმის მთებით დაფარული. ეს მთები იძლევიან ჩრდილს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთვარე საკუთარი სინათლით არ ანათებს, — ის მხოლოდ არეკლავს მზის სინათლეს. მალე მეცნიერებამ ისიც გამოიკვლია, რომ მთვარეზე ჰაერი არ არის. ამის გამო მის ზედაპირზე ტემპერატურა ძლიერ მერყეობს. დღის [1] განმავლობაში ხურდება 120°-მდე, ღამით კი ტემპერატურა მინუს 160°-მდე ეცემა. მთვარე უსიცოცხლო, მკვდარი პატარა პლანეტაა, საშინელი ყინვისა და აუტანელი სიცხის სათარეშოდ გადაქცეული. თვით მზემდეც ააღწია ტელესკოპმა და მასზე „ლაქები“ [2] აღმოაჩინა. ძველი წარმოდგენებითა და „საღვთო წერილის“ — ბიბლიის მიხედვით კი მზე და მთვარე დიად მნათობებად ითვლებოდნენ. და აი, ერთი მათგანი „ლაქებით“ დაფარული აღმოჩნდა, მეორეს კი, თურმე, საკუთარი სინათლეც არ გააჩნია.

მეცნიერება კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა ბუნების საიდუმლოებაში და თანდათან თვალწინ გადაგვიშალა სამყაროს აღნაგობის მანამდე უცნობი გრანდიოზული სურათი.

რას წარმოადგენს მზე? ეს უზარმაზარი გავარვარებული გაზების მასა თავისი მოცულობით 1 300 000-ჯერ მეტია დედამიწაზე, და ნამდვილად იმყოფება თავისი ოჯახის — პლანეტების, მთვარეებისა და კომეტების — ცენტრში. მზის ოჯახში ათასობითაა ეს პლანეტები: 9 დიდი (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი, პლუტონი) და მრავალი მცირე პლანეტა. დიდი პლანეტებიდან ოთხი — ურანი, ნეპტუნი, სატურნი და იუპიტერი გაცილებით მეტი ზომისა აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი დედამიწაა. აქედან ჩანს, რომ დედამიწა სრულებითაც არ ყოფილა „მთავარი“ ციური სხეული.

თუ იმასაც ვიტყვით, რომ ყველაზე შორეული პლანეტა პლუტონი მზისგან 6 მილიარდ კილომეტრზე იმყოფება, ნათელი გახდება „ჩვენი სამყაროს“ — მზის სისტემის მთელი გრანდიოზულობა.

მაგრამ რაღას წარმოადგენენ ვარსკვლავები? ძველად ფიქრობდნენ, რომ ისინი ცაზე მიჭედილი „ვერცხლის ლურსმნებიაო“ ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ვარსკვლავები ჩვენი მზესავით უზარმაზარი ციური სხეულებია. ბევრი მათგანი გაცილებით დიდია ჩვენს მზეზე, უფრო მხურვალე და უფრო კაშკაშაც. ჩვენი მზე — ჩვეულებრივი, საშუალო სიდიდის ვარსკვლავია. მაგრამ თუ მზე უფრო დიდი და უფრო კაშკაშა გვეჩვენება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო ახლოა დედამიწასთან, სახელდობრ, 149,5 მილიონ კილომეტრზეა. მაშ, რა გასაოცრად შორს უნდა იყვნენ ჩვენგან ეს გიგანტური ციური სხეულები, თუ ისინი მხოლოდ მნათ წერტილებად გვეჩვენება! აღმოჩნდა, რომ უახლოესი ვარსკვლავი ალფა ცენტავრა მზესთან შედარებით 270.000-ჯერ უფრო შორსაა ჩვენგან.

ეს წარმოუდგენლად დიდი მანძილია. მის გასაზომად აღარ გამოდგება სიგრძის ჩვეულებრივი ერთეულები — მილიონი და მილიარდი კილომეტრები. ამიტომ სამყაროს სიღრმის გასაზომად მიღებულია ეგრეთ წოდებული სინათლის წელიწადი, — ის მანძილი, რომელსაც სინათლის სხივი ერთ წელიწადში გაივლის. მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ სინათლის სხივი სეკუნდში 300 000 კილომეტრს გადის, მაშასადამე, წელიწადში ის 9½ ბილიონ კილომეტრს დაფარავს.

და აი, უახლოეს ვარსკვლავამდე მანძილი შეადგენს 4½ სინათლის წელიწადს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უახლოეს ვარსკვლავზე რაიმე ცვლილება რომ მოხდეს, მაგალითად, მისმა სიკაშკაშემ რომ მოიკლოს ან მოიმატოს, ამას ჩვენ მხოლოდ 4½ წლის შემდეგ გავიგებთ. რაც შეეხება სხვა ვარსკვლავებს, ისინი გაცილებით უფრო შორს არიან დედამიწისგან.

განსაკუთრებით შორსაა ჩვენგან ცის იკანკლედი [3], რომელიც მეტნაკლები სიკაშკაშის ვარსკვლავთ „ღრუბლებისგან“ შედგება; ის უსწორმასწოროდ, იკანკლედურად გადაჭიმულია ცარგვალზე ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. ვარსკვლავთ „ღრუბლების“ ამ ერთობლიობას გალაქტიკა [3] ეწოდება. გალაქტიკა 150 მილიარდ ვარსკვლავს აერთიანებს. ამ 150 მილიარდიანი ოჯახის ერთ-ერთი წევრია ჩვენი მზეც, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით მოთავსებულია ერთ-ერთ ვარსკვლავთ „ღრუბელში“, ბრუნავს მის შიგნით და ამავე დროს სხვა ვარსკვლავებთან ერთად თავის ორბიტზე ბრუნავს გალაქტიკის ცენტრის გარშემო 275 კილომეტრის სიჩქარით სეკუნდში. ერთი სრულ მოქცევას გალაქტიკის ცენტრის გარშემო მზის სისტემა 250 მილიონ წელიწადს ანდომებს. ამ პერიოდს შეგვიძლია „გალაქტიკური ან კოსმიკური წელიწადი“ ვუწოდოთ და გამოვიყენოთ დროის უდიდესი მონაკვეთების საზომად. მთელი კაცობრიობის ისტორია ამ პერიოდთან შედარებით მხოლოდ ერთი თვალის დახამხამებაა!

ამრიგად, სამყაროს ცენტრი მზე კი არ ყოფილა, არამედ გალაქტიკა; მზე მხოლოდ თავის ოჯახშია ცენტრი, თვითონ კი გალაქტიკის ოჯახში ერთ-ერთ რიგითი წევრად შედის.

მაგრამ განა სულ ესაა მთელი სამყარო? რასაკვირველია, არა. გალაქტიკა მხოლოდ ერთ-ერთი სამყაროა, და ისიც „მცირე სამყარო“. თანამედროვე ტელესკოპებით აღმოჩენილია უსასრულო სივრცეებში გაბნეული უამრავი „ნისლეული“, რომლებიც ჩვენი გალაქტიკის საზღვრების მიღმა იმყოფებიან. გარეგნულად ისინი ნისლეულის ნაფლეთებს მოგვაგონებენ. ჰო, სწორედ ისეთს, ჩვენს მთებზე რომ იცის ხოლმე. მაგრამ დედამიწის ნისლეულისთვის საკმარისია მზემ დააცხუნოს და ის გაიფანტება. ცის სივრცეში ამ სამასი წლის წინათ შემჩნეული „ნისლეულები“ კი დღემდე სახეუცვლელად იმავე ადგილას იმყოფებიან. ისინი სინამდვილეში „ჩვენი“ გალაქტიკის მსგავსი გალაქტიკებია და თვითეულ მათგანში მილიარდობითაა ვარსკვლავები. მათ გარეგალაქტიკურ ნისლეულებს უწოდებენ და ისინი მეორე, „დიდ სამყაროს“ შეადგენენ. ყველაზე ახლოს ჩვენს გალაქტიკასთან ანდრომედას თანავარსკვლავედის მიმართულებით მდებარე ნისლეული იმყოფება. მანძილი ანდრომედას ნისლეულამდე 850.000 სინათლის წელიწადს უდრის. ასეთი გახლავთ ეს უახლოესი მანძილი! სინათლის სხივი, რომელსაც ჩვენ ახლა ვხედავთ, გამოსულია ანდრომედას ნისლეულიდან იმ დროს, როცა დედამიწაზე კაცობრიობა არც კი არსებობდა.

ამრიგად, დედამიწა ჩვენი მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტაა; ჩვენი მზის სისტემა უზარმაზარი გალაქტიკის მხოლოდ ერთ-ერთი მცირედი კუთხეა, თვით გალაქტიკა კი თავისი აურაცხელი ვარსკვლავებით ერთ-ერთი გიგანტური ვარსკვლავთა სამყაროა, რომლის მსგავსი უთვალავად არის გაბნეული უსასრულო სივრცეში.

მაშ, სადღაა სამყაროს ცენტრი, სამყაროს საზღვარი, და თუ ასეთი საზღვარი არსებობს კიდეც, რაღაა იმის იქით?

იყო დრო, როცა ღვთისმეტყველებს სამყაროს საზღვრად დაწესებული ჰქონდათ 700 000 კილომეტრი, რომლითაც, თითქოს, დედამიწა დაშორებული იყო ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. მაგრამ ეს საეჭვო გახდა უკვე მაშინ, როცა გაზომილ იქნა მანძილი მთვარემდე, ამ უახლოეს ცის სხეულამდე. აღმოჩნდა, რომ მთვარე დაშორებულია დედამიწას თითქმის 400 ათასი კილომეტრით. შემდეგ და შემდეგ, როცა თანდათან გამოირკვა, რომ ციურ სხეულებამდე მანძილების გასაზომად სინათლის წელიწადებია საჭირო, ღვთისმეტყველების მიერ სამყაროსთვის დაწესებული ზღვარი რაღა სახსენებელი იყო!

ამჟამად, დასავლეთ ევროპის ზოგიერთი იდეალისტურად მოაზროვნე მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სამყარო, თუმცა უსაზღვროა, მაგრამ სასრულოა, ვით გლობუსი მასზე მცოცავი ჭიანჭველისთვის. ისინი ამბობენ, რომ თუ ადამიანი მარად წინ ივლის სამყაროში, ვერსად ვერ იპოვის სამყაროს ვერც თავსა და ვერც ბოლოს, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ადამიანი, მაგელანის ხომალდებივით, დაუბრუნდება იმ წერტილს, საიდანაც გამოვიდა. ამ მეცნიერებმა „სამყაროს რადიუსიც“ კი გამოიანგარიშეს, მაგრამ ყველა მათი საზომი მალე უბადრუკი აღმოჩნდა, მათი „რადიუსები“ სამყაროს უკიდეგანო სივრცეში უკვალოდ შთაინთქნენ.

ადამიანის განკარგულებაში ამჟამად არსებული მძლავრი ტელესკოპებით აღმოჩენილია კუნძულებად გაბნეული 100 მილიონი გალაქტიკა, და ყველაზე შორეული მათგანი 400 მილიონი სინათლის წელიწადითაა ჩვენგან დაშორებული!

ყველა აღმოჩენილი გალაქტიკა, აგრეთვე უამრავი სხვა, უფრო შორეული გალაქტიკები, რომლებიც აღმოჩენილ იქნება მომავალში გიგანტური ტელესკოპებით, შეადგენენ გალაქტიკების უზარმაზარ ჯგუფს — მეტაგალაქტიკას. თუ გალაქტიკები — სამყაროს კუნძულებია, მეტაგალაქტიკა — ვეება არქიპელაგია სამყაროს ოკეანეში, და როცა ადამიანი უმძლავრესი ტელესკოპებით იმდენს შესძლებს, რომ მეტაგალაქტიკის ზღვარს მიაღწევს, მაშინ დროებით მოეჩვენება, სამყაროს საზღვარი მოძებნილიაო.

მაგრამ გაივლის დრო და, აღმოჩენილი იქნება ახალი მეტაგალაქტიკები, და ასე უსასრულოდ...

ძნელია უსაზღვრო სამყაროს წარმოდგენა, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია სამყაროს ზღვარის წარმოდგენა. ასეა თუ ისეა, ძნელია თუ ადვილია რაიმეს წარმოდგენა, სინამდვილეს ანგარიში უნდა გაეწიოს, სინამდვილე კი — უსასრულო და უსაზღვრო სამყარო გახლავთ.

მეცნიერების დღევანდელ მიღწევებზე დაყრდნობით სამყაროს უსასრულობაზე წარმოდგენა ცოტათი მაინც რომ გაგვიადვილდეს, განვსაზღვროთ ადამიანის ადგილსამყოფელი ამ უსასრულობაში, შევადგინოთ,

(იხ. მე-11 გვ).

1. მთვარის ერთი დღე-ღამე უდრის დედამიწის 29½ დღე-ღამეს. თითქმის ნახევარი თვე მთვარეზე დღეა, და ნახევარი თვე წყვდიადი ღამე.

2. მზის ლაქები, ისე როგორც მთელი მზე, გავარვარებული გაზებისგან შედგება, მაგრამ ლაქები თუ უფრო ბნელი ჩანს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე მზის დანარჩენი ზედაპირის ტემპერატურა, რომელიც 6000° აღწევს.

3. ცის იკანკლედი, ან ირმის ნახტომი, ან კიდევ, რძის გზა. ბერძნული მითოლოგიით, როცა ქალღმერთმა ჰერამ ძუძუს ჩვილი ჰერკულესი მოსწყვიტა, ცაზე რძე („გალაქტოს“) დაიღვარა და იქ რძის გზა გაჩნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის სსრ. ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ე რ ე ვ ა ნ ი. საბავშვო რკინიგზის ერთ-ერთი სადგური მდ. ზანგზე.

ე რ ე ვ ა ნ ი. ლენინის მოედანი. ადმინისტრაციული სახლი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ე რ ე ვ ა ნ ი. კინო-თეატრი „მოსკოვი“.

ე რ ე ვ ა ნ ი. სპენდიაროვის სახელობის სახელმწიფო ოპერის თეატრი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სომხეთის სსრ. სევანის ტბა. ჩანართი გვერდების ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.



# მხოლოდ ერთი წუთით...

ბ. სეირანიანი

მოთხრობა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

მიდიოდა არტაშეს სრაპიანი და ფიქრობდა:

— აი, ახლა შევხვდები ჩვენს ბულდან კარპიჩს... ჩვენს ბულდიკას... ჩვენს „დათვის ბელს". საამურ ფიქრებსა და აზრებს ისე მოეცვა მისი სული და გული, რომ ველარც კი წარმოედგინა, რა მოხდებოდა შეხვედრისას.

თქვენ თვითონვე წარმოიდგინეთ: თვრამეტი წლის შემდეგ პირველად უბრუნდებით მშობლიურ ქალაქს, სიამოვნებით იხსენებთ ძველ ნაცნობ-მეგობრებს, შემთხვევით გაიგებთ, რომ სიყრმის ამხანაგი, განუყრელი მეგობარი, რომელთანაც ერთად პირველი სიხარული, სევდა და ნაღველი განგიცდიათ, რომელიც საკუთარ თავზე უფრო გიყვარდათ და ძმაზე მეტად ენდობოდით, ახლა, ომის ქარცეცხლის შემდეგ, არა თუ მხოლოდ ჯანმრთელად არის, არამედ თავისი ნიჭისა და, ვინ იცის, იქნებ ბედის წყალობითაც ამაღლებულა და მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე მიუღწევია.

ხოლო იმასაც თუ დაუმატებთ, რომ ქალაქში სერიოზულ საქმეზე ხართ ჩამოსული და ეგ საქმე სწორედ იმ სამინისტროში უნდა მოაგვაროთ, სადაც თქვენი სიყრმის მეგობარი მუშაობს, მაშინ გასაგები გახდება არტაშეს სრაპიანის მღელვარება.

რამდენი რამ არის მოსაგონებელი! სკოლის წლები... პიონერული ბანაკები... კომკავშირული მჩქეფარე და სიცოცხლით სავსე ცხოვრება.

ისე მიიჩქაროდა არტაშეს სრაპიანი, რომ, წარმოიდგინეთ, ტრამვაიში ან ტროლეიბუსში ჩაჯდომაც გადაავიწყდა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდეს: ფეხით რომ მიდიხარ, გონება უფრო ნათლდება, მოგონებები ფრთას ისხამენ და ისეთი წვრილმანები, უმნიშვნელო ამბები გახსენდებათ, რაც დიდი ხანია დავიწყებული გქონდათ.

... აი საკლასო ოთახი დერეფნის თავში; ოთხი ნათელი ფანჯარა ქუჩას გაჰყურებს, ერთ ფანჯარასთან ზის ბულდიკა. ტანით დათვსა ჰგავს, თვალები უციმციმებს, თმა ასწეწვია, ხელები დაუკაწრავს, ვერცხლის წყალივით მარდი და მოუსვენარია. გაკვეთილის დროს, მასწავლებლის შეუმჩნევლად, ხან მარჯვნივ მიბრუნდება, ხანაც მარცხნივ, ერთს მუჯლუგუნს წაჰკრავს, მეორეს სილას გააწნავს, მერე კატის სიმარდით შეძვრება მერხის ქვეშ, თავს ჩუმად გამოჰყოფს და ირგვლივ იხედება, თავის „მოწინააღმდეგეს" გამოაჯავრებს...

— ეჰ, ბულდან კარპიჩ, ბულდან კარპიჩ... ნეტავი თუ გახსოვარ?... — თავისთვის იღიმებოდა და ბუტბუტებდა არტაშეს სრაპიანი და უნებურად ქუჩაში გამვლელებს ეჯახებოდა. დარცხვენილი ბოდიშს უხდიდა მათ და ისევ განაგრძობდა გზას. იგონებდა სასაცილო ამბებს, რომელიც ბულდიკასთან იყო დაკავშირებული. დალოცვილის შვილს ერთხელ მაინც რიგიანად ეპასუხნა გაკვეთილი! გვარს ამოიკითხავდნენ თუ არა, ზანტად, დათვისებური ზლაზვნით და რხევით წამოზოზინდებოდა, ყველას ცერად გადაათვალიერებდა და ჩაახველებდა... ეს იმის ნიშანი იყო, რომ ამხანაგებს უკვე შეეძლოთ კარნახი. სმენად გადაქცეული, ერთ სიტყვას ერთისაგან დაიჭერდა, ერთ ციფრს მეორესაგან, მესამესაგან კიდე რაიმე სახელს გაიგებდა, ერთმანეთს გადააბამდა და რის ვაი-ვაგლახით უპასუხებდა. ასე დამთავრდებოდა ხოლმე მეოთხედი, დამთავრდებოდა სასწავლო წელიც და ბულდიკა „კუდებითა" და „ვალებით" გადავიდოდა შემდგომ კლასში.

ინსტიტუტის წლებიდან ძალიან ცოტა რამ დარჩენილა სრაპიანის მეხსიერებაში, რადგან ისინი პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე სწავლობდნენ. ერთმანეთს ხვდებოდნენ მხოლოდ აუდიტორიის გარეთ. რა საკვირველია, ბულდიკა ინსტიტუტში გამოიცვალა, თითქოს უფრო დასერიოზულდა, მაგრამ თავისი ხასიათით აქაც განსხვავდებოდა სხვებისაგან: მთელ მეოთხედში წიგნს ერთხელაც არ გადაშლიდა, გამოცდას სხვისი კონსპექტით ჩააბარებდა და ხშირად უკეთეს ნიშანსაც გამოსტყუებდა ხოლმე ლექტორს, ზოგჯერ განვლილი კურსიდან ერთ საკითხს მოამზადებდა და საოცარი ის იყო, რომ გამოცდის დროს სწორედ ის საკითხი შეხვდებოდა...

სწავლაში ზარმაცი იყო ბულდიკა, მაგრამ, სამაგიეროდ ფიზკულტურაში, ბადალი არ ჰყავდა. სპორტული შეჯიბრების დროს განცვიფრებაში მოჰყავდა ხოლმე ამხანაგებიცა და ლექტორებიც, სპორტის თითქმის ყველა დარგში. ამიტომაც იმდენ სიმკაცრეს არ იჩენდნენ მის მიმართ. ბევრს უთმობდნენ და ეხმარებოდნენ: ერთი ეხმარებოდა გამოცდის დროს, მეორე წერითი სამუშაოს შესრულებისას და ჩვენი ბულდიკაც კურსიდან კურსზე გადადიოდა.

ასე განვლეს სტუდენტობის წლებმა. დაამთავრა ინსტიტუტი, ცხოვრებაში შევიდა და მას შემდეგ სრაპიანს აღარ უნახავს იგი.

ამბობდნენ, ბულდიკა ფრონტიდან ჯილდოებით დაბრუნდაო. პირველ ხანებში უმუშავნია უფროს ინჟინრად, შემდეგ ტრესტის მმართველად, ახლა კი მინისტრის მოადგილეა.

თვრამეტმა გრძელმა და გაჭიმულმა წელმა განვლო... თვრამეტი წლის შემდეგ, ისე მოხდა, რომ ისინი კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც მომწიფებული ადამიანები, პირველი — როგორც ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ახალმშენებლობის მთავარი ინჟინერი, მეორე კი მინისტრის მოადგილე.

— ვნახოთ ერთი, მიცნობს თუ არა ჩვენი ბულდან კარპიჩი?.. ჩვენი ბულდიკა... ჩვენი...

მაგრამ ახლა უკვე უხერხული იყო მისთვის სკოლის დროინდელი ზედმეტი სახელის დაძახება, მინისტრის მოადგილე და უცებ „დათვის ბელი?!" სრაპიანს ტკბილად ჩაეღიმა და ნაბიჯს უმატა. ტროტუარი თითქოს გარბოდა მის ფეხქვეშ.

* *

მინისტრის მოადგილის მისაღები ოთახი ხალხით იყო გაჭედილი. კედლებთან მიდგმული ყველა სკამი დაეკავებინათ. შევიდა თუ არა სრაპიანი მაშინვე კარებთან შეჩერდა, და თვალი ყველას უცხოდ გადაავლო. ჰაერი მძიმედ, კედლები მოღუშულად და სულის შემხუთავად ეჩვენა. ქუჩის სიმხიარულე გაქრა და ადგილი დაუთმო რაღაც მშრალ, არასასიამოვნო გრძნობას.

სრაპიანმა სათითაოდ შეათვალიერა ხალხი. ყველა მათგანს დაღლილობა ემჩნეოდა სახეზე. ეტყობოდა, დიდი ხანია ელოდებოდნენ, მერე მობეზრდათ ლოდინიც, ერთმანეთში საუბარიც და ახლა დუმდნენ.

საახალწლო ნაძვისხესავით იაფფასიანი ბრჭყვიალა სამკაულებით მორთული, თმა-წამწამებ შეღებილი, ტუჩებგათხუპნილი მდივანი ქალი, რომელიც იმაზე მეტად ქალიშვილობდა, ვიდრე ამის ნებას დაღარულ-დანაოჭებული სახე აძლევდა, თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს ყოველ შემსვლელს უსაყვედურებდა — „რა მოგივიდათ, რა თავი მოგვაბეზრეთ, საშუალებას არ აძლევთ ადამიანს, რომ ხელსაქმე მაინც რიგიანად გააკეთოსო".

სრაპიანი მას მიუახლოვდა.

---

მაგალითად, საბჭოთა მოქალაქის, ვთქვათ, თბილისელის სამყაროს მისამართი. ამ მისამართს ასეთი სახე ექნებოდა:




ასეთია მეცნიერების თვალსაზრისით უსასრულო სამყარო სივრცეში.

მაგრამ როგორ წარმოიშვა ეს სამყარო?

თუ გადავშლით ბიბლიას, პირველ სტრიქონშივე წავიკითხავთ: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა". და, ვიდრე ადამიანს გააჩენდა, „თქვა ღმერთმან: იქმნენინ ნათელი, იქმნა ნათელი... და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე, და ბნელსა უწოდა ღამე". მაგრამ თვით მზე, მთვარე და ვარსკვლავები ღმერთს, თურმე, მეოთხე დღეს გაუჩენია. გამოდის, რომ სინათლე პირველი სამი დღე თავისთავად არსებობდა. ეს შეუსაბამობა აიხსნება იმით, რომ ბიბლიური თქმულებები იმ დროს არის წარმოშობილი, როცა ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა ბუნების მოვლენათა მიზეზების ახსნა, კერძოდ, მას არ ესმოდა, რომ დღის სინათლე მთლიანად მზესთან იყო დაკავშირებული.

ასეთი წინააღმდეგობებით სავსეა ბიბლია, რომელიც მოითხოვს მორწმუნისგან ბრმა, დაუეჭვებელ რწმენას ყოველივე იმისა, რაც მასშია ნათქვამი; და, რაც მთავარია, თურმე, არც ისე ძნელი ყოფილა სამყაროს წარმოშობა... ღმერთს ამისთვის მხოლოდ ექვსი დღე დასჭირებია.

მეცნიერების თვალსაზრისით კი უსასრულო და უსაზღვრო სამყაროს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. თვითეულ ციურ სხეულს აქვს თავისი არსებობის დასაწყისი და ექნება დასასრულიც, მაგრამ სამყაროს მთლიანად არც დასაწყისი და არც დასასრული არ შეიძლება ჰქონდეს. მატერია, რომლისგანაც ციური სხეულები შედგება, მუდამ იცვლება, მაგრამ მარადჟამს არსებობს. „მთელი ბუნება, — ენგელსის თქმით, — დაწყებული მისი უწვრილესი ნაწილაკებით უდიდეს სხეულებამდე, დაწყებული ნამცეცით და გათავებული მზით, დაწყებული პროტისტით და გათავებული ადამიანით, იმყოფება მუდმივ წარმოშობასა და მოსპობაში, განუწყვეტელ მდინარებაში, დაუღალავ მოძრაობასა და ცვლილებაში".

სამყარო — უსასრულო სივრცეში, უსასრულოა დროშიც, ე. ი. სამყარო ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს თავისი მარად მდინარებასა და განვითარებაში მყოფი მატერიით.

— მაპატიეთ, მალე განთავისუფლდება?.. — შეეკითხა იგი.

— არ ვიცი. ჩაეწერეთ სიაში, — წარბები მაღლა ასჭიმა მდივანმა და უცებ გველნაკბენივით ფეხზე წამოხტა. სწორედ ამ დროს გაისმა კედლის კუთხეში ობობასავით მიკრული ელექტროზარის ხმა. ქალმა სასწრაფოდ წესრიგში მოიყვანა თავი, გასწორდა და უფროსის კაბინეტში შევიდა.

სრაპიანმა, რომელიც ტყავაკრულ კარებთან იდგა, თავისდაუნებურად კაბინეტში შეიხედა. მოპირდაპირე კედლის ძირას, კაკლის ხის ვეებერთელა მაგიდასთან ერთი წამით გამოჩნდა ბუღდან კარპიჩის უშველებელი თავი.

მინისტრის მოადგილე ტელეფონით ლაპარაკობდა. მხრები წინ წამოეწია, მელოტი თავი თითქმის მაგიდაზე დაედო. ამიტომაც სრაპიანმა უფრო გარკვევით დაინახა მხოლოდ მისი წინ გამოშვერილი დიდი შუბლი. სახე ხეირიანად არც დაუნახავს. საკვირველი ის იყო, რომ კაბინეტში ბუღდან კარპიჩის მეტი არავინ ყოფილა. მაშ რაღას უცდის, რად არ იწყებს მიღებას?

მდივანი ქალი კაბინეტიდან გამოვიდა, ტელეფონით დაუკავშირდა „დინამოს“ სტადიონს, ოთხი ბილეთი შეუკვეთა და რამდენჯერმე გააფრთხილა, უეჭველად დასავლეთ ტრიბუნაზე იყოს, ცენტრში, ეს ბილეთები პირადად მინისტრის მოადგილეს სჭირდებაო. შემდეგ კი დიდის ამბით გამოაცხადა: მინისტრის მოადგილე სასწრაფო საქმის გამო „ცეკაში“ მიდის, დღეს მიღება არ ექნებაო.

დამსწრეთა გაკვირვება და უიმედობა ერთმანეთში აირია. თითქოს ყველას ცივი წყალი გადაასხეს, სრაპიანსაც სხეულში მსუბუქად გააჟრჟოლა. ერთი პირობა დააპირა მდივანისთვის ეთქვა, რომ ძალიან შორიდან არის ჩამოსული სასწრაფო საქმეზე, ესეც რომ არ იყოს, ისედაც უფლება აქვს თვრამეტი წლის უნახავი მეგობარი რამდენიმე წუთით ნახოს... ბუღდან კარპიჩმა რომ შეიტყოს მისი ჩამოსვლა და აქ ყოფნა, განა მაშინვე გარეთ არ გამოვარდება კაბინეტიდან, ყველას თანდასწრებით გადაეხვევა და ხელმოხვეულს შეიყვანს ოთახში!..

მაგრამ ამ უჩვეულო ატმოსფერომ, შავი ფერის ტყავაკრულმა კარებმა, ნიკელის ინგლისურმა საკეტმა, უსიამოვნო ჩურჩულმა და ფუსფუსმა, უკმაყოფილო ადამიანთა სახეებმა აიძულეს იგი ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე.

— ეს უმსგავსოებაა, — წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა გამხდარმა მოხუცმა, რომელიც ხელში ნერვულად ათამაშებდა, ხსნიდა და კეტავდა თავის დაძველებულ პორტფელს, — ერთი კვირაა მოვდივარ და ვერას გზით ვერ ვნახე.

— ხუთწუთიანი საქმე მაქვს, სწორედ ხუთი წუთი მინდა, — წარმოთქვა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ.

— გუშინაც ასე თქვა, მინისტრთა საბჭოში მივდივარო, ნამდვილად კი მანქანამ სხვა გზით წაიყვანა.

— ტრესტში რომ ასეთი არ იყო?...

— თავი გამანებე თუ ღმერთი გწამს, არც იქ იყო დიდი საქონელი, სხვებმა იმუშავეს და ეგ კი ამაღლდა.

უსმენდა სრაპიანი და რატომღაც სირცხვილისაგან იკუმშებოდა, პატარავდებოდა. თითქოს დანაშაული მას ჩაედინოს, თითქოს ყოველი მხრიდან კიცხავდნენ, და თავის დასამშვიდებლად პასუხს ვერ პოულობდა, შეშფოთებული უკან-უკან იხევდა. ყურები უწითლდებოდა, ალმური ედებოდა, სიმწრის ოფლს ასხამდა. ათასჯერ უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ აქ არ მოსულიყო და არ გაეგონა ეს ყველაფერი. უკვე გაფანტულიყო, გამქრალიყო სითბოს მომგვრელი შეხვედრის შესახებ ფიქრები. მის თვალწინ ნათლად იხატებოდა თავისი ამხანაგის მოსაწყენი, ულაზათო პორტრეტი. ყოველი სიტყვა, ყოველი გაკიცხვა ახალ საღებავს მატებდა, ახალ ხაზს უმატებდა ამ პორტრეტს, რომელიც უფრო მეტად აშუქებდა მის ისედაც მოსაწყენ ფერებს და უფრო დაღვრემილს ხდიდა მას.



— ბიუ-რო-კრატი, — გაიმეორა აღელვებულმა მოხუცმა, კარებს შეხედა, უცებ შებრუნდა წასასვლელად, სრაპიანს მიეჯახა და ნერვული ნაბიჯებით მინისტრის მოადგილის მისაღებ ოთახიდან გარეთ გავიდა.

ეს უკვე ფუნჯის უკანასკნელი მძლავრი მოქნევა იყო პორტრეტზე.

„ბიუ-რო-კრატი“ — რა სიძულვილი და როგორი ზიზღი გამოსჭვიოდა მოხუცის ხმაში. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ამ შავი, დამუნჯებული კარების შიგნით, რბილ სავარძელში ჩაფლულ ადამიანს, ლოკოკინასავით თავის თბილ ხაფარში შემძვრალს, სხვა თავისებური ქვეყანა შეუქმნია, და სრულებით არა გრძნობს, თუ რა საბრალო მდგომარეობაშია.

ხალხი თანდათან დაიშალა. მდივანი ქალი დინჯად და აუღელვებლად განაგრძობდა თავის ხელსაქმეს. ისიც იყო დამნაშავე თუ არა — ძნელია ამის თქმა, მაგრამ როდესაც სრაპიანი მის წყნარ და უდარდელ სახეს უმზერდა, ეჩვენებოდა თითქოს ნემსის წვერით, იგი აუღელვებლად პირდაპირ გულში ჩხვლეტდა მას. ერთი პირობა, სრაპიანმა გადაწყვიტა ხელი ეკრა კარებისთვის, შევარდნილიყო ბუღდან კარპიჩის კაბინეტში და გულში დაგროვილი მთელი ბოღმა დაენთხია, ეამბნა, რაც ცოტა ხნის წინ მოისმინა თავისი ყურით, გაეკიცხა ბუღდან კარპიჩი, მაგრამ თავი შეიკავა და სხვა დროისათვის გადადო.

* *

მივლინებით დავალებული ყველა საკითხები სრაპიანმა მინისტრთან მოაგვარა და ძალიან ინანა, რომ თავიდანვე არ მიმართა მას. უკვე არავითარი საქმე აღარ ჰქონდა ბუღდან კარპიჩთან. შეეძლო მის უნახავადაც წასულიყო ქალაქიდან. მაგრამ სრაპიანს მაინც უნდოდა შეხვედროდა ბუღდანას. სურდა გულში დაგროვილი ნაღველი დაენთხია მის წინ, გაეგებინებინა ჭეშმარიტება.

შესაძლოა პირველად ეწყინოს, — ფიქრობდა სრაპიანი, — მაგრამ არაფერია, მასაც არგებს ეს და საქმესაც, საბოლოოდ აბა ვინ უნდა უთხრას თუ კი ნამდვილი ამხანაგი და მეგობარი მოერიდება; თვალები უნდა აუხილოს, დაანახვოს ჭაობი, რომელშიც იგი ყელამდე ჩაფლულა და იწყებს ხრწნას. დიახ, დიახ, უეჭველად უნდა ნახოს. მაგრამ სად? სახლში მისვლა არ სურდა, ასეთი საკითხებით ოჯახში მისვლა უხერხულია. სამინისტროში მისვლას აზრი არა ჰქონდა, რადგან რამდენჯერმე სცადა და არაფერი გამოუვიდა. ბუღდან კარპიჩი ან ძალზე დაკავებული იყო, ან არა და მუდამ მინისტრთა საბჭოში, უმაღლეს საბჭოში ეძახდნენ და ასე დაუსრულებლად. ქუჩაში არ ხერხდებოდა შეხვედრა. ბუღდან კარპიჩი არასოდეს ფეხით არ დადიოდა, თუმცა მისი ბინა სამსახურიდან სულ ორმოცდაათი-სამოცი ნაბიჯით იყო დაშორებული. ამბობდნენ, სახლიდან სამსახურში და სამსახურიდან სახლში წასვლის თავისებური მარშრუტი შეუმუშავებია, რომელიც ნახევარ ქალაქის მოვლას ითვალისწინებსო. ისღა დარჩა, ტელეფონით დაკავშირებოდა. სრაპიანმა სცადა ტელეფონიც. მდივან ქალს განუცხადა თავისი ვინაობა, უთხრა საიდან იყო ჩამოსული, რა საკითხი ჰქონდა და სთხოვა მოეხსენებინა ბუღდან კარპიჩისათვის.

— კეთილი, მოვახსენებ, ხვალ დარეკეთ.

— რატომ ხვალ... ხვალ მე უკვე მივემგზავრები... ნუთუ ახლა მანდ არ არის?...

— აქ არის, მაგრამ ძალზე დაკავებულია, კოლეგიისათვის ემზადება... ერთი სიტყვით, ხვალ...

სრაპიანს კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ტელეფონი გაითიშა. გაბრაზებულმა ხელმეორედ დარეკა, მაგრამ ტელეფონი უკვე დაკავებული იყო. სხვა საქმეც ბევრი ჰქონდა სრაპიანს და იძულებული გახდა ეს საუბარი შემდეგი დღისთვის გადაედო.

მეორე დღეს ყურმილში მოესმა მდივანი ქალის წრიპინა ხმა და სრაპიანმა მშრალი და ოფიციალური ტონით ჰკითხა:

— მისმინეთ, ამხანაგო, მოახსენეთ?.. სრაპიანი გელაპარაკებათ...

**— ა, სრაპიანი, — გააგრძელა მდივანმა ქალმა, — მოვახსენე, როგორ არა.** ბუღდან კარპიჩს ძალიან გაეხარდა. გაგიხსენათ კიდეც, მაგრამ ძალიან შეწუხდა, რომ ამ დღეებში სასტიკად დაკავებულია. მოსკოვს მიემგზავრება... უმაღლეს საბჭოში სასწრაფო საქმეები აქვს... მინისტრი ხომ ბუღდან კარპიჩის გარეშე არაფერს არ გადაწყვეტს. დიახ, დიახ...

რა უნდა ექნა სრაპიანს, როგორ მოქცეულიყო? ნუთუ მართლა გაურღვეველი იყო ბუღდან კარპიჩის ირგვლივ აღმართული ბიუროკრატიზმის კედელი. უსაზღვრო სიბრაზისაგან ხელი აუცახცახდა, ამან უფრო გაამწვავა მისი აღელვება და გადაწყვიტა უკვე ხელი აეღო ზრდილობის ყოველგვარ ფორმებზე.

— მისმინეთ, ამხანაგო, — განრისხებული ტონით დაუყვირა მან, — გთხოვთ ახლავე შემაერთეთ მასთან.

— ეგ რას ნიშნავს, მიბრძანებთ კიდეც?

— დიახ, გიბრძანებთ... თქვენზე უნდა ველაპარაკო, ახლავე შემიერთეთ. თქვენ მე მატყუებთ, თქვენ არ მოგიხსენებიათ... თქვენ...

— არ მომიხსენებია?.. რას ამბობთ... პატიოსან სიტყვას...

— დიახ, დიახ, არ მოგიხსენებიათ...

მდივანი ქალი ერთ ხანს თითქოს დაიბნა კიდეც. სრაპიანმა განზრახ უთხრა ასე, რომ მდივანი ქალი იძულებული გამხდარიყო თავისი სიმართლე დაემტკიცებინა და ბუღდან კარპიჩთან შეერთებინა იგი. სრაპიანი ვერ ხედავდა მდივან ქალს, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი ქურდ კატასავით მაგიდის კუთხეში მიიკრუნჩხა, მოიკუტა და ერთ პატარა გუნდად იქცა.

— მოვახსენე... პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ მოვახსენე... მაგრამ თუ თქვენ არა გჯერათ... აი, ახლავე შეგაერთებთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით...

და უცებ ყურმილში ბუღდან კარპიჩის ყრუ, ხავერდოვანი ხმა გაისმა, სრაპიანი გამოცოცხლდა, უკვე მიზანს მიაღწია.

— ჰა, გისმენთ... სრაპიანი? ჰო... მახსოვს, როგორ არა... მდივანმა კი ვიღაც სხვა სრაპიანზე მითხრა. ხედავ კინაღამ გაუგებრობაში ჩამაგდო. როდის ჩამოხვედი, ბიჭო?.. მიხარიან, ძალიან მიხარიან. აბა, გამოივლი და ვისაუბრებთ, ახლა კი დიდ ბოდიშს ვიხდი, ძალზე დატვირთული ვარ, შემიძლია მხოლოდ ერთი წუთი დაგითმო. მითხარი, რა გინდა?

სრაპიანი ელდანაკრავივით შეინძრა ადგილზე. თითქოს ყურმილით ელექტრონის ძლიერი დარტყმა იგრძნო თავში, ისეთი ძლიერი, რომ თავის სარქველი აეხადაო.

„მხოლოდ ერთი წუთი“... რაღაც მწარე, უსაზღვროდ მწარე გრძნობამ მოიცვა მისი სული. სუნთქვა შეეკრა. სრაპიანს უნდოდა მაშინვე დაეკიდნა ყურმილი, მაგრამ უცებ რაღაც შინაგანმა ძალამ იფეთქა. ხმამაღლა წარმოთქვა.

— უსირცხვილო, — და ყურმილი ჩამოუკიდა.

* *

ამ ამბის შემდეგ განვლო რამდენიმე წელმა, არტაშეს სრაპიანი საქმეების გამო ისევ ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქში. გაზაფხულის მშვენიერი დილა იყო. ქუჩაში იგი შემთხვევით შეხვდა ბუღდან კარპიჩს. რაღაც არასასიამოვნო გრძნობის კარნახით სრაპიანს სურდა პირი აერიდებინა და ისე გაევლო მის გვერდით, მაგრამ ამ დროს მოღიმარი სახით მას მიუახლოვდა ბუღდან კარპიჩი და კედლივით პირდაპირ წინ აღემართა.

— ჰა, სრაპიან?.. რაო, ვერ მიცანი? — ჰკითხა მან და თავისი უშველებელი ხელი გაუწოდა.

— როგორ არა? ნუთუ შეიძლება შენი დავიწყება? — ორაზროვნად მიუგო **სრაპიანმა.**

— ბიჭო, რა საოცარი კაცი ყოფილხარ. მაშ ასეთ რამეს გააკეთებენ? — სადა, უბრალო, და გულწრფელი ტონით უსაყვედურა ბუღდან კარპიჩმა.

— რაზე მისაყვედურებ? — ვითომ ვერ მიუხვდა სრაპიანი.

— როგორ თუ „რაზე“, მაშ ასე აწყენინებენ გულითად ამხანაგს?

„აი რაშია საქმე! ჩანს მას არ დავიწყებია და ახსოვს, ეს კარგია“ — გაიფიქრა სრაპიანმა. იგი გულღვარძლიანი კაცი არ იყო, მაგრამ ყოველთვის უყვარდა, რაც გულში ჰქონდა ბოლომდე ეთქვა და არ დაემალა. ამიტომაც არ დააყოვნა და მაშინვე შეეკითხა.

— გაწყენინე განა? რა იყო საწყენი? შენ სულ ერთი წუთი დრო მომეცი, მეც ერთ წუთში მხოლოდ მაგის თქმა მოვახერხე. მშვიდობით...

და სრაპიანს სურდა წასვლა, მაგრამ ბუღდან კარპიჩმა მეგობრულად მოხვია ხელი და შეაჩერა.

— მოიცა, ბიჭო, რა საკვირველი კაცი ხარ, მოითმინე, ცოტა ვილაპარაკოთ.

სრაპიანი აენთო. „ალბათ იგრძნო, მიხვდა თავის შეცდომას, ან ვინ იცის, იქნებ ამ გაზაფხულმა, ამ ბრწყინვალე დილამ, ბუნების ამ გამოღვიძებამ დაადნო ბუღდან კარპიჩის სულში დაბუდებული ყინული, ავტოდან ჩამოიყვანა, ცხოვრებას დაუახლოვა, ადამიანებს დაუახლოვა“ — გაიფიქრა მან. მაგრამ მაინც ძნელი იყო იმ შემთხვევის დავიწყება და ამიტომაც განაგრძო:

— აბა, რაზე ვილაპარაკოთ? მინისტრის მოადგილე ხარ, საქმეებით დატვირთული, დრო არ გექნება, წადი, ალბათ გელოდებიან.

— რის მინისტრის მოადგილე, რას ამბობ, ბიჭო?... ახლა იქ აღარ ვმუშაობ... მოიცა, ერთი გულიანად ვისაუბროთ... მოიცა, ერთი წუთი...

მაგრამ სრაპიანი უკვე წასულიყო...

მიაბიჯებდა არტაშეს სრაპიანი და ფიქრობდა:

— აი, ბოლოს ხომ მაინც შევხვდი ჩვენს ბუღდან კარპიჩს. ჩვენს ბიუროკრატს...

თარგმანი სომხურიდან

**არტ. დავითიანისა**






# მიქაელ ნალბანდიანი

125 წელი შესრულდა დიდი სომეხი დემოკრატი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიქაელ ნალბანდიანის დაბადებიდან. თავისი შემოქმედებითა და მგზნებარე მოღვაწეობით მან ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა სომხური პროგრესული აზრისა და ლიტერატურის განვითარებაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ მ. ნალბანდიანის ლექსის ქართულ თარგმანს.

## ბავშვობის დღეები

ო, ბედნიერო დღენო ბავშვობის,
გულს სიხარულის ცეცხლს რომ უნთებდით,
ტკბილ სიზმარივით გაჰქრით, გამშორდით
და არასოდეს დამიბრუნდებით.

მწვავე სინანულს გავუღე კარი —
ერის ტკივილი გულს არ ეშვება,
და აპოლონმა მიბოძა ქნარი
დაჭრილი სულის მანუგეშებლად.

მაგრამ აკვნესდა ის მწუხარებით,
გამოეთხოვა ლხენას და ღიმილს,
წრფელ სიხარულით და ნეტარებით
ვერ ავათრთოლე ვერც ერთი სიმი.

და მივხვდი მაშინ — ვერ გადარჩება
გული ამ წყლულებს, ტანჯულ-ვნებული,
ვიდრე სხვა ქვეყნებს მონად დარჩება,
სამშობლო ჩემი დამუნჯებული.

რად გაჰქრით მალე, დღენო ბავშვობის? —
მე თქვენი ხილვა აღარ მეღირსა!
ეჰ, მაშინ წლები, ლხენის, ანცობის,
თავი მიმაჩნდა მეფედ ქვეყნისა.

მაშინ არ ვგრძნობდი მძიმე ბორკილებს,
არც ძალადობის უწყალო ბრჭყალებს,
მე მათ თქვენს შემდეგ დამიმორჩილეს,
შემდეგ გამტანჯეს და გამაწვალეს.

კმარა!
ნუ ჰკვნესი, დადუმდი ქნარო!
შენს ძღვენს, აპოლონ, გიბრუნებ ისევ,
მიეც მას, ქალი ვინც შეიყვაროს
და მას შესწიროს სიცოცხლე თვისი.

მე კი უჩანგოდ, უბრალო სიტყვით,
უნდა მტარვალებს დავატყდე თავზე,
აღშფოთებულმა, აღმდგარმა რისხვით,
წყვდიადის ქურუმთ თავზარი დავცე.

აწ ვინ მოუსმენს ქნარის სუსტ ძახილს? —
ხელს მებრძოლისას მახვილი შვენის!
ცეცხლსა და მახვილს,
ცეცხლსა და მახვილს
გავხდით დევიზად სიცოცხლის ჩვენის!

დე, ძველი დელფის მისანი ისევ,
აღშემოვლებულ სამფეხზე მჯდარი,
მოუწოდებდეს ხალხს სიბნელისკენ,
რომ შეაცდინოს ბრბო უმეცარი:

დე, მოციქულმა ცილისწამების
ზღვის ნაპირებზე ნუგეში ჰპოვოს,
თავისუფლებისთვის განაწამებნი,
ჩვენ მუდამ მისთვის ვიბრძოლებთ მხოლოდ.

ო, შეივრდომე, მეუფევ ზეცის,
ტიალ-ოხერი, საბრალო ერი,
ნუ გადააქცევ ზვარაკად მტრების,
თორემ მისნობას დელფელი ბერის
აღარ მოუსმენს ჩაგრული ხალხი.

ხელს მეომრისას მახვილი შვენის!
ცეცხლსა და მახვილს,
ცეცხლსა და მახვილს
გავხდით დევიზად სიცოცხლის ჩვენის!

თარგმანი **მახტანგ ბეწუკელისა**

გიორგი შაგბერაშვილი

# ახალი ლექსები

## მშვიდობისა

ჩემს პატარა დიასახლისს ნაწნავები შვენის.
ზენაქარი მიეპარა, ზენაქარი ჩვენი,
შეურხია ოქროს თმები — მოსამკალი ყანა,
შავი ზღვის და ლურჯი მთების სუნთქვით აღაღანა...

შემოჰქროლა და ნაწნავი დაუტოლა ნაწნავს,
როგორც ვაზი გასასხლავი სარსააკრას კაცმა!
დარისაა, განა სეტყვის, არ მოუძლვის ავდარს,
ლურჯ ჯეჯილებს ნანას ეტყვის, დააბურებს თავთავს...

მე ასეთი ქარი მინდა, განა ქარაშოტი,
შორს გრიგალი, მოვარდნილი მუქარით და შფოთით,
რომ დააზრობს სამუდამოდ, გახდის იავართა
ჩემს ეზოს და კარ-მიდამოს ქცეულს იავარდად;

ჩემს პატარა დიასახლისს აუწეწავს ნაწნავს,
აყეფდება როგორც ძაღლი, სახეს დაუკაწრავს,
გადაბუგავს ბაღ-ვენახებს, აამტვერებს შარას,
ჩამოაქცევს ზეცის თაღებს, ააბლავლებს ფარას...

არა, ჩემი ზენაქარი, ქარი არა სეტყვის,
მწამს, იქროლებს მშვიდობისად მინდვრებს ნანას ეტყვის;
ჩაუქროლებს მორიდებით ვენახებს და ყანებს,
შავი ზღვის და თეთრი მთების სუნთქვით აღაღანებს!

## დედის ეზოში

ისევ აქა ვარ, დედის ეზოში...
ქვიტკირის სახლი, ქვიტკირის კიბე.
ფეხზე მაცვია ზურმუხტის ქოში,
მომინდება და ბაღში ჩავირბენ!

მომინდება და მთასაც გადავალ,
ეგებ სატაცურს წავაწყდე სადმე;
ეზოში ჰყვავის ნაცარქათამა,
დედა აპურებს ნაცარა ქათმებს.

ისევ ბავშვი ვარ... მივფრინავ ცაში,
შორეულ ღრუბელს აქლემს ვადარებ,
მომეწონება... ვჩურჩულებ, წავშლი...
საყვარელ ლექსებს ჯიბით ვატარებ.

ვარ ორი თხის და ბოჩოლას მწყემსი,
თავთუხის ული წელზე მარტყია,
ძეძვის ბუჩქიდან სტვენა მომესმის...
მე რომ დავდევდი, ეს ის ბარტყია!

ეს ის წნელია, მე რომ დავგრიხე,
და ჩავაწანი დაბრეცილ ღობეს,
შორს ასწლოვანი მოჩანს კაკლისხე, —
მიაგავს ჩემი ბავშვობის მთხრობელს.

გახარებულა ხნიერი ვაზი,
რქებით ხარდანზე გადაწვენილა,
აცრემლებულა მეტის სინაზით...
ცრემლი კი არა, მიწის წვენია.

ამ მიწის წვენმა მეც ამამღერა,
როგორც ჭალებში ასკილის სტვირი.
პატარა ეზო... ზეცა ამხელა...
მიხარია და, ვაზივით ვსტირი.

## ეთიმ გურჯი

საიათნოვა მესათნოვა,
შეჯიბრება ლექსად მთხოვა...
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს ლექსებთან მე სად მოვალ?!
საიათნოვა დამეხსენი,
შენს ლექსებთან მე სად მოვალ,
სიტყვას იტყვი, ლექსად მოვა,
სიმს ჩამოჰკრავ, კვესად მოვა...
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს სიტყვასთან მე სად მოვალ?..
არც ერეკლეს აშული ვარ,
არც კრწანისზე დაჭრილი ვარ;
შენი შუქის ნაშუქი ვარ,
შენი ჩრდილის ნაჩრდილი ვარ,
რა ვქნა, გვიან დავიბადე —
ცხელ ასფალტზე გაზრდილი ვარ;
შენმა ლექსმა ამამღერა,
მომეტკბო და მესათნოვა...
საიათნოვა, დამეხსენი,
შენს ქართულთან მე სად მოვალ?!
ისე ეტრფის თბილის ქალაქს
საქართველოს ზეცა ლურჯი...
მისმა ცქერამ გამაქვავა,
მის სიყვარულს ვერ გადვურჩი;
ეს რა ცეცხლი წამეკიდა;
ვერც ავმღერდი, ვერც დავმუნჯდი,
დამეხსენი საიათნოვა,
შენს ტრფიალთან მე სად მოვალ!
მაინც ვმღერი ლექსის ურჩი,
ბედის ურჩი — ეთიმ გურჯი!

## ნაზო ვაჩნაძე

ვერ მოვასწარი... შენს სიცოცხლეში
ვერ ვუთხარ ლექსი შენს მზექალობას...
მეც მწვავდა შენი თვალების ეშხი,
მსურდა, ჩუმი ხმით მეც მეგალობა.

იმ შენი ულვთო სიკვდილის მერე,
მე ეს სიმღერა ჩემს საიმედოდ —
გულში უჩუმრად ამოვიმღერე ,
ახლა სათქმელად ვით გავიმეტო?..

ვით გავიმეტო, ქალო, შავბედო,
ბევრის ოცნებავ, გულს მისამატო,
როგორ ავმღერდე, როგორ გავბედო.
დავწერო წიგნი უმისამართო!

სულაც არ მინდა ის მერგოს ბედად,
შენს მოტრფიალედ ჩამთვალონ მეცა...
ისიც მეყოფა, რომ შენთან ერთად
მეც შევცქეროდი თბილისის ზეცას!

ისიც მეყოფა, რომ არ ვიცოცხლე
შენი თვალების დაუნახავად,
შენს სილამაზეს დავუდექ მოწმედ,
შენს რუსთაველზე ღიმილით გავლას...

შავბედისაგან შეუბრალები
შენ ვინ გაგწიროს დასავიწყებლად,
თვითონ სიკვდილმა შენი თვალები
ვერ გაიმეტა დასამიწებლად!

ვერ გაიმეტა მიწის საჭმელად,
შავ მიწას აღარ დაალპობინა,
ჰექა-ქუხილით აქცია ფერფლად
და საქართველოს ზეცას მოჰფინა.

შენზე ამბობენ, ის აღარ არი...
მაგრამ სხვა ქალთა ვნახავთ ვარდობას,
კვლავ ვაჩნაძიანთ მშვენების დარი
გამოერევა ახალგაზრდობას,

სხვა სილამაზე გაიფურჩქნება
და რუსთაველზეც სულ სხვა გაივლის...
რა ვქნათ, ასეა:
ერთი თუ ჰქრება,
კვლავ დაამშვენებს მეორე თბილისს.

მას გამოჰყვება შენი მსგავსება,
და მისი ტურფა ღიმილის მოწმეს —
მისი მშვენება აუდგამს ენას
და გაიგრძელებს ლექსით სიცოცხლეს.

დე, სილამაზე იყოს დღეგრძელი!
სულ სხვა უმღერებს ახალ ენძელებს,
შენ გაგიხსენებს ჩვენი ლექსებით
და მერე... ალბათ ჩვენც გვადღეგრძელებს...

მაგრამ, ვაი რომ ჩვენ ვერ ვუმღერებთ,
ვინც საქართველოს მოხიბლავს კვლავაც,
იგი ღიმილით ყელს მოიღერებს,
სულ სხვა პოეტთა გულის საკლავად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ზიჩი
## (1829 – 1906)

**ბ. გორდეზიანი**

მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს შესრულდა დაბადების 125 წლისთავი „ვეფხისტყაოსნის“ პირველ დამსურათებელს, ცნობილ უნგრელ მხატვარს მიხეილ ზიჩს.

ბევრი დღესაც დიდ სიამოვნებას განიცდის ზიჩის სურათების ნახვით, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, თუ ვინ იყო იგი და რა დამსახურება მიუძღვის სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

მიხეილ ალექსანდრეს ძე ზიჩი დაიბადა 1829 წელს, უნგრეთში. დაწყებითი და უმაღლესი სწავლა მან სამშობლოში მიიღო, ხოლო შემდეგ დაამთავრა ვენის სამხატვრო აკადემია.

15 წლისა იყო ზიჩი, როდესაც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო გამოფენაზე. მისი ნამუშევრები მუზეუმებმა შეიძინეს. ხოლო 18 წლის ახალგაზრდა მხატვარი რუსეთის სამეფო კარზე მიიწვიეს ხატვის მასწავლებლად.



მ. ზიჩი. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე დადგმული ცოცხალი სურათი „შოთა რუსთაველი თამარ მეფეს უძღვნის თავის პოემას“.

1847 წლიდან ზიჩი პეტერბურგში გადადის საცხოვრებლად. ორი წლის შემდეგ მასწავლებლობას თავს ანებებს და რეტუშორობით ირჩენს თავს. ასე გაატარა მან რვა წელი.

1858 წელს რუსეთს ეწვია გამოჩენილი ფრანგი მწერალი, მხატვარი და მოგზაური ტეოფილ გოტიე. გოტიე გაეცნო ზიჩს და როდესაც თავის მოგზაურობა გამოაქვეყნა, ერთი თავი ზიჩის მხატვრობას დაუთმო. მის შემოქმედებას მწერალი „განსაცვიფრებელსა“ და „გენიალურს“ უწოდებს.

ტ. გოტიეს აზრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ პეტერბურგისა და ევროპის საზოგადოებაზე. რუსეთის სამხატვრო აკადემიამ ზიჩს აკადემიკოსობა მიანიჭა (1858 წ.).

1873 — 1880 წლებში ზიჩი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ხოლო 1880 წლიდან ხელახლად იქნა მიწვეული რუსეთის სამეფო კარზე.

ზიჩის შემოქმედებას მისი თანამედროვენი ასეთ შეფასებას აძლევდნენ: „ზიჩი არის ერთადერთი, რომელმაც ხატვის ტექნიკური მრავალფეროვნება და ხაზმის ცოდნა ვირტუოზობამდე მიიყვანა“, აგრეთვე დასძენდნენ: „ზიჩს ძალიან ცოტა მეტოქე ჰყავს... ...ხშირად რამდენიმე დიუმზე იგი ხატავს მრავალ ათეულ პორტრეტს, სადაც გასაოცარი სიზუსტით არის დაცული მსგავსება“.

ზიჩის ნამუშევრები უმთავრესად პატარა ზომისანი არიან. იგი იშვიათად ხატავდა ზეთის ფერებით, უმთავრესად ხმარობდა აკვარელის საღებავებს, ფანქარს, გახსნილ ტუშს.

სახვითი ხელოვნების ისტორიაში ზიჩი ცნობილი არის, როგორც რუსულ, უნგრულ, ისე დასავლეთ ევროპის კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ორიგინალური ილუსტრატორი. მას უამრავი ნაშრომი აქვს, რომელთა მთლიანი დასახელება თითქმის შეუძლებელია. აღვნიშნავთ რამდენიმეს.

ზიჩმა დაასურათა: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, ნ. გოგოლის, ი. გონჩაროვის, უ. შექსპირის, ა. პუშკინის, გოეთეს, ბაირონის, ა. დიუმას, ტ. გოტიეს და სხვა გამოჩენილ მწერლების ნაწარმოებები. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა მ. ლერმონტოვის თხზულებათა ილუსტრაციებმა.

არანაკლები გულისხმიერებით და სიყვარულით დაასურათა ზიჩმა თავისი თანამემამულეების, უნგრეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მწერლების: შანდორ პეტეფის, ი. არანის და სხვათა ნაწარმოებები.

ყურადღებას იმსახურებს ემერიხ მადაჩის პოემის „ადამიანური ტრაგედიის“ დასურათება, სადაც საუკეთესოდ არის გამოვლინებული მხატვრის მდიდარი ფანტაზია და პროფესიული ოსტატობა.

ზიჩის სახელი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებიდან დაუკავშირდა რუსთაველის სახელს.

როდესაც ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შემდგარმა „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიამ ზიჩს შესთავაზა რუსთაველის დასურათება (1881 წ.), მან კმაყოფილებით მიიღო ეს წინადადება, უყოყმანოდ დათანხმდა.

ზიჩმა რუსთაველის დასურათება ცოცხალი სურათების დადგმით დაიწყო, ხალხს დაუახლოვდა, გამონახა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა შესაფერი ეროვნული ტიპები და შემდეგ რეალისტურად განასახიერა რუსთაველის გმირთა სახეები.

ზიჩმა, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანი“ გულით შეითვისა, იგრძნო რუსთაველის გმირების სულისკვეთება“ და ამ მიზნით ქართული წერა-კითხვაც კი შეისწავლა.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათების დადგმებზე და ზიჩის თავდადებულ მუშაობაზე იმდროინდელი ქართული პრესა ვრცელ ცნობებს აწვდიდა თავის მკითხველებს. აქ მოგვყავს ამონაწერი ზიჩის ერთი წერილიდან, რომელიც ნათლად გვიხატავს, თუ რა სიყვარულით ეკიდებოდა მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საქმეს.

„მე თქვენ გიგზავნით არა თორმეტს (პირველად თორმეტი სურათი ჰქონდა შეკვეთილი ზიჩს, ბ. გ.), არამედ ოცდათოთხმეტ ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ რაც შესანიშნავია, ნომრობით დასწერეთ და საჩქაროდ უკან გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქმის მალე დასრულება.... მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ შევიძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერად გადმოვცემ... მე ჩემის მხრით გამოვცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივუმატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად მოიფინება. დასასრულ გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად


ეროვნული ბიბლიოთეკა

და სათუთად“ („დროება“ 1885. № 72). სხვა წერილში ზიჩი იწერება:

„მოკლე ხანში მე თვითონ გავემგზავრები ვენაში საუკეთესო ამომჭრელ ანჩერენთან და მიუნხენშიაც „ვეფხისტყაოსნის“ სურათებზე მოსარიგებლად“ („დროება“ 1885. № 188).

ყოველივე ეს ზიჩმა პირნათლად შეასრულა. რვა წლის მანძილზე (1881 — 1888), უკვდავი პოემის დასურათებისათვის არც დრო დაიშურა, არც თავი დაიზოგა და სრულიად უსასყიდლოდ მიუძღვნა ქართველ ხალხს დიდი ოსტატობით შესრულებული მხატვრობა.

ზიჩის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილის გავლენისაგან და მისი დასურათება მაღალი მხატვრული კულტურის დონეზე დააყენა.

ზიჩის უანგარო მოღვაწეობამ საქართველოში დიდად შეუწყო ხელი უნგრელი და ქართველი ხალხის დაახლოებას და მეგობრობის განმტკიცებას.

როდესაც დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა (1888 წ. გ. ქართველიშვილის გამოცემა), ზიჩმა ალბომად შეკრული, დიდი ხნის ნაამაგარი ესკიზები გადასცა ქართველ ხალხს და თან ასეთი გულთბილი წარწერა გაუკეთა: „В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу“.

მ. ზიჩი. — შანდორ პეტეფის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ილუსტრაცია.



# უკანასკნელი შეხვედრა



**დიმიტრი ქუმსიშვილი** მოთხრობა მხატვარი ალ. ბანძელაძე

ტრესტის მმართველის კაბინეტთან ახალგაზრდა კაცი შეჩერდა, ჩალის ქუდი ფრთხილად მოიძრო ნაადრევად გამელოტებული მრგვალი თავიდან, მსუქანი მოკლე კისრიდან ოფლი ჩამოიწმინდა და მოკრძალებით დააკაკუნა.

მელოტმა კაცმა, მთვარესავით მრგვალი, ლოყებდაბერილი, მოღიმარე სახე შეჰყო ნახევრად გაღებულ კარებში და მისი ტანისათვის შეუფერებელი, წვრილი და შემპარავი ხმით იკითხა:

— ალექსანდრ ირაკლიჩ, ბოდიში რომ გაწუხებთ... შეგიძლიათ მიმიღოთ?..

ოთახის სიღრმეში მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ახალგაზრდა კაცი იჯდა და რაღაცას წერდა. გაიღო თუ არა კარი, თავი სწრაფად ასწია და ცოცხალი თვალებით ლოყებდაბერილი სახე შეათვალიერა. მისი ნაკვთებიანი, დაფიქრებული სახე უეცრად მხიარულმა ღიმილმა გაანათა, იგი მსუბუქად წამოდგა სავარძლიდან.

— შემოდი, ვანო, შემოდი ბიჭო! როდის აქეთია შენთვის ალექსანდრ ირაკლიჩი გავხდი?! — მიეგება ტრესტის მმართველი ახლად მოსულს, რომელიც ისევ კარებთან იდგა, შემოსვლას ვერ ბედავდა.

ალექსანდრემ ხელი მაგრა ჩამოართვა ინსტიტუტის ამხანაგს, მერე უკან დაიწია, თავისი დამცინავი პატარა თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა და მეგობრულად უთხრა:

— ბიჭო, რამ გაგასუქა ასე? ეტყობა, სოფლის ჰაერმა გარგო. გახსოვს? ინსტიტუტში ქიაყელას გეძახდნენ — ჩხირივით გამხდარი იყავი...

ორივემ გაიცინა, ტრესტის მმართველმა გულიანად, შემოსულმა მორიდებით.

შესვენების დრო იყო. ტრესტის მმართველმა კარები ჩაკეტა, ძველი ამხანაგი დივანთან მიიყვანა და გვერდზე მოისვა.

— ასე არავინ შეგვაწუხებს, — თქვა ალექსანდრემ და განაგრძო — ჩვენი სტუდენტობის წლები მაგონდება... მგონი, რაც ინსტიტუტი დავამთავრეთ, ერთმანეთი აღარ გვინახავს... ბიჭო, მაინც რამ მოგაგონა ჩემი ნახვა. კარგი კი გიქნია, რომ ჩამოსულხარ... კაცო, დივანზე ხეირიანად დაჯექი, რა კიდეზე ჩამომჯდარხარ გასაქცევი კაცივით...

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ საუბარი, რატომღაც, ვერააწყვეს. ვანო გადამეტებულ თავდაჭერილობას იჩენდა. მიუხედავად გაფრთხილებისა, რამდენჯერმე ისევ მოწიწებით მიმართა სახელითა და მამის სახელით.

— ბიჭო, დაანებე თავი ამ ალექსანდრე ირაკლიჩს, თორემ ხუმრობა იქით იყოს, მეწყინება!

ვანო კი პასუხად მოკრძალებით იღიმებოდა...

— ისევ საბჭოთა მეურნეობაში მუშაობ? — უხერხული სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ტრესტის მმართველმა — როგორ მიდის საქმეები? გეტყობა, კმაყოფილი ხარ, თორემ ეგრე არ გასუქდებოდი, — ალექსანდრემ მსუქან ბეჭებზე მეგობრულად დაარტყა ხელი და განაგრძო: რამდენჯერ დავაპირე შენთან ამოსვლა, მაგრამ აქამდე როგორღაც ვერა ხერხდებოდა... ახლა კი უსათუოდ გნახავ. შენს ცოლ-შვილსაც გავიცნობ. ხომ დაცოლშვილდი?

— კი ბატონო, ალექსანდრ ირა...—ალექსანდრემ აღარ დაასრულებინა სიტყვა:

— რა უბედურებაა, აი კიდევ!! ლექსო, ბიჭო, ლექსო!

— დიახ, ლექსო ბატონო, დავცოლშვილდი, მაგრამ ცოლი ხშირად ავადმყოფობს, მუდმივ მკურნალობას საჭიროებს. თბილისში მინდოდა ოჯახით გადმოსვლა. როგორც მოგეხსენებათ, უკვე ათი წელია რაიონში ვმუშაობ, ცხოვრებას ჩამოვრჩი, ცოტა მეც მინდა ქვეყანაზე გავიარო...

ალექსანდრეს მხიარული ნაპერწკლები ჩაუქრა თვალებში, შუბლზე მოძრავი ნაოჭები გაეშალა.

— ერთი სიტყვით, საბჭოთა მეურნეობიდან თბილისში გინდა სამუშაოდ გადმოხვიდე, არა?

— კი ბატონო, თუ დამეხმარებით, კარგი იქნება.

ამ დიალოგმა უფრო გააღრმავა ის უფსკრული, რომელიც ინსტიტუტის ამხანაგებს შორის სხვადასხვა სამსახურებრივმა მდგომარეობამ გათხარა და რომლის ამოვსებას ამაოდ შეეცადა ალექსანდრე.

— ეს ცოტა ძნელი საქმეა, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ დაიწყო ალექსანდრემ. — ხომ იცი მთავრობისა და პარტიის უკანასკნელი დადგენილებები მიმართულია სოფლის მეურნეობის ახალი, არნახული აღმავლობისაკენ. კარგი სპეციალისტები ახლა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში არიან საჭირო... შენ ეს ჩემზე უკეთ გეცოდინება...

— ვიცი, — მორჩილად მიუგო ვანომ, — მაგრამ ცოლს რა ვუყო, გადაუდებელი მკურნალობაა საჭირო. ორ ცეცხლს შუა ვარ. ამან გამაბედინა და მერე ჩვენმა ძველმა ნაცნობობამ.

ისევ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ტელეფონის ზარის რეკვამ დაარღვია.

ალექსანდრე დივანიდან წამოდგა და მაგიდისაკენ გაემართა. ვანოც წამოხტა და თავდახრილი გაჩერდა.

ალექსანდრემ უკმაყოფილოდ აიღო ყურმილი.

— გისმენთ... შენა ხარ, ნატო, რაშია საქმე? ფული გჭირდება?.. რამდენი... ეს ძალზე ბევრია... სად ვიშოვო... არა, არ შემიძლია, ჯერჯერობით განზე გადადე ეს საქმე, მერე, როცა ფული გვექნება... კარგი, არ შემიძლია... ამხანაგს ველაპარაკები და მერე დამირეკე. — ალექსანდრემ ყურმილი დაკიდა.

— ცოლის კაპრიზებს ყოველთვის როდი უნდა აჰყვე. ორ ცეცხლს შუა ვარო, ამბობ. განა რაიონში კი არ შეიძლება მკურნალობა. — მიმართა ვანოს ტრესტის მმართველმა, მეც ახლა ცოლი მირეკავდა, რიგის ავეჯი უნდა იყიდოს და ხუთი ათასი მანეთი მიშოვეო... აქვს ავეჯი, განა არა აქვს, მაგრამ კიდევ უნდა ახალ-ახალი... ხათაბალა ხალხია ეს ცოლები, ესეც უნდათ იყიდონ, ისიც, არის თუ არ არის საჭირო, ამაზე არ ფიქრობენ...

— თუ ნებას მომცემდით, მე გიშოვიდით, — შემპარავი ხმით უთხრა ვანომ.

— მე ტრესტის მმართველი ვარ და არა მაქვს, შენ საიდან გექნება ასე სახელდახელოდ ამდენი ფული და თუნდაც რომ მიშოვო...

— რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ...

— კარგი, ხუმრობას თავი დაანებე, ჰო იმას ვლაპარაკობდით, — ალექსანდრემ შუბლი მოისრისა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო, — თბილისში გადმოყვანის შესახებ იმედს ვერ მოგცემ, მაგრამ მოვიფიქრებ... მაინც შემოიარე ამ დღეებში. შეიძლება რაიმე გამოჩნდეს. ცოლი სერიოზულად არის ავად... თუ ადგილობრივ ექიმებს ვერ ენდობი, აქ მოვათავსოთ საავადმყოფოში ან სოფელში ჩავიყვანოთ პროფესორი... ერთი სიტყვით, დაგეხმარები...

— არა, ეგრეც არ არის ავად. და მერე რა საჭიროა...

— როგორც გინდოდეს, — ალექსანდრემ სტუმარი კარებამდე მიაცილა და გამომშვიდობებისას უთხრა, რაიონში დაბრუნებამდე ერთხელ კიდევ შემომიარეო.

— მადლობის გადახდა ჩემზე იყოს... — ბევრის მთქმელი ღიმილით თქვა ვანომ, დაბლა დაუკრა თავი და კარი ფრთხილად გაიხურა. კიბეები სიხარულით ჩაირბინა: „ჩემი საქმე გაკეთებულია“, — ფიქრობდა და სახლისაკენ აღფრთოვანებული მირბოდა.

— არა, რა ეშმაკურად ჩამირტყა ხუთი ათასი მანეთის შესახებ. მე კი მეგონა, მარტო მე ვიყავი ამ საქმეში დახელოვნებული, — და ვანომ კმაყოფილად ჩაიხითხითა. თავის ფიქრებში ისე იყო გართული, რომ კარში ვიღაცას დაეჯახა. გამვლელმა გაკვირვებით და ეჭვის თვალით შეხედა.

— ბოდიში, ამხანაგო, ხდება ხოლმე, — მხიარულად მიაძახა ვანომ და სწრაფად განაგრძო გზა.

ვანო მეორე დღეს დაბარებულივით მივიდა ტრესტში.

— აქეთ საქმე მქონდა და შემოგიარეთ, — მოიბოდიშა ვანომ.

— კარგი ჰქენი. აი, ბრძანებაც შენი თბილისში გადმოყვანის შესახებ. რომ იტყვიან, ბედი გქონია, ძმობილო! გუშინ შენ წახვედი თუ არა, ერთი ზოოტექნიკოსი შემოვიდა. წელს დაუმთავრებია წარჩინებით ინსტიტუტი და სამინისტრო ჩემთან გზავნიდა სამუშაოდ. გინდა თუ არა, საბჭოთა მეურნეობაში გამგზავნეო. მე რა, იმიტომ კი არ მისწავლია, რომ კანცელარიის ვირთხა ვიყო, ცოცხალი სამუშაო მინდაო. რა გაეწყობოდა, შენს მაგივრად გავგზავნე. შენ კი ტრესტში დაგნიშნეთ. ამ სიტყვებით ალექსანდრემ ქაღალდი გაუწოდა. — ცოლს რომ ჩამოიყვან, შემატყობინე, გინახულებ.

ვანო ძერასავით ჩააფრინდა გამოწვდილ ქაღალდს, თითქმის ხელიდან გამოგლიჯა და ხარბად ჩაიკითხა — ისეთი დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ალექსანდრ ირაკლიჩ, რომ სიტყვები არა მყოფნის...

— ისევ ალექსანდრ ირაკლიჩ; არა, ძმობილო, შენ გამოუსწორებელი ხარ... ერთი სიტყვით, მოაგვარე შენი საქმეები ერთ კვირაში და სამსახურში გამოცხადდი.

— დიდი მადლობელი, ნახვამდის... — ამ სიტყვებთან ერთად ვანომ ათრთოლებული ხელი უბისაკენ წაიღო, იქიდან — რაღაც პაკეტი ამოიღო, ბრძანების ასლი კი მზრუნველობით შეინახა, თანაც წელში მოხრილმა უკან-უკან დაიწყო კარებისკენ დაწევა.

— ვანო, რაღაც დაგრჩა მაგიდაზე, — შეაჩერა უკვე კარებთან მისული ვანო ალექსანდრემ.

— ეს თქვენთვის არის, დიდი მადლობის ნიშნად...

მმართველმა პაკეტი გახსნა. იქიდან მოზრდილი დასტა ფული გადმოვარდა. სახეზე მიწისფერი დაედო. ყრუ ხმით დაუძახა ვანოს, რომელიც უკვე ნახევრად კარში იყო გასული:

— მოიცა, მოდი აქ... ბრძანება მაჩვენე.

ვანო კარგა ხანი ხსნიდა ათრთოლებული თითებით უბის ჯიბეს. ბოლოს, როგორც იყო, ამოიღო დაკეცილი ფურცელი და გაუბედავად გაუწოდა ალექსანდრეს. ალექსანდრემ გაშალა ფურცელი, თვალი გადაავლო, ისევ დაკეცა, რამდენიმეჯერ გადახია და ვანოს ფეხებთან დაუყარა ნაფლეთები. თანაც გაცბუნებულ ვანოს ფული ხელში შეაჩეჩა და ოდნავ გასაგონი, ყრუ ხმით უთხრა:

— ახლა მიბრძანდით!

ვანო ჯერ კარგა ხანს იდგა ადგილზე, ეტყობა ვერ გამორკვეულიყო. შემდეგ უცბად მოწყდა და ქუდმოგლეჯილი გავარდა კაბინეტიდან.

ალექსანდრემ მდივან ქალს დაუძახა.

— გეთაყვა, დამლაგებელ ქალს სთხოვე იატაკი გამოგავოს, ფანჯრებიც გააღოს, რაღაც მძიმე ჰაერია კაბინეტში.





# რობერტ ბერნსი

(1759—1796)

150 წელზე მეტმა განვლო გამოჩენილი შოტლანდიელი პოეტის, ადამიანთა თანასწორობის მგზნებარე მომღერალის რობერტ ბერნსის გარდაცვალებიდან. მისი პოეზია ძალასა და ცხოველმყოფელობას არ კარგავს დღესაც საუკუნე-ნახევრის შემდეგ.

ბერნსი დაიბადა ღარიბი შოტლანდიელი ფერმერის ოჯახში. წერა-კითხვა მან სახლში შეისწავლა. ერთ ხანს დადიოდა სოფლის სკოლაშიც. მამამ, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა და სიღარიბისა, მომავალი პოეტი მიაბარა კერძო მასწავლებელს, — ეს იყო 18 წლის ჭაბუკი მიორდოკი, შემდგომში სახელგანთქმული პედაგოგი. მიორდოკმა პატარა რობერტს ბრწყინვალედ შეასწავლა ფრანგული და ინგლისური ენები, ჩაუნერგა მას მხატვრული ლიტერატურის განსაკუთრებული სიყვარული.

პირველი ორი წიგნი, რომლებიც ბერნსმა დამოუკიდებლად წაიკითხა იყო „ჰანიბალის ცხოვრება“ და „სერ უილიამ უოლესის ისტორია“ *. პირველმა წიგნმა მას აღუძრა სურვილი გამხდარიყო ჯარისკაცი, ხოლო მეორემ იგი განმსჭვალა თავისი ქვეყნის — შოტლანდიის განუსაზღვრელი სიყვარულით, მშობლიური ხალხის ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენით.

სწავლასთან ერთად პატარა რობერტი სისტემატურად ეხმარებოდა მამას შრომაში. ასე ცხოვრობდა იგი 16 წლის ასაკამდე, როგორც თვითონ წერს: „მონურ შრომაში და ბერივით განდეგილი, როცა პირველად შესცოდა ლექსის დაწერით“.

ბერნსის პირველი ლექსის შთაგონების წყარო სიყვარული იყო: „ჩემთვის სიყვარული და პოეზია ერთად იწყება“, წერდა შემდგომში იგი.

23 წლის პოეტს მამა გარდაეცვალა და ოჯახზე ზრუნვა რობერტმა იკისრა. ამავე დროს ეკუთვნის მისი სიყვარული ჯინ არმორისადმი. ჯინის შეძლებულ მშობლებს ღარიბი ბერნსი სასიძოდ სრულებითაც არ ეპიტნავებოდათ და მათი ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. სასოწარკვეთილი ბერნსი ამხანაგების რჩევით გადაწყვეტს კუნძულ იამაიკაზე წასვლას. გზის ფულის შოვნის მიზნით იგი აქვეყნებს თავის პირველ ლექსებს სათაურით — „ლექსები უმთავრესად შოტლანდიურ დიალექტზე“. ლექსებს წილად ხვდათ დიდი წარმატება. ბერნსის სახელი ცნობილი გახდა მთელს შოტლანდიაში და იგი, ამ წიგნის ხელახლა გამოსაცემად, ედინბურგში მიიწვიეს. ბერნსის თანამედროვე, 22 წლის რობერტ ერონი წერდა: „გლეხები და ფერმებში მომუშავენი ტანჯვით ნაშოვნ უკანასკნელ გროშებს არ იშურებდნენ, უარს ამბობდნენ ყოველივე აუცილებელზე და ბერნსის ლექსების წიგნს იძენდნენ. მე წიგნი მომცეს შაბათ საღამოს დავხურე იგი მხოლოდ კვირა დილით. გადავიკითხე რამდენჯერმე“.

ბერნსის ლექსებს წარმატება ხვდათ შოტლანდიის ნაციონალური ბურჟუაზიის წრეებშიც, სწორედ მათ მიიწვიეს ბერნსი ედინბურგში. წარმატებამ პოეტს გამჭრიახი თვალები ვერ დაუბინდა. იგი კარგად გრძნობდა, რომ ედინბურგის სალონის წევრები მას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ, როგორც ბუნებრივ ნიჭიერ ქმნილებას, ასევე შეხედავდნენ ისინი „გაწვრთნილ ღორს“, როგორც თვითონ პოეტი ამბობდა. ბერნსის წინათგრძნობა სავსებით დაადასტურა მოვლენათა მსვლელობამ: მისდამი ინტერესი თანდათანობით ჩაკვდა ედინბურგელ ნაციონალისტთა მაღალ წრეებში. უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებაში ჩავარდნილი პოეტი ბრუნდება სოფლად, ქორწინდება თავის საოცნებო ჯინ არმორზე, მუშაობს ფერმაში და თავისუფალ დროს კვლავ ლექსების თხზვას ანდომებს. ფერმაში მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აუტანელმა სიღარიბემ აიძულა პოეტი დაბალ მოხელედ დაეწყო მუშაობა. ვერც ამ გზით შეძლო ბერნსმა სიღატაკისგან თავის დაღწევა.

მძიმე, დაუსვენარი შრომითა და ჭაპანწყვეტით გატეხილი პოეტი 37 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და თავისი შემოქმედების სრული გაფურჩქვნის მომენტში გარდაიცვალა, 1796 წელს.

ბერნსის პოეზია შოტლანდიური ფოლკლორის მემკვიდრეა. მისი ლირიკა იმდენად ახლოა ხალხურ პოეზიასთან და მას იმდენად აქვს შესისხლხორცებული ხალხური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, რომ ეს ლირიკა თვითონაც ხალხის კუთვნილებად იქცა. ლექსებში პოეტი უხვად სარგებლობს ხალხური თქმულებებით, ლეგენდებითა და ბალადებით. როგორც თვითონ ბერნსი წერდა, ხალხური ზღაპრები, თქმულებანი, ლეგენდები და მითები მას შეუსწავლია ერთი დედაბრისაგან, რომელიც მათს ოჯახში ცხოვრობდა. „ამ ძველმა სიმღერებმა გამოაფხიზლა ჩემში მთვლემარე პოეზია“, — წერდა პოეტი.

რობერტ ბერნსი ჩაგრული ადამიანების გულის მესაიდუმლე და მათი ინტერესების დამცველია. ფერმერთა წრეში ტრიალმა, მიწის მუშის ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვებამ, მათი გულისტკივილისა და ვარამის ყოველდღიურმა მოსმენამ, მათმა კვნესამა და სიხარულმა ბერნსის პოეზიაში ჰპოვა მგზნებარე გამოძახილი და უშუალო, ბუნებრივი ასახვა. სწორედ ამით აიხსნება რობერტ ბერნსის უდიდესი პოპულარობა.

თავის ლექსებში პოეტი დაუნდობლად ამთრახებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მაგრამ მას ვალტერ სკოტივით შუა საუკუნეებისათვის დითირამბები არ უმღერია. შუა საუკუნეებს იგი თვლიდა შავბნელ დროდ, ველურობის ხანად. ბერნსი რეალისტური ფერებით ხატავს ღარიბი ფერმერის განცდებს. იგი ახლოს იცნობს მათ სულიერ განწყობილებებს, ვინაიდან დიდხანს თვითონაც ფერმერი იყო და თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ფერმერთა წრეში ტრიალებდა.

ლექსში „ნამუსიანი სიღარიბე“, პოეტი წერს, რომ ადამიანობას არ განსაზღვრავს სიმდიდრე და რომ მდიდრული ტანსაცმელი რეგვენს ჭკვიანად ვერ გადააქცევს. აქვე გამოთქვამს იგი რწმენას, რომ დადგება დღე, როდესაც პატიოსნება და ჭკუა შესცვლიან ფულსა და სიმდიდრეს და ისინი დაიჭერენ პირველ ადგილს. პოეტის აზრით, ქვეყნად ბედნიერების დამყარება შეუძლია მხოლოდ მშრომელ ხალხს, რომლის ძალა და ენერგია დაუშრეტელია, ხოლო გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა სურვილი, რომ ხალხი იყოლიონ მორჩილებასა და სამუდამო მონობაში, განწირულია. „დღე თავისუფლებისა არ არის შორს, მონობა და გაჭირვება აღიგვება პირისაგან მიწისა და ადამიანები იცხოვრებენ ერთიან ძმურ ოჯახად“, — წერს გამარჯვების რწმენით აღსავსე პოეტი.

ლექსი „ჯონი-ქერის მარცვალი“ ალეგორიულად ასახავს ჩაგრული ადამიანების ხვედრს, რომლებსაც ავიწროვებენ, ჩაგრავენ, ტანჯავენ. მაგრამ აქვე პოეტი გამოთქვამს რწმენას, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი უძლეველია.

ბერნსი აღფრთოვანებით შეხვდა საფრანგეთის რევოლუციას, პოეტმა უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი სტრიქონები უძღვნა მას. ლექსში „თავისუფლების ხე“ პოეტი ასახავს თავის განწყობილებას, თუ როგორ შეჰხარის იგი რეაქციული ძალების დამხობას და გამოთქვამს რწმენას, რომ ბოროტებაზე სიკეთე იზეიმებს, რომ მონობა და ჩაგვრა მოისპობა ქვეყნად და თანასწორი, თავისუფალი ადამიანები ერთიან ძმურ ოჯახში იცხოვრებენ.

ბერნსის შემოქმედებაში მძლავრად ჟღერს პატრიოტული მოტივები. პოეტი თავის დაბეჩავებულ სამშობლოს უმღერის მგზნებარე სიყვარულითა და იმედით აღსავსე ლექსებით, ხოლო მის დამმონებელ ინგლისელებს წყევლა-კრულვას უთვლის. ინგლისთან შოტლანდიის შეერთების წელს ბერნსი უბედურების წელს უწოდებს. პოეტის სანუკვარი ოცნება იყო შოტლანდიის განთავისუფლება „ინგლისური ოქროს ბატონობისაგან“.

ბერნსი ბუნების დაუცხრომელი მომღერალია. შოტლანდიის მდიდარი და თავისებური პეიზაჟების დახატვაში ბერნსი უბადლო ოსტატობას იჩენს. მაგრამ ბუნებისადმი მისი სიყვარული აიხსნება არა მარტო ბუნების წარმტაცი პეიზაჟებით, ბუნება მას წარმოდგენილი აქვს, როგორც თანასწორობის სიმბოლო. ბუნებამ არ იცის ადამიანების დაყოფა. ბუნება მისი ხოტბის საგანია, რადგანაც იგი ყველასათვის ერთნაირია. მხოლოდ ადამიანი, თავისი ბოროტი ზრახვებით, არღვევს ბუნების ჰარმონიას, ფეხქვეშ თელავს თანასწორობას და ბუნების მშვენიერებას, რაც გულს უკლავს პოეტს.

ინგლისელი რეაქციონერები, რომელთა წინააღმდეგაცაა მიმართული ბერნსის პატრიოტული პოეზიის მახვილი, და საერთოდ ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის ლიტერატურული კრიტიკოსები, ყოველნაირად ცდილობენ დაამცირონ პოეტი, რადგან მისი შემოქმედება გამსჭვალულია მძაფრი სოციალური მოტივებით, ისინი ბერნსის წინააღმდეგ იყენებენ ათასგვარ ღვარძლიან გამოთქმებს: „უსწავლელი“, „უცოდინარი“, „პროვინციალური პოეტი“ და სხვ. მაგრამ ბერნსის პოეზიის არა თუ ახლო გაცნობა, არამედ თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ ბერნსი ჩვენ წარმოგვიდგეს, როგორც პატრიოტი და უაღრესად ნიჭიერი პოეტი, ღრმად განსწავლული პრინციპული ადამიანი, ბურჟუაზიული და ფეოდალური საზოგადოების მანკიერებათა გაბედული მამხილებელი.

ბერნსი მარქსის საყვარელი პოეტი იყო. მარქსის შესახებ თავის მოგონებებში პოლ ლაფარგი წერდა: „დანტე და ბერნსი მისი უსაყვარლესი პოეტები იყვნენ. მას დიდ სიამოვნებას გვრიდა, როდესაც მისი ქალიშვილები ხმამაღლა კითხულობდნენ ბერნსის სატირულ ნაწარმოებებს ან მღეროდნენ შოტლანდიელი პოეტის რომანსებს“.

რობერტ ბერნსი დღესაც იმათთანაა, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში, ვინც იბრძვის ხალხთა ძმობისა, მეგობრობისა და თანასწორობისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები ასეთი განუზომელი სიყვარულით არიან გამსჭვალული დიდი ჰუმანისტი პოეტის მიმართ. დამახასიათებელი და მრავლის მეტყველია ის, რომ მშვიდობის დაცვის კონგრესებსა თუ ახალგაზრდობის ფესტივალებზე შოტლანდიელი ხალხის წარმომადგენლებს თან მიაქვთ ხოლმე ბერნსის სურათი. 1951 წელს ბერლინში გამართულ ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე შოტლანდიელი ახალგაზრდობის კოლონას ამაყად მოჰქონდა პლაკატი, რომელიც დამშვენებული იყო ბერნსის შესანიშნავი სტრიქონებით:

გწამდეთ ინათებს,
მე შემიძლია რომ წინასწარ
გითხრათ სიმართლე, —

დღე მოვა და
ყველა ხალხი დედამიწაზე
ძმობას იწამებს.

**ელგუჯა მაღრაძე**

* უილიამ უოლესი შოტლანდიის ეროვნული გმირი. იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

## ნამუსიანი სიღარიბე

### რობერტ ბერნსი

ვისაც აღელვებს
სიღარიბე ნამუსიანი,
ამ სიღარიბით
ვისი გულიც ნამუსრი არი,
— იგი ბრიყვია...

ასე შემდეგ...
და ბოლოს გლახაც,
მხდალი მონაა,
ერთი სიტყვით ყეყეჩი გახლავთ.

არაფერია, —
რა მოხდება ბოლოს და ბოლოს, —
ვიყოთ ჩვენც თქვენთან ღარიბები.
დე გვაკლდეს სითბო,
რადგან სიმდიდრე
ჩაკეტილი ოქროა მხოლოდ.
— ოქროსი ჩვენ ვართ თვითონ.

პური და წყალი.
ჩვენი საზრდო ეს არი მარტო.
ჩვრებით, ჭინჭებით ვიმოსებით,
ხან მასაც ვნატრობთ.
დიახ, ასეა
მხოლოდ და მხოლოდ.
და სხვათა შორის ბრიყვნი,
როგორ არ გაგიკვირდეს —
აბრეშუმებით მორთულან და
ლოთობენ კიდეც,
დიახ, ასეა
მხოლოდ და მხოლოდ.

ამისთვისა და ამიტომაც
გახსოვდეთ უნდა,
რომ კაცობა და ტანსაცმელი
ერთი არ არი,
ნამუსიანი შრომით
ვინაც იცხოვრებს მუდამ
მხოლოდ ის არი
ღირსეული კაცი ალალი.

აი მასხარა,
წარმოშობით ის ლორდი გახლავთ,
აფსუს, რომ გვმართებს
მის წინაშე ჩვენ თავის დახრა,
არაფერია, დაე იყოს
ამაყი ლორდი,
ლოდად დარჩება ლოდი.

ამისთვისა და ამიტომაც
ჩვენ გვიჭირს — ჰოდა,
ის მორთულია ძვირფასად და
აბრეშუმა იცვამს,
რა ვუყოთ მერე, —
ათასნაირ ჯილდოებშიაც
ლოდი დარჩება ლოდად.

— გენერლობასაც მიანიჭებს
ლაქიას მეფე,
მაგრამ ვერას გზით
ვერ უბოძებს კაცობის ელფერს.
ამისთვისა და ამიტომაც
ვით წინათ, დღესაც —
აღზევება და პირფერობა,
სხვა უმრავლესი,
გონების ადგილს ვერ დაიჭერს
ვერასდროს ვერსად,
კაცი ბრიყვია ჭეშმარიტად
ეს თუ არ ესმის.

დღე დადგება და
ჟამი დაჰკრავს საამო ბოლოს,
რიგი მოუვა
მარტოდმარტო პატიოსნებას,
დედამიწაზე გაიმარჯვებს
ეს ცნება მხოლოდ, —
სამარადჟამო
უკვდავებით შეიმოსება.
ამისთვისა და ამიტომაც
გწამდეთ ინათებს,
მე შემიძლია რომ წინასწარ
გითხრათ სიმართლე, —
დღე მოვა და
ყველა ხალხი დედამიწაზე
ძმობას იწამებს.

თარგმნა **ფილიპე ბერიძემ**

5708

# ვასო აბაშიძე



რა დიდი სახელია ქართული თეატრისათვის და რამდენი ნამოღვაწარი მიუძღვის მას ამ თეატრის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის.

ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში.

ამ საუკუნის ოთხმოციან წლებში გამობრწყინდა მისი უებრო და ბრწყინვალე სასცენო ნიჭი.

მისი გამოჩენა დაემთხვა სწორედ იმ დროს, როდესაც დიდებულ ილიასა და აკაკის მეოხებით **1879** წელს ქ. თბილისში აღდგენილ იქნა ქართული, მუდმივი პროფესიული დასი.

ვასო აბაშიძე თითქოს თეატრისათვის, მსახიობობისათვის იყო დაბადებული.

მან ეს თავიდანვე მშვენივრად იგრძნო, განსჭვრიტა, შეაფასა და მოვიდა თავის საქმესთან.

მოვიდა და მაშინვე დაიკავა პირველი წამყვანი ადგილი ქართულ თეატრში.

მას შემდეგ ჩვენი სასახელო არტისტი აღარ მოშორებია ქართულ თეატრს. ვიდრე სიკვდილამდე ის იყო მუდმივი წევრი ჩვენი დრამატული დასებისა ჩვენს დედაქალაქში და იყო მისი ლალა და გამდელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ის უძღვებოდა მთელ რიგ სეზონებს მრავალ წელთა განმავლობაში, ის ურჩევდა იმ დროის შესაფერ რეპერტუარს, რომელიც ძირითადად ემსახურებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეას.

იმავე დროს მან შემოიკრიბა თავის გარშემო დიდად თვალსაჩინო არტისტები ქართულ თეატრში სამოღვაწეოდ და აძლევდა მათ საუკეთესო მაგალითს სახალხო საქმისათვის თავდადებისა და სასცენო ოსტატობის მაღალხარისხოვნად დაუფლებისას.

როგორც მსახიობი ხომ უებრო იყო: მეტად მოქნილი მიმიკის პატრონი, ათასნაირ სახეობას ქმნიდა მუდამჟამ და ამ მიმიკასთან იყო შეზავებული მისი მთელი სხეულის მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა, ჟესტიკულაცია. ამიტომ იყო მუდამ დამაჯერებელი მის მიერ შექმნილი როლები.

თქვენს წინ თქვენი საყვარელი არტისტი, ვასო აბაშიძე იდგა, მაგრამ მისი მოციმციმე, ცლანგი თვალები ხან ვიღაც სირაჯს გამოგვიხატავდა, ხან ხლესტაკოვს, ხან ერისთავის ძუნწს, ხან მოლიერის ორგონს და ასე სულ; მხოლოდ ყველგან დიდის სასცენო ხელოვნებით, და თქვენ გჯეროდათ, რომ თქვენს წინ ვასო კი არ იდგა, რომელიც სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა მაგ. ორგონის დახატვას, ან აკოფასას, არამედ ეს იყო მართლა აკოფა, მართლა ორგონი. თქვენ ამაში დარწმუნებული იყავით, როდესაც მათ სცენაზე უყურებდით და, არტისტის ჯადოქრობით, სრულიად დავიწყებული გყავდათ თვით მისი შემსრულებელი. ასეთი გარდაქმნა არტისტისა სცენაზე ცნობილია, რომ ხშირად სახიფათოა (შეიძლება ზომიერება ვერ დაიცვას). არის მეორე ხიფათიც — შეიძლება მდაბალ გემოვნების ხალხის გასართველად გადააჭარბოს ტიპის გამოსახვაში, გააშარჟოს.

სასიქადულო ვასო კი მუდამ იდგა ხელოვნების დიდ სიმაღლეზე და არც ერთ სასცენო უფსკრულისკენ არ იხრებოდა.

ხოლო რამდენი სიხარული და აღტაცება მიუძღვებოდა მის სცენაზე გამოჩენასაც კი, და შემდეგ როლის შესრულებას. კომიკებს აქვთ ასეთი ბედი საერთოდ, მხოლოდ ვასო აბაშიძე არასოდეს არ იყო მდაბალი ხარისხის კომიკობის გამსახიერებელი.

მე აქ არ შევუდგები მისი როლების ანალიზს, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა და ამას გარდა მისი ღვაწლი ჩვენს თეატრში მარტო მისი სწორუპოვარი არტისტობით არ შემოისაზღვრება: ის დრამატურგობასაც ეწეოდა, რომ მაშინდელი ჩვენი სათეატრო ღარიბი რეპერტუარი შეევსო საჭირო პიესების თარგმანების სახით თუ გადმოკეთებით, და მაშინდელ სეზონებს ამ მხრივაც ამარაგებდა.

ვასო იყო საზოგადოებრივი მაჯისცემის კაცი. მან დააარსა სპეციალური ჟურნალი „თეატრი", სადაც იგი ეხებოდა სათეატრო ხელოვნების საჭირო საკითხებს და ამისათვის ათავსებდა, როგორც თავის, ისე მაშინდელ ცნობილ მოაზროვნეთა წერილებს.

ამას გარდა მან შემოძღვნა ქართული თეატრის ახალგაზრდობას მეტად საჭირო სახელმძღვანელო თეატრალური ხელოვნების დაუფლებისათვის, და იქა აქვს მეტად სწორი და ნათელი დებულებანი, თუ როგორი გზით უნდა მუშაობდეს თეატრში ყოველი მისი საქმის შემსრულებელი ხელოვანი.

ასე რომ, თავის სფეროში ვასო აბაშიძე დგას მეტად მაღალ მწვერვალზე და მისი ამაგი, როგორც მსახიობისა, პედაგოგისა და მოწინავე მოაზროვნისა, უტოლდება ჩვენი დიდი ბუმბერაზების ამაგს.

მომდევნო თაობა არ ივიწყებს ამ ბუმბერაზს. ქართული თეატრისათვის ხომ ის მეტად ბრწყინვალე და კაშკაშა ვარსკვლავია.

საქართველოს ხალხი ამაყობს, რომ მას ჰყავდა ქართულს თეატრში ისეთი კალორი, როგორიც ვასო აბაშიძე იყო.

ხალხის გულში ვასო აბაშიძის სახელი უკვდავია.

ვ. აბაშიძე — ავეტიკა (ა. ცაგარელი — „რაც გინახავს ველარ ნახავ").



**შალვა დადიანი**

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა



## მოქანდაკეთა ახალი კადრები

ხალხით გაჭედილი დარბაზი გულდასმით უსმენდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების განყოფილების სტუდენტებს, რომლებიც საგამოცდო კომისიისა და ფართო აუდიტორიის წინაშე მოკრძალებით იცავდნენ თავიანთ სადიპლომო ნამუშევრებს.

მზის სხივებით სავსე, ნათელ დარბაზში 6 სხვადასხვა ხასიათის ნამუშევარი იყო გამოფენილი. „ბაგრატიონის“ მონუმენტური ფიგურის გვერდით ლირიკულად გამოიყურებოდა პიონერთა ფიგურები, ხოლო დრამატიზმითა და შინაგანი ექსპრესიით სავსე „ზოია რუხაძის“ მხატვრულ სახესთან კონტრასტულად ჩანდა „ახალგაზრდა გეოლოგისა“ და „ალექსანდრე ყაზბეგის“ მშვიდი და დაფიქრებული ფიგურები. თვითეული მათგანი აშკარად მეტყველებდა მათი ავტორების შემოქმედებით მიდრეკილებასა და თავისებურებაზე. ყველა ნამუშევარი მოწონებული იქნა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ და ექვსივე დიპლომანტს მიენიჭა მხატვარ-მოქანდაკის წოდება.

აკადემია ყოველწლიურად უშვებს ახალგაზრდა მოქანდაკეთა საფუძვლიანად მომზადებულ კადრებს.

სადიპლომო ნამუშევრებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ელგუჯა ამაშუკელის პეტრე ბაგრატიონის ქანდაკება (თაბაშირი, ხელმძღვანელი პროფესორი ნ. კანდელაკი).

ბაგრატიონი გამოსახულია ცხენზე მჯდომი. იგი უზანგზე წამოწეული გამარჯვებულ ჯარს ესალმება, ცხენიც და მხედარიც ნატურალურ ზომაზე მეტია. მასალად გათვალისწინებულია ბრინჯაო.

უაღრესად ცოცხალი, მოძრავი ბაგრატიონი ავტორს, გარეგნულად მშვიდ, წყნარ მდგომარეობაში აქვს მოცემული, ამით იგი ბაგრატიონს გვიხასიათებს, უპირველესად ყოვლისა, როგორც დიდსა და დინჯ სარდალს. ზემოთ აწვდილი მარჯვენა ხელი, თავის მტკიცე მოძრაობა, სახის გამომეტყველება მას წარმოგვიდგენს, როგორც ძლიერს, მამაცსა და თავის ძალაში დარწმუნებულ მხედართმთავარს. ნაწარმოებში მიღწეულია პორტრეტული მსგავსება.

კომპოზიციის უდაოდ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ცხენი. ცხენის თავის მოძრაობა, მისი ზემოთ აწეული მარჯვენა წინა ფეხი, ძალასა და სიმტკიცეს გამოსახავს. ცხენის ფორმები მასიურია, ამავე დროს მოძრავი და მეტყველი. კომპოზიციის ყველა პლასტიკური ხაზი ცენტრისაკენ არის მიმართული, რათა უფრო ადვილად იქნას წაკითხული მთავარი — გამარჯვებული სარდალი ბაგრატიონი. კომპოზიციის მონუმენტურ სისადავეს ხაზს უსვამს აგრეთვე ნამუშევრის რბილი და ძუნწი მოდელირება.

ამ კარგად გააზრებულ ნამუშევარს აქვს ნაკლოვანებებიც, რაც ცალკეული დეტალების არასიზუსტეში და არასათანადო მოდელირებაში მჟღავნდება.

მაღალი ნიშნით იქნა შეფასებული ბაგრატ სახვაძის სადიპლომო ნამუშევარიც (ხელმძღვანელი პროფ. კ. მერაბიშვილი), იგი გამოსახავს სახელოვან ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს.

გრაგნილით ხელში ზის მწერალი. იგი თავის წარმოსახვით შექმნილ სამყაროში გადასულა. მწერლის შთაგონებას გამოხატავს, როგორც მისი სახის გამომეტყველება, ისე მისი ფიგურის მშვიდი მდგომარეობა. კომპოზიციის ერთმანეთთან შეთანხმებული ყოველი ნაწილი საერთო აზრის გახსნას ემსახურება. ნამუშევრის რბილი მოდელირება ამ გაწონასწორებას კიდევ უფრო აძლიერებს. დიპლომანტს კეთილსინდისიერად აქვს დამუშავებული მწერლის როგორც სახე, ისე ფიგურაც ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში. ყურადღებას იქცევს ძლიერი ცოცხალი ზურგი. მხატვრულია ტანსაცმლის რითმიულად გაშლილი ნაოჭები და განსაკუთრებით ყელზე მოხდენილად გადაგდებული ყაბალახი.

ნამუშევრის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სათანადოდ არ არის გადმოცემული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფაქტურა, ოდნავ დარღვეულია ფიგურის პროპორციები, ზედმეტად არის სიბრტყეებად დაყოფილი კლდე, რომელზედაც მწერალი ზის.

ალ. ყაზბეგის ქანდაკება ადასტურებს, რომ ბაგრატ სახვაძე დაუფლებულია ქანდაკების რთულ პროფესიულ ხერხებს, რომ იგი კარგად გრძნობს მასალას (ქანდაკება გამიზნულია ბრინჯაოსათვის), ქანდაკების სპეციფიკას (სავსე მძიმე ფორმები), რომ მას შესწევს უნარი თემის სათანადო გახსნისა.

ამირან ბილანიშვილის შემოქმედებით შესაძლებლობასა და კარგ პროფესიულ მომზადებაზე მიგვითითებს მისი სადიპლომო ნამუშევარი „ზოია რუხაძე“ (თაბაშირი).

ნამუშევარში მოცემულია თავისუფლებისა და სამშობლოსათვის თავდადებული, გმირი ქართველი ქალის მეტად მიმზიდველი და დასამახსოვრებელი სახე: თქვენ წინ დგას ფიზიკურად ძლიერი და მორალურად მტკიცე, უდრეკი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელმაც არ იცის მტერთან ბრძოლაში შიში და უკან დახევა.

დიპლომანტს ეს მიღწეული აქვს, როგორც სახის ძლიერი გამომეტყველებით, ისე ფიგურის მოძრაობით და დაყენებით. მას აგრეთვე მოხერხებულად აქვს გამოყენებული ცოცხალი ნატურა და ფოტომასალა. პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად იგი აღწევს გმირის საერთო სახის მოცემას.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს იოსებ ხუცურაულისა და ლილი ბახტაძის სადიპლომო ნამუშევრებიც. ი. ხუცურაულის „პიონერის ფიცი“, ისევე, როგორც ლილი ბახტაძის „ახალგაზრდა კონსტრუქტორი“ ერთფიგურიან კომპოზიციებს წარმოადგენენ და პიონერების მხატვრულ სახეებს იძლევიან.

დიპლომანტებს დამაჯერებლად აქვთ მოცემული 10-11 წლის ბავშვის ფიზიკური და სულიერი სახე.

ბუნების დაკვირვების უნარს და პროფესიული ხერხების ცოდნას ამჟღავნებს იოსებ ლექავას სადიპლომო ნამუშევარი „ახალგაზრდა გეოლოგი“.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების რიგებს 6 ახალგაზრდა ნიჭიერი მოქანდაკე შეემატა.

**ალექსანდრა წერეთელი**

## ახალი წიგნები

### ნაირი — ურარტუ[1]

საბჭოთა ხალხების უძველესი ისტორიის და ეთნოგენეზის ურთულესი საკითხების კვლევა საბჭოეთის ხალხთა ისტორიის მთავარსა და აქტუალურ საგანს წარმოადგენს. ამ მხრით ცხოველ ინტერესს იწვევს ამიერკავკასიის ხალხების ისტორიის უძველესი პერიოდი და ამ ხალხების ეთნოგენეზის პრობლემა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული წინა აზიის ძველი მოსახლეობისა და პოლიტიკური წარმონაქმნების ისტორიასთან. მჭიდრო კავშირის არსებობა განსაკუთრებით საგრძნობია ამიერკავკასიის ხალხებსა, კერძოდ, ქართველებსა და ურარტელებს შორის. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ, როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა მეცნიერები ენობრივი, მატერიალური კულტურის და სხვა მონაცემების მიხედვით ამიერკავკასიის ხალხებს, უპირატესად ქართველებს, უფრო ხშირად ურარტელებს უახლოებენ, თუმცა ეს საკითხი მისი შესწავლილობის დღევანდელი მდგომარეობის შესაბამისად სავსებით გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. ამის გამო გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გ. მელიქიშვილის ახლახან გამოსულ ვრცელ მონოგრაფიას, რომელიც მეცნიერების სადღეისო მიღწევების და ავტორის პირადი კვლევა-ძიების საფუძვლიან შეჯამებას წარმოადგენს.

ურარტული ლურსმული წარწერები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც ურარტუს სამეფოს, ისე ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისათვის. მაგრამ ამ წარწერების გამოყენება დღემდის გაძნელებული იყო. საქმეს ართულებდა ისიც, რომ ცალკეული ურარტული წარწერები გამოცემული იყო ფოტორეპროდუქციების სახით ტრანსკრიპციისა და თარგმანის გარეშე. ეს ხარვეზი ბრწყინვალედ შეავსო ავტორმა თავისი შრომის მეორე ნაწილით — „ურარტული ლურსმული წარწერები“, სადაც მოცემულია ყველა არსებული ურარტული წარწერის ტრანსკრიპცია თარგმანით და კომენტარიებით და საფუძვლიანი გრამატიკული ნარკვევი.

თუ გავითვალისწინებთ ურარტული ლურსმული წარწერების უაღრეს სირთულეს გაგების თვალსაზრისით და მათ უდიდეს მნიშვნელობას ამიერკავკასიის უძველესი ისტორიისათვის, ავტორის, როგორც ფილოლოგის და ისტორიკოსის დამსახურება უფრო თვალსაჩინო გახდება.

ურარტუსადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ურარტუს სამეფოს ისტორიის კვლევით იფარგლებიან. ასეთი ვითარება ურარტოლოგიას კვლევის ძალიან ვიწრო სარბიელს უტოვებს, იმის გამოც, რომ ნაირი-ურარტუს ტერიტორიაზე მრავალი ეთნიკურ-პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა. ამიერკავკასიის ხალხების ისტორიის უძველესი პერიოდის სწორი გააზრება შეუძლებელი იქნებოდა ურარტუსთან ერთად ამ გაერთიანებების ისტორიის შესწავლის გარეშე. ამიტომ გ. მელიქიშვილი ფართოდ იხილავს იმ ტომების ისტორიის საკითხებს, რომლებიც მოსახლეობდნენ ზაგროსის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ვანის ტბის რაიონში, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთ ამიერკავკასიაში. ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას, რადგან ეს ის დროა, როდესაც ამიერკავკასიის თანამედროვე ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები უტევენ მომაკვდავ ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებს და საკუთარ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებს აარსებენ.

ასურელები ტერმინით „ნაირი“ აღნიშნავდნენ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც ასურეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა. როგორც ირკვევა, ნაირი მოიცავდა ვანისა და ურმიის ტბების გარშემო არსებულ ტერიტორიას, სამხრეთ ამიერკავკასიას და ამ უკანასკნელის სამხრეთით არსებულ ვრცელ მხარეს. ძვ. წ. IX საუკუნეში ნაირის ვრცელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ურარტუს სამეფო, რომლის შემადგენლობაში შევიდა ნაირის დიდი ნაწილი. ამის შედეგად ტერმინმა „ურარტუ“ თანდათან განდევნა ტერმინი „ნაირი“ და ამიერიდან ასურულ წყაროებში სახელწოდება „ურარტუ“ ისეთივე ზოგად მნიშვნელობას იძენს, როგორც თავდაპირველად „ნაირის“ ჰქონდა. ამ გაგებით უწოდა გ. მელიქიშვილმა თავის შრომას „ნაირი-ურარტუ“. ეს სახელწოდება სავსებით გამართლებულია, რადგან ავტორის შრომა, როგორც აღნიშნული იყო, მხოლოდ ურარტუს სამეფოს ისტორიით არ იფარგლება და გეოგრაფიულად, ეთნიკურად და ქრონოლოგიურად უფრო ფართო სფეროს მოიცავს.

გ. მელიქიშვილის შრომაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ნაირი-ურარტუს ცალკეული ქვეყნების და დასახლებული ადგილების ლოკალიზაციის და სახელწოდებათა განმარტების საკითხს; აგრეთვე, ნაირი-ურარტუსა და მისი მეზობელი ოლქების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, პოლიტიკური და სოციალური ყოფის საკითხებს. ამ საკითხების კვლევის დროს, სხვათა შორის, ირკვევა, რომ ნაირი-ურარტუს ეპოქაში საქართველოს სამხრეთ პროვინციებში არსებობდა მრავალი პოლიტიკური გაერთიანება, როგორიც იყო დიაუხი, რომლის სახელწოდება გენეტურად ტაოს სახელს უკავშირდება; შეშეთი, რომლის სახელი შავშეთის სახელში ჩანს შემონახული; ზაბახე, რომელიც ქართულ ჯავახეთს უნდა შეესატყვისებოდეს; კულია-კოლხა, რომელიც აშკარად ქართულ კოლას და კოლხეთს უდრის და სხვ. ძალიან საინტერესოა ქაშქების ხალხის (=ქართული წყაროების „ქაშაგ“-ებს) ეთნიკური ვინაობის საკითხიც. ავტორი არკვევს, რომ ქაშქები ჩერქეზული ტომია, რომელიც, შესაძლოა, ოდითგანვე მცირე აზიაში მოსახლეობდა და შედიოდა პროტოხეთების შემადგენლობაში.

ინდო-ირანული და არამეული ტომების წინა აზიაში დენადობისა და ხურიტული და ურარტული ტომების ეთნოლოგიის, ადგილსამყოფელის და სოციალ-პოლიტიკური ისტორიის კარდინალურ პრობლემებთან ერთად, ავტორი იხილავს, აგრეთვე, კავკასიის ხალხებთან ზაგროსის მთიანეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური სიახლოვის საკითხს. ირკვევა, რომ განსაკუთრებული სიახლოვე არსებობს ზაგროსულ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის. ეს სიახლოვე დასტურდება მითოლოგიაშიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ამირანის მითი, რომელიც მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს ცნობილ ძველ აღმოსავლურ მითთან გილგამეშის შესახებ. ავტორი, სახელდობრ, ადგენს, რომ ამირანის მამის

[1] Г. А. Меликишвили, Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I, Наири — Урарту, АН ГССР, Институт истории им. И. А. Джавахишвили, Тбилиси, 1954 г.

# ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება




ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. ჩინელმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო კოლონიური ჩაგვრის რეჟიმი და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, შეემატა 600 მილიონიანი ჩინელი ხალხი, რამაც ძირეულად შეარყია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და კიდევ უფრო გაამწვავა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ჩინეთის ხალხის გმირული რევოლუციური ბრძოლების შესახებ გამოსულ ყოველ წიგნს საბჭოთა მკითხველები დიდი ინტერესით ეგებებიან. ინტერესით მიიღო ქართველმა მკითხველმა დავით მაისურაძის ნაშრომი „ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგამმა.

წიგნის მიზანია ჩინელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების გაშუქება; მასში დახასიათებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყაჩაღური კოლონიური პოლიტიკა ჩინეთში, ნაჩვენებია გომინდანის ანტიხალხური, რეაქციული მოქმედება, გაშუქებულია ჩინეთის სახალხო რევოლუციის თავისებურებანი, სახალხო-დემოკრატიული დიქტატურის არსი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მომხდარი უდიდესი სოციალ-ეკონომიური გარდაქმნანი და მათი საერთაშორისო მნიშვნელობა, კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლები ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ავტორი თავის ნაშრომს იწყებს ჩინეთის სახელმწიფოს დახასიათებით უძველესი დროიდან მანჯურთა დინასტიის დამხობამდე და აღნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში უდიდესი წარსული კულტურის მქონე სახელმწიფოა. ამჟამად იგი გადაჭიმულია წყნარი ოკეანედან ცენტრალური აზიის მთებამდე, ტერიტორიის მხრივ ჩინეთი მარტო საბჭოთა კავშირს ჩამორჩება.

ჩინელი ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: ოქტომბრის რევოლუციის ზარბაზნების ქუხილმა ჩვენამდე მოიტანა მარქსიზმ-ლენინიზმიო. ავტორი გადმოგვცემს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ჩინელ ხალხს მისცა იმის მაგალითი, როგორ უნდა იბრძოლოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთის კომუნისტური პარტიის გამოწრთობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, ლენინისა და სტალინის ნაშრომებმა.

ავტორი ახასიათებს ჩინეთის 1925-1927 წლების რევოლუციის თავისებურებებს და მის სამ ეტაპს. ამ საკითხის გარკვევისას იგი ეყრდნობა ი. ბ. სტალინის შეხედულებებს. ვრცლადაა დახასიათებული ის რევოლუციური ბრძოლები, რომლებსაც ჩინელი ხალხი ეწეოდა ინგლისის, ამერიკის, იაპონიის წინააღმდეგ, ჩან კაი-შის ბანდის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობის სათავეში მოექცა 1928 წელს. ჩინეთის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად განაგრძობდა ბრძოლას ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ჩინეთის წითელი არმია, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იყო შეიარაღებული, მამაცურად იგერიებდა ჩან კაი-შის არმიის შემოტევებს. 1928-37 წლებში ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელმა მოძრაობამ დაადასტურა, რომ ჩინეთში რევოლუციური ძალები აურაცხელია და იგი მომავალში თავს იჩენს, როგორც უდიდესი გარდამქმნელი ძალა.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ახალ, სასიკვდილო დარტყმას მსოფლიო იმპერიალიზმის მთელ სისტემაზე, მეორე მხრივ სოციალიზმისა და დემოკრატიის დიდ გამარჯვებას. წიგნში კარგად არის გადმოცემული 1946-49 წლების განმავლობაში ჩინეთში მომხდარი ამბები. გომინდანელთა ძალების რიცხობრივ და მატერიალურ უპირატესობას, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდა ამერიკული იმპერიალიზმი, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ დაუპირისპირა სწორი პოლიტიკური ხაზი და სწორი სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა. 1946-49 წლების მანძილზე ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელი არმიის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად ჩინეთის ძირითადი ტერიტორია გათავისუფლებულ იქნა გომინდანელთა ჯარებისაგან, რის შედეგად კომუნისტურ პარტიას საშუალება მიეცა შესდგომოდა ჩინეთში ძირეულ სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებას.

1949 წლის 1 ოქტომბერი ჩინელი მშრომელებისათვის დაუვიწყარი დღეა. ამ დღეს პეკინში მაო ძე-დუნმა საზეიმოდ გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შექმნა. 1949 წ. 2 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის მთავრობამ სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

წიგნის ერთი თავი მიძღვნილია ჩინეთში სახალხო დემოკრატიული სახელმწიფო მშენებლობის საკითხებისადმი, დახასიათებულია სახელმწიფო სისტემა, მმართველი ორგანოები, აგრეთვე კომუნისტური პარტიის როლი და მნიშვნელობა რევოლუციის გამარჯვებაში. ავტორი აღნიშნავს, რომ სახალხო დემოკრატიის რეჟიმი ჩინეთში თავისი შინაარსით ასრულებს პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის როლს, სახალხო დემოკრატიის დიქტატურის საფუძველია მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი.

ნაშრომის ერთ-ერთ თავში ლაპარაკია ჩინეთის მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის და განვითარების, აგრარული რეფორმის გატარების, ქვეყნის კულტურული განვითარების შესახებ, რამაც გამოიწვია ჩინელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება, გლეხობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა, სახალხო ხელისუფლების განმტკიცება.

ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ დაადასტურა დიდი ლენინის მიერ რამდენიმე ათეული წლის წინათ წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნები, ჩინეთი და სხვა, ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც შეუძლებელია შედეგად არ მოჰყვეს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, მართლაც, ჩინეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირდა და დაძმობილდა ორი უდიდესი სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი და ჩინეთის რესპუბლიკა, რაც კიდევ უფრო აშფოთებს ომის გამჩაღებლებს. წიგნის უკანასკნელ თავში მოთხრობილია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების უძლეველი მეგობრობის შესახებ, დახასიათებულია მათი მეგობრობისა და ურთიერთობის საფუძვლები, ის უდიდესი დახმარება რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ჩინეთს. დასასრულ ავტორი ასკვნის, რომ ჩინელი ხალხის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები — ეს უწინარეს ყოვლისა არის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის გამარჯვება.

წიგნის გამოცემა მისასალმებელი საქმეა, იგი ქართველ მკითხველებს გააცნობს ჩინელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, გააცნობს სახალხო რევოლუციის გამარჯვებისათვის ჩინეთის მშრომელი მასებისა და მისი ბელადის — კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლების ისტორიას.

**დ. კაკაბაძე**

---

სახელი სულკალმახი უნდა მომდინარეობდეს ელამის მეფეთა უმაღლესი ტიტულისაგან „სუქქალმახი“.

დიდ ინტერესს იწვევს ავტორის კიდევ ერთი დაკვირვება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული ერთი ქვეყნის სახელწოდების შესახებ, რომელსაც სპეციალისტები შეცდომით „ხაბხის“ სახით კითხულობდნენ. გ. მელიქიშვილმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ხსენებული ტერიტორიის სახელი უნდა იკითხებოდეს, როგორც „გილხი“-„გელხი“, რაც სახელწოდება „კოლხის“ დიალექტურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან დაკავშირებით ავტორმა წამოაყენა მოსაზრება, რომ გელხების ქვეყანა, რომელიც აღმოსავლურ-ქართული ტომების გაერთიანების მეზობლად მდებარეობდა, იმთავითვე უნდა გამხდარიყო ამ ტომების დაპყრობითი ომების ობიექტად. გელხების ქვეყნიდან უნდა შეეყვანათ ქართველ ტომებს მონების პირველი ნაკადიც. ავტორი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ქართული სოციალური ტერმინი „გლეხი“, რომელიც თავდაპირველად მდაბიურის აღმნიშვნელი იყო, გელხების სატომო სახელიდან მომდინარეობს. ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევაში ღრმად და თანმიმდევრულად არის გაანალიზებული ნაირ-ურარტუს ხალხების, როგორც წინაურარტული, ისე ურარტუს სამეფოს ეპოქათა ისტორია. სპეციალურად იხილავს ავტორი ნაირი-ურარტუს სოციალ-ეკონომიკურ ისტორიას და ნაირი-ურარტუს რელიგიისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. წიგნში გაშუქებულია ქართველი ტომების კონსოლიდაციისა და ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების ჩამოყალიბების პროცესი. გ. მელიქიშვილი ადგენს, რომ ქართველი ხალხის შემადგენლობაში ურარტული ტომების მნიშვნელოვანი ნაწილიც შევიდა. ეს კარგად დასტურდება ქართული ენის მონაცემებით. ქართულში მრავალი, გარკვეული მნიშვნელობის სიტყვაა, რომელსაც ქართული ენა ვერ ხსნის, ხოლო ურარტული ენის მეშვეობით მათი ახსნა ხერხდება. ასეთი სიტყვებია: „ყირამალა“, „თავდაყირა“, „შარშან“ და სხვ. ირკვევა, რომ ურარტულში სიტყვა „კირა“ მიწას აღნიშნავს, ხოლო სიტყვა „შალი“ — წელს, „იშანი“ — იქეთას. ამის შესაბამისად ქართულად გახმოვანებული გამოთქმები „ყირამალა“ ნიშნავს „მიწა მაღლა“, „თავდაყირა“ — „თავით მიწაზე“; სიტყვა „შარშან“, „იქითა წელს“ და სხვ. ავტორს კიდევ ბევრი მაგალითი აქვს მოტანილი, თუმც ესენიც ნათელს ჰხდიან, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში ურარტულ ტომებსაც მიუღიათ მონაწილეობა და თავისი სიტყვებით გაუმდიდრებიათ ქართული ენის ლექსიკა.

გ. მელიქიშვილის შრომას საკითხისადმი მიდგომის, საკვლევი ობიექტის მასშტაბის და მასალის სისრულის მიხედვით წინაპარი არ ჰყოლია. იგი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი მიღწევაა. ავტორმა თავისი შრომით ერთნაირად დიდი წვლილი შეიტანა, როგორც ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ ქართველი ხალხის ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლის, ისე საბჭოთა ურარტოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში.

**თ. მიქელაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## გაყიდული მონასტერი

ბურჟუაზიული საზოგადოების „მხატვრული გემოვნების დაქვეითებით“ (შერბილებულად ასე უწოდებდნენ მაშინ ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისს) აღშფოთებული ცნობილი ფრანგი არქიტექტურის ისტორიკოსი ვიოლე ლე დიუკი, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში აფრთხილებდა თანამედროვეებს:

„... პართენონი ათენში თავის ადგილზეა, იგი სასაცილო იქნებოდა ედინბურგში, სადაც მზე ღრუბლებიდან წელიწადში მხოლოდ რამოდენიმე დღით თუ გამოანათებს...“

რომანტიკული მღელვარებით აღსავსე ამ გაფრთხილებას ამერიკელმა იმპერიალისტებმა ყური არ ათხოვეს. მათ პართენონის ამერიკაში აშენება მოინდომეს. კონსტრუქტივიზმზე და მანქანურ



ესპანური მონასტრის უკანასკნელი დღე მშობლიურ მიწაზე. ხვალ ამ დაშლილ და საგანგებოდ შეფუთნულ ქვებს ამერიკაში გადაზიდავენ.

ინდუსტრიაზე აგებული კაპიტალისტური ხელოვნება უძლური აღმოჩნდა ანტიური ტაძრის ნიუანსების გადმოცემაში. დორიული სვეტისთავები არ დაემორჩილნენ ბურჟუაზიული პედანტიზმით შედგენილ უსიცოცხლო სქემებს და ჩამოიშალნენ.

ამერიკის მიწის ზედაპირი მერყევი აღმოჩნდა ასეთი შედევრისთვის, მაშინ მათ პართენონის ყიდვა განიზრახეს.

მაგრამ ამერიკელმა იმპერიალისტებმა ცოტათი დაიგვიანეს... ანტიური საბერძნეთი მათ გაძარცული დახვდათ.

ბრიტანეთისა და პარიზის მუზეუმები ველარ იტევდნენ ანტიურ სიძველეებს.

საბერძნეთში ხელმოცარულმა ამერიკელებმა ესპანეთს მიაშურეს. საეჭვო საქმიანობის ტურისტებით აივსო პირინეის ნახევარკუნძული. XX საუკუნის ოცდაათიან წლებში პრიმო და რივერას ფაშისტურმა მთავრობამ საზღვარგარეთულ მონოპოლიებთან ერთად, ფართოდ გაუღო კარები ამერიკელ სნობებს და ბიზნესმენებს. ისინი ჩალისფასად იგდებდნენ ხელში ესპანური ხელოვნების შედევრებს, თუმცა არც ეს ვაჭრობა აღმოჩნდა დაზღვეული ზოგიერთ კურიოზისაგან... სხვისი სიმდიდრის მიტაცებით დაბრმავებულ ამერიკელებს, გაქნილი ესპანელი ანტიკვარები ველასკეზისა და გოიას შედევრებად აჩეჩებდნენ მადრიდელი ბაზრის ხელოსნების ნაცოდვილარს.

... და რემბრანდტის პორტრეტებისა არ იყოს, ამერიკის მუზეუმებში თითო სურათის რამდენიმე დედანი ინახებოდა!

ამერიკელები გაფრთხილდნენ.

ახლა ამერიკელებმა უფრო საიმედო გზა აირჩიეს. ესპანეთში მრავლად იყო რომანული და მავრიტანული არქიტექტურის ძეგლები, რომელთა არსებობა და მხატვრული ღირებულება არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა.

ამიერიდან ხელოვნების ძეგლებით სპეკულაციას არნახული გასაქანი მიეცა.

1926 წელს ესპანეთს ეწვია ამერიკული პრესის მბრძანებელი, მულტიმილიონერი და ჰიტლერის თაყვანისმცემელი ჰერსტი. მართალია მის ჩვეულებრივ ტურისტულ ვიზაში ამგვარი არაფერი ეწერა, მაგრამ ესპანელი ხალხის მტრებიც კი მიხვდნენ, რომ დიდი ბიზნესის მოყვარული — ჰერსტი სპეკულაციის ჩვეულებრივ მასშტაბებს არ დასჯერდებოდა.

ასეც მოხდა...

საკუთარი კოლექციისთვის ჰერსტმა სხვათა შორის შეიძინა... ცისტერიანელთა მონასტერიც, რომელიც XII საუკუნიდან აშენებულა ესპანეთში.

10.751 ყუთმა ძლივს დაიტია 36 ათას ნაწილად დაშლილი მონასტრის ქვები, რომლებიც მისი ახალი მეპატრონის სურვილით ამერიკაში უნდა გადაეტანათ.

ჰერსტის სიცოცხლეში ეს ვერ მოხერხდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ამერიკელები ჰიტლერის სასახლის ბრაუნაუდან ამერიკაში გადატანით ისე გაერთნენ, რომ მონასტერი ერთ ხანს დაივიწყეს კიდეც.



ფლორიდა. კურორტი მაიამი. მონასტრის დამაარსებლის მეფე ალფონს VII ქანდაკება ჯერაც ვერ დაუყენებიათ ფეხზე. ეს გაცილებით იმაზე ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ესპანელი გენერლების პენტაგონის სამსახურში ჩაყენება.

აწვიმდა ყუთებში ჩაწყობილ ჰერსტის მემკვიდრეობას. ხავსი ეკიდებოდა დაშლილ-დანომრილ მონასტრის ჩუქურთმებს.

რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელებმა ისევ გაიხსენეს დაშლილი მონასტერი და ღლისით, მზისით იგი ფლორიდაში გადაზიდეს. ამ საქმეში მათ დიდად შეუწყეს ხელი ფრანკოს მინისტრებმა, რომლებიც სამშობლოს ღალატში თავიანთი წინაპრის ღირსეული მემკვიდრეები აღმოჩნდნენ. ესპანეთში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაყიდი. ესკორიალის და გრენადის სასახლეების კედლები ჯერ ისევ ხელუხლებელია...

ესპანური კულტურის ექსპორტი ამერიკაში გრძელდება...

## „დროშის“ № 11-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

ჰორიზონტალურად: 7. ქეთელაური, 8. ალბატროსი, 9. სეიმი, 10. ალეუტი, 11. აფთარი, 12. ზურნა, 13. პანტი, 14. ანგარი, 17. ალგეთი, 19. კოროზია, 24. ლამანში, 25. ტატრა, 27. იავნანა, 28. დელტა, 29. რადიო, 33. ხანჯალი, 34. ისანი, 35. სტაიერი, 37. ოჯალეში, 41. ბელგია, 43. ვალდაი, 44. ვაზნა, 45. ფშავი, 46. ავრორა, 47. ლიკანი, 48. შიფრი. 49. სილიციუმი, 50 ნესტეროვი.

ვერტიკალურად: 1. ცეილონი, 2. ჰაფიზი. 3. ლისენკო, 4. ბაიკალი, 5. სამაია, 6. ასურეთი, 15 როვნო, 16. პონტო, 18. ლელვი, 20 სმეტანა, 21. სილეზია, 22. სირიუსი, 23. სალომეა, 25. ტიტრი, 26. ადათი, 30. ლახტი, 31. თავლა, 32 სარმა, 36. სეკვოია, 38. ჯანაშია, 39. შიშკინი, 40. ბარნოვი, 42. ავარია, 43. ვილიტი.

## კროსვორდი



### ჰორიზონტალურად:

1. სახელმწიფო აფრიკაში, 5. მდინარე საფრანგეთში, 7. ფალიაშვილის ოპერის პერსონაჟი, 8. გაზობრივი ნივთიერება, 12. მდინარე ესპანეთში, 13. მეტალი, 14. ჰაერის, ან წყლის ნაკადი, 15. სახელმწიფო ევროპაში, 17. ღარიბი, 18. ისტორიული ადგილი საქართველოში, 20. კირქვიანი ქედი შვეიცარიაში, 21. ცეკვა ოპერა „დაისიდან“, 23. ტბა აზიაში, 24. სასიმინდე, 26. საზეინკლო დანადგარი, 27. ფრანგი მწერალი, 30. ფსიქიური მდგომარეობა, 33. თანამედროვე ამერიკელი პროგრესული მწერალი, 34. მბრუნავი ღერძი, 36. ისტორიული ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში, 37. მდინარე საქართველოში, 38. მხარე ესპანეთში, 41. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 44. უზბეკეთის სახანო აღმოცენებული მე-16 საუკუნეში, 45. თხელი, დაჭიმული ზედაპირი, 46. საბჭოთა კარიკატურისტი, 47. ქართული ხალხური სიმღერა, 52. ქიმიური ელემენტი, 57. ცნობილი დემოკრატი მწერალი, 59. წყლის ცხოველი, 60. ქვეყანა აფრიკაში, 62. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურა, 64. ქალაქი საფრანგეთში, 66. ასო ბერძნულ ალფაბეტში, 68. დამნაშავის გამამართლებელი ფაქტი (მისი სხვაგან ყოფნის გამო), 71. ფეთქებადი ნივთიერება, 73. ქიმიური ელემენტი, 75. ძაფის სართავი, 76. მტვირთავთა საერთაშორისო ტერმინი, 78. მდინარე აზიაში, 80. საძოვარი, 82. კურორტი საქართველოში, 84. სახელმწიფო აზიაში, 85. ქალაქი საფრანგეთში, 86. ხე, 87. მსახიობთა ჯგუფი, 88. ქართული ოპერის პერსონაჟი, 89. ტრანსპორტის სახე (საბაგირო გზაზე), 91. სავაჭრო-ადმინისტრაციული რაიონი ლონდონში. 92. ადგილობრივი მმართველი არაბთა ბატონობის დროს.

### ვერტიკალურად:

1. აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი, 2. სასმელი ჩრდილოეთ კავკასიაში, 3. უმაღლესი სამსჯავრო ძველ ათენში, 4. სამოქალაქო ომის გმირი, 5. ყვავილი, 6. უზბეკი პოეტი, 9. ლიტერატურული ნაწარმოების სახე, 10. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, 11. მუსიკალური ინსტრუმენტი, 14. ზედმეტი, 16. სასულიერო პირი, 17. ბეთჰოვენის სამშობლო ქალაქი, 19. ვოკალური ნაწარმოები, 22. ფოტოაპარატის ფირმა, 25. განთიადი, 26. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში, 27. ქარის მეშვეობით წარმოქმნილი ქვიშის ბორცვი, 28. ცხენის მოსართავი, 29. შეიარაღებული ძალები, 30. ფლოტოვის ოპერა, 31. რევოლვერის სისტემა, 32. გამოუწვავი აგური, 33. ჭურჭელი, 35. ყივჩაღებთან მებრძოლი რუსი მთავარი, 38. ქართველი მთავრების შეთქმულების ადგილი მონღოლთა შემოსევის დროს, 39. გემის კიბე, 40. ოსის ძველი სახელწოდება, 41. თანამედროვე ხუთჭიდში შემავალი სპორტის სახე, 42. ამერიკელის მეტსახელი, 43. მოთვალთვალე, დარაჯი, 48. ნავთის საბადო საქართველოს სსრ-ში, 49. ცნობილი ქართველი მგოსნის სამშობლო, 50. საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, 51. სასპორტო მოედანი, 53. ლეონკავალოს ოპერის პერსონაჟი, 54. კურორტი შავ ზღვაზე, 55. დუნაის შენაკადი, 56. სამატომიანი ჟანგბადი, 58. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, 61. პროვინცია საფრანგეთში, 63. ნესტი, 65. სიგრძის საზომი ერთეული, 67. მდინარე ავსტრალიაში, 69. სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტი, 70. ფრანგი კომპოზიტორი, 72. ძველი სახელმწიფო აღმოსავლეთ ბალკანეთში, 74. საგმირო ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, 75. რქიანი ცხოველი, 76. ჩინეთის პროვინცია, 77. დედამიწის მაგნიტიზმის ადგილობრივი ცვლილება, 79. ძველი თბილისის უბანი, 81. იალქანი, 83. ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის პერსონაჟი, 90. განდეგილი ინდოეთში.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ნ. ჩერნიშკოვმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-54 წ. გამომც. № 294. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ნაბეჭდი ფურც. 3¹/₂. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 830. უე 19525.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

# ყურადღება, იარეთ ფრთხილად!



1



5



2



6



3



7



4


მილიციის პოლკოვნიკი
ვ. ნავროზაშვილი

ფოტო ოთ. თურქიასი


1. საერთოდ მსუბუქ მანქანას არ უნდა გადაუსწროს საბარგომ, მით უმეტეს, თუ ეს უკანასკნელი ხალხითაა დატვირთული.

2. ამ მოქალაქეს „გაჩერებასთან" ჩამოსვლისას უკნიდან უნდა შემოევლო ტროლეიბუსისთვის, მაგრამ წინ გადაუარა. ამ „პატარა" განსხვავების შედეგად იგი ველარ ამჩნევს მომავალ ავტომობილს.

3. პატარა „შოფერმა" ალბათ ჯერ არ იცის ქუჩაში მოძრაობის წესები, მაგრამ ამ ახალგაზრდამ ხომ იცოდა, რომ „გადასასვლელთან" უნდა გადაეჭრა ქუჩა?! იგი საფრთხეს უქმნის ბავშვსაც და საკუთარ თავსაც.

4. ეს მგზავრები დიდი საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს: შეიძლება ხელი დაუცურდეთ და გადმოვარდნენ, ან უკნიდან მომავალმა ტრანსპორტმა გაჰკრას გვერდი.

5. ახლა, პირიქით, მგზავრებმა კი არა, ავტობუსის შოფერმა დაარღვია წესრიგი: ჯერ ერთი ტროტუარიდან ოთხი მეტრის მოშორებით გააჩერა ავტობუსი, მეორე ის, რომ ადრე დასძრა, რის გამოც მგზავრებმა შესვლა ვერ მოასწრეს.

6. ეს მოქალაქენი ერთდროულად ორმაგად არღვევენ წესრიგს: გადადიან იქ, სადაც გადასვლა არ შეიძლება და შუაქუჩის გავლის შემდეგ მარცხნივ იხედებიან, იმის მაგივრად, რომ მარჯვნივ გაიხედონ.

7. თითქოს არავითარ წესრიგის დარღვევას არ წარმოადგენს ტროტუარზე გაჩერება და თავმოყრა, მაგრამ აი, როგორ ეშლება ხელი დანარჩენ მოსიარულეთ.

ფასი 3 მან.

6-29/7



ეროვნული ბიბლიოთეკა